International Federation of Library Associations and Institutions

# ISBD(S)
# International Standard Bibliographic Description for Serials

Revised edition

Recommended by the ISBD Review Committee

Approved by the Standing Committee
of the IFLA Section on Cataloguing
and the IFLA Section on Serial Publications

IFLA Universal Bibliographic Control and International MARC Programme
British Library Bibliographic Services
London
1988

Translated into Georgian by
Lali Suladze and Marina Zambakhidze

Library Automation Association in Georgia
Tbilisi 2000

საბიბლიოთეკო ასოციაციების და ორგანიზაციების საერთაშორისო
ფედერაცია (I F L A )

# I S B D ( S )
# სერიალური გამოცემების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის
# საერთაშორისო სტანდარტი

გადამუშავებული გამოცემა

რეკომენდებულია ISBD-ს სარევიზიო კომისიის მიერ

მოწონებულია IFLA-ს საკატალოგიზაციო სექციისა და IFLA-ს სერიალური
პუბლიკაციების სექციის მუდმივი კომიტეტების მიერ.

I F L A-ს საყოველთაო ბიბლიოგრაფიული აღრიცხვისა და საერთაშორისო
კომპიუტერული კატალოგიზაციის პროგრამა (UBCIM)
ბრიტანეთის ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული სამსახური
ლონდონი
1988

ინგლისურიდან თარგმნეს
ლალი სულაძემ და მარინა ზამბახიძემ

ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაცია საქართველოში
თბილისი 2000

# სარჩევი


შესავალი

0.წინასწარი შენიშვნები.

0.1. მოქმედების არე, მიზანი, გამოყენება.
0.2. განსაზღვრებები.
0.3. სსბა(ზ) და სსბა(ს) შედარებითი სქემა.
0.4. პუნქტუაცია.
0.5. ინფორმაციის დაწესებული წყაროები.
0.6. აღწერილობის ენა და დამწერლობა.
0.7. შემოკლებები და აბრევიატურები.
0.8. დიდი ასეობით გამოყენება – კაპიტალიზაცია.
0.9. მაგალითები.
0.10. ბეჭვდითი შეცდომები.
0.11. სიმბოლოები და ა.შ.

ელემენტების კლასიფიკაცია

1. სათაურისა და პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფერო.
2. გამოცემის სფერო
3. ნუმერაციის სფერო
4. პუბლიკაციის, გავრცელების და ა.შ. სფერო
5. ფიზიკური აღწერილობის სფერო
6. სერიის სფერო
7. შენიშვნების სფერო
8. სტანდარტული ნომრის (ან ალტერნატიული) და მისაწვდომობის პირობების სფერო.

დანართები

ა. მრავალდონიანი აღწერილობა
ბ. ორმხრივი მიმართულების ჩანაწერები
გ. მაგალითები

# შესავალი

საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა სსბა შეიქმნა საერთაშორისო საკატალოგიზაციო ექსპერტების შეხვედრის რეზოლუციის შედეგად, რომელიც ორგანიზებული იყო IFLA-ს საკატალოგო კომიტეტის მიერ კოპენჰაგენში 1969 წელს ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შინაარსისა და ფორმის სტანდარტების დასადგენად. მონოგრაფიული გამოცემების საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა იყო პირველი სსბა–თაგან, შექმნილი 1969 წლის მანდატის თანახმად. სსბა–ს პირველი ტექსტი გამოქვეყნდა 1971 წელს რეკომენდაციის სახით. ამასობაში IFLA–ს სერიალური პუბლიკაციების სექცია პროექტით მიმართავდა სერიალურ გამოცემებს, რათა მოეძებნათ საერთო საფუძველი სერიალთა კატალოგიზაციისთვის. IFLA–ს საკატალოგიზაციო და სერიალური პუბლიკაციების კომიტეტის დავალებით 1977 წელს, ერთობლივმა სამუშო ჯგუფმა დაიწყო პროექტის შედგენა სსბა სერიალებისთვის. 1974 წელს პირველი სსბა (ს) გამოქვეყნდა, როგორც ერთობლივი სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციები. ამ რეკომენდაციებზე მუშაობისას მხედველობაში მიიღეს სსბა–სა და მისი სახელმძღვანელოს (1973) ზოგიერთი შეხედულებები, რომლებიც დაიხვეწა ეროვნულ სერიალთა მონაცემთა სისტემაში გამოსაყენებლად, რამაც შექმნა საერთაშორისო ქსელი სერიალების პუბლიკაციების სარეგისტრაციოდ და კონტროლისათვის. სსბა(ს)–ის რეკომენდაციებზე განაცხადი მიუთითებდა შემდგომში სსმს–ის მიმართ უფრო მეტი ყურადღებით მუშაობაზე და სარევიზიო შეხვედრა სსბა(ს) თან დაკავშირებით შესდგა პარიზში, 1975 წელს.

1975 წლის აგვისტოში ინგლისურ –ამერიკული კატალოგიზაციის წესების რევიზიის ერთობლივმა მმართველმა კომისიამ შესთავაზა IFLA–ს საკატალოგიზაციო კომიტეტს ყველა ტიპის საბიბლიოთეკო მასალისთვის მისაღები ზოგადი ბიბლიოგრაფიული აღწერილობის საერთაშორისო სტანდარტის შემუშავება და 1977 წელს გამოქვეყნდა სსბა (ზ); სსბა (ზ) ზე მუშაობამ გაითვალისწინა ეს ვითარება და როდესაც გამოქვეყნდა 1977 წელს, სსბა(ს)–ის "პირველი სტანდარტული გამოცემა", ის სტრუქტურულად დაექვემდებარა სსბა(ზ)-ს და მთლიანად შეუთავსდა მის მოთხოვნებს.

1977 წლის აგვისტოში IFLA-ს მსოფლიო კონგრესის შეხვედრებისას, ბრიუსელში, IFLA-ს საკატალოგიზაციო სექციის მუდმივმოქმედმა კომისიამ მიიღო ახალი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხებოდა IFLA-ს პროგრამას სსბა–ების შესახებ. შეთანხმდნენ, რომ ყველა სსბა- ს ტექსტი 5 წლის განმავლობაში იქმნებოდა შეუცვლელად გამოყენებული, რომლის შემდეგაც გაკეთდებოდა ყველა ან ცალკეული ტექსტის გადამუშავება. ამ გადაწყვეტილების შედეგად IFLA-ს მიერ შეიქმნა სსბა- ების სარევიზიო კომიტეტი, რომლის შეხვედრაც შესდგა 1981 წლის 10-11 აგვისტოს, ლონდონში. შემუშავდა გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა გადაეხადათ და შეესწორებინათ ოთხი სსბა: სსბა(კმ), სსბა(აწმ), სსბა(ს) (ყველა პირველად გამოქვეყნდა 1977 წელს) და სსბა(მ) (უკანასკნელად გამოცემა გამოქვეყნდა 1978 წელს).

თითოეულ სსბა-ზე დაინიშნა სამუშაო ჯგუფი და თითოეულს ხელმძღვანელობდა სსბა-ს სარევიზიო კომისიის წევრი. ამ ოთხ სსბა-ზე რამოდენიმე წლის მუშაობის გამოცდილებამ აჩვენა, რომ მათ მეტად მიმართავენ (ისევე, როდესაც გამოიყენებოდა როგორც დოკუმენტთა სტანდარტული წყარო საკატალოგო წესის შესაქმნელად), და ასევე ფართოდ გამოიყენება (იმ ქვეყნების შემთხვევაში, რომლებსაც ეროვნული საკატოლოგო წესები არ გააჩნდათ). ამ პრაქტიკულმა მუშაობამ ტექსტებთან წარმოშვა ბევრი ძვირფასი იდეა მათი შემდგომი გაუმჯობესებისათვის და შემდეგი მთავარი მოქმედებები აღიარებული იქნა, როგორც აუცილებელი:

1. ფორმულირების გამართვა და განსაზღვრებებში და პირობებში თავსებადობის მიღწევა.

2. სსბა- ების მორგება არა – რომაული დამწერლობებისათვის.
3. ტოლობის ნიშნის გამოყენების გადასინჯვა.
4. უფრო მეტი და უკეთესი მაგალითების ჩართვა.
5. შენიშვნების განხილვა განსაკუთრებით IASA და IAML- დან, რომლებიც ეხება არა წიგნად მასალებს.

შექმნილი ფაქტიდან საჭიროება მოითხოვდა ცალკეულად შექმნილი ტექსტების განსაკუთრებულად ჰარმონიული ყოფილიყვნენ ფორმულირებისთვის, პირობების ჩართვისთვის და ა.შ. იმ თვისებებით რაც ოთხივე ტექსტს იდენტურად ხდის, რადგან როგორც მასალის ოთხი განსხვავებული კატეგორიის თვისებები, დასაშვები იქნება.

როდესაც ნათელი გახდა, რომ ზემოთ აღნიშნული ჰარმონიულობა გამოიწვევდა მეტ სამუშაოს, IFLA-ს საერთაშორისო ოფისმა– გამოაქვეყნა დამატებითი სარედაქციო დოკუმენტი ჰარმონიულობის ამოცანის წარმართვისათვის.

სსბა-ს სარევიზიო კომისიის მეორე შეხვედრა ჩატარდა ასევე ლონდონში, 1983 წლის 19-21 იანვარს, და პირველი გადამუშავებული პროექტები ამ დროიდან მალე დაიგზავნა სარევიზიო პერიოდით, რომელიც მოიცავდა 1983 წლის 31 ივლისიდან 1984 წლის 31 იანვარს. მსოფლიო მასშტაბით მიღებულ იყო შენიშვნები პიროვნებებისა და დაწესებულებებიდანმ ბევრი სასარგებლო შეხედულებები მიიღო მუშა ჯგუფმა, რაც ითვალისწინებდა აუცილებელ გადამუშავებაზე მუშაობის გაგრძელებას.

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელებმა გამოსცეს მეორე პროექტი ოთხ გადამუშავებულ ტექსტზე ყველა წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით, და მესამე, მომდევნო პროექტი გამოსცა კონგრესის ბიბლიოთეკამ ოთხი ტექსტის ჰარმონიული შედარების საფუძველზე. ეს მესამე პროექტი ხელახლა წარუდგინეს ხელმძღვანელებს, რომლებმაც ეს პროექტი განიხილეს, გააკეთეს აუცილებელი ცვლილებები და აღნიშნეს გადაუჭრელი პრობლემები. საბოლოოდ, ოთხ ხელმძღვანელთან და ბარბარა იუვერთან კონსულტაციებისას გადაწყდა ყველა პრობლემა და საბოლოო ტექსტი გამოიცა. პირველ პროექტებზე მუშაობამ გამოიწვია უფრო მეტი დრო და მეტი მუშაობა, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული 1981 და 1983წწ.-ში. ყველას უნდა გადავუხადოთ მადლობა, ვინც პროექტებზე შენიშვნებს აკეთებდა ან ვინც ნებისმიერი გზით მუშაობდა არაფორმალურ კონსულტანტად.

ყველა ტექსტზე ჩატარებული სამუშაოსთვის, იმის გარანტიით რომ გადაწყვეტილების გაკეთება შეთანხმებული იყო და რომ გაკეთებული გადაწყვეტილებები შესრულდა ზუსტად, განსაკუთრებული მადლობა ასევე ბარბარა იოვერსა და კონგრესის ბიბლიოთეკის თანამშრომლებს.

სსბა(ს) მოიცავს ინდექსა და სამ დამატებას. პირველი დამატება გვთავაზობს მტავალდონიანი აღწერილობის სპეციალური ტექნიკის ზოგად სტანდარტიზირებულ დაწესებულ ნორმებს. მეორე დამატება ატარებს იმ ორიენტირის როლს, რომელიც ზემოთ არის ნახსენები, რომ დააკმაყოფილონ მომხმარებლები აღმოსავლური დამწერლობის გამოცემებზე მუშაობისას: ის ქმნის მიმართულების მოკლე მონახაზს, რომლითაც მონაცემები გადაიწერებიან ნაწილობრივ მარჯვნიდან მარცხნივ დამწერლობით და ნაწილობრივ მარცხნიდან მარჯვნივ დამწერლობით. ბოლო დამატება გამოსცემს ჩამოყალიბებულ მაგალითებს, რომლებიც გვთავაზობს მოცემულ სსბა დებულებების შედეგის განმარტებას ჩანაწერის ყველა სფეროსთვის.

გადამუშავებული სსბა(ს)-ს ბოლომდე ეფექტურად მიჰყავს გადამუშავების პროცესი ე.ი. არა მარტო სხვა სსბა ტექსტებთან შეთავსებადობა, არამედ სსმს სახელმძღვანელოს

გადამუშავებაც, რომელიც გამოქვეყნდა 1983 წელს, როგორც სსბა-ს სახელმძღვანელო. (1982 წელს, პარიზში სსმს- ს გენერალურ ანსამბლეაზე, მმართველი საბჭოს რეზოლუციით მოხდა შეთანხმება სსბა(ს)-სა და სსმს სახელმწიფოს შორის)

სსბა-(ს)-ის ახალი გამოცემა მიღებულია IFLA-ს საკატოლოგო სექტორისა და სერიალური გამომცემლობების მიერ.

ვაშინგტონი, ბუდაპეშტი
1987წ. თებერვალი.

ლუსია ჯ. რაზერი, სსბა-ს სარევი-
ზიო კომიტეტის ხელ-ი.

# 0 წინასწარი შენიშვნები

0.1 მოქმედების არე, მიზანი, გამოყენება

0. 1.1 მოქმედების არე

სერიალის საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა-შემდგომში მოხსენიებული, როგორც ISBD(S)განსაზღვრავს ამ პუბლიკაციების აღწერილობისა და იდენტიფიკაციისათვის მოთხოვნებს. ადგენს აღწერილობის ელემენტთა თანმიმდევრობას და განსაზღვრავს აღწერილობის პუნქტუაციის სისტემას. მისი დებულებები პირველ რიგში ეხება ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტოების მიერ გამოცემულ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებს (როგორიცაა ეროვნულ ბიბლიოგრაფიულ დაბეჭდილ გამოშვებებში, სხვა ნაბეჭდ ჩანაწერებში და მათთან დაკავშირებულ კომპიუტერულ ფაილებში), ხოლო მეორე მხრივ-სხვა საკატალოგიზაციო სააგენტოების მიერ შესრულებულ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებს, როგორც კომპიუტერში,ასევე დაბეჭდილი ფორმით. (იმ შემთხვევაში, როდესაც ბიბლიოგრაფიული მონაცამები ინახება კომპიუტერში, ISBD-ები აწესებენ შეთანხმებას უფრო თვალით საკითხავ ფორმებზე, როგორიცაა გამოსახულება ეკრანზე ან ნაბეჭდი პროდუქცია და არა კომპიუტერში გამოყენებულ მონაცემთა სტრუქტურაზე).

სერიალში იგულისხმება პუბლიკაცია, რომელიც გამოდის რეგულარულად ან არალეგულარულად, თანმიმდევრული ნაწილებით და ნაგულისხმევია მისი გაგრძელება განუსაზღვრელი ვადით: მაგალითებია-პერიოდიკა, გაზეთები, წლიური გამოცემები და სერიები. ISBD(S) არის ერთ-ერთ ISBD-ების გამოცემაში, სხვები მოიცავენ მონოგრაფიულ გამოცემებს (ISBD(M)); 1801-მდე გამოსულ მონოგრაფიებს (ISBD(A)); დაბეჭდილ მუსიკას (ISBD(PM)); კარტოგრაფიულ მასალებს (ISBD(CM)); არაწიგნად მასალებს (ISBD(NBM)); ყველა ISBD დაფუძნებულია ზოგად ISBD-ზე (ISBS(G));(იხ. შედარებითი სქემა 0.3-ზე).

თითოეული ISBDმოიცავს მისი საკუთარი პუბლიკაციის სახეობის პირობებს, მაგრამ არავითარი მცდელობა იმისა, რომ, რომელიმე ISBD გახდეს ექსკლუზიური, არ არსებობს. მომხმარებელმა საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მიმართოს რამდენიმე ISBD-ს როდესაც აღსაწერი ერთეული აჩვენებს ისეთ სიმბოლოს, რაც სხვა ISBD-შია აღწერილი. მაგალითად, სერიალები მასალის სპეციალურ კატეგორიებში აღიწერება ISBD(S)-ის მიხედვით; 1.2. ელემენტის, ზოგადი საგნობრივი მითითებისა და სფერო 5-ის, ფიზიკური აღწერილობის გარდა. წესები ამ ელემენტებისა და სფეროებისთვის მოცემულია ISBD-ის მონოგრაფიებში: ISBD(NBM); ISBD(CM) და სხვ. გარკვეული ტიპის სერიალები აღიწერება რამოდენი ISBD-ის კომბინაციით: მაგ.: სერიული რუქების შემთხვევაში, სფეროები-3 ISBD(CM)- დან და ISBD(S)-დან გაერთიანდებიან: უმთავრესად ISBD(S)დაკავშირებულია მიმდინარე პუბლიკაციებთან, მაგრამ უზრუნველყოფს ისეთი სერიალების აღწერასაც, რომლებმაც შეწყვიტეს პუბლიკაცია ან შეიცვალეს სათაური.

0.1.2 მიზანი

ISBD-ების უპირველესი დანიშნულებაა უზრუნველყოს მთელს მსოფლიოში თავსებადი ბიბლიოგრაფიული აღწერილობის პირობები, რათა დაეხმაროს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების საერთაშორისო გაცვლას როგორც ეროვნულ ბიბლიოგრაფიულ სააგენტოებს შორის, ასევე მთლიანად მთელს საერთაშორისო

საინფორმაციო და საბიბლიოთეკო საზოგადოებაში. ბიბლიოგრაფიულ აღწერილობის ელემენტების განსაზღვრით, იმ თანამიმდევრობისა და პუნქტუაციის დაწესებით, რომლის მიხედვითაც ეს ელემენტები უნდა იქნას წარმოდგენილი და გამოყოფილი ერთმანეთისაგან ჩანაწერში. ISBD-ების მიზანია: ა) გააკეთოს ურთიერთ ჩანაცვლებადი ჩანაწერები სხვადასხვა წყაროებიდან, ისე, რომ ერთ ქვეყანაში გამოცემული ჩანაწერები ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი ქვეყნის ბიბლიოთეკის კატალოგში ან სხვა ბიბლიოგრაფიულ სიებში; ბ) ენობრივი ბარიერის გადალახვით, გაკეთდეს ჩანაწერების ინტერპრეტაცია, ისე, რომ მომხმარებლისთვის ერთ ენაზე გამოცემული ჩანეწერები ინტერპრიტირებული იქნას მის მიერ სხვა ენაზე; და გ) დაეხმაროს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების გადაყვანას კომპიუტერში.

0.1.3 გამოყენება

ISBD-ები უზრუნველყოფენ პირობებს მაქსიმალური აღწერილობითი ინფორმაციის მისაღებად, რომელიც აუცილებელია სხვადასხვა ბიბლიოგრაფიული საქმიანობისათვის და ამიტომ ისინი შეიცავენ ისეთ ელემენტებს, რომლებიც არსებითია ერთი ან მეტი ასეთი საქმიანობისთვის, მაგრამ არ არის აუცილებელი ყველასათვის.
რეკომენდირებულია, რომ ეროვნულმა ბიბლიოგრაფიულმა სააგენტოებმა ყოველ ქვეყანაში, რომელთაც მიღებული აქვთ ამ ქვეყნის ყველა გამოცემის სრული და ზუსტი აღწერილობის შედგენის პასუხისმგებლობა, მოამზადონ სრული და ზუსტი აღწერილობა, რომელიც შეიცავს ყველა სავალდებულო ელემენტს, გათვალისწინებულს ISBD-ში იმ მოცულობით, რომლითაც ეს მონაცემები გამოყენებულია აღსაწერ გამოცემაში.

სხვა საკატალოგო ორგანიზაციებს აქვთ უფრო ფართო არჩევანი, რადგან ისინი არ უზრუნველყოფენ საბოლოო ჩანაწერს საერთაშორისო გაცვლისათვის. მათ შეუძლიათ შეარჩიონ ISBD-ს ელემენტები, თავიანთ საკუთარ ჩანაწერებში შესატანად ISBD-ს მიერ დაწესებული თანმიმდევრობით და პუნქტუაციით.

ISBD აღწერილობა ქმნის სრულ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერის ნაწილს და ის ჩვეულებრივად დამოუკიდებლად არ გამოიყენება. სხვა ფაქტორები, რომლებიც რომლებიც ქმნიან სრულ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერს როგორიცაა – რუბრიკები, საგნობრივი ინფორმაცია, სათაურის ფორმა, რეგისტრირებული სქემები და ასლები, ISBD- ის დებულებებში არ შედის. ამ ფაქტორის წესები ჩვეულებრივ მოცემულია საკატალოგიზაციო წესებში.

საინფორმაციო ელემენტები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან გარკვეულ კოლექციასთან (მასალის ადგილმდებარეობა, საბიბლიოთეკო ფონდის ჩანაწერი და ა.შ.), ISBD-ს მიერ არ არიან წარმოდგენილნი, ისინი ადგილობრივი ელემენტებია, რომლებიც შეიძლება დაემატონ ზოგად აღწერილობას. შეიძლება იყოს აგრეთვე სხვა კრიტერიუმები ადგილობრივი გამოყენებისათვის.
სერიალის აღწერილობა შეიძლება გაკეთდეს მისი არსებობის ნებისმიერ პერიოდში: თავიდან, ბოლოდან ან გარდამავალი გამოცემიდან, რომელიც დამოკიდებულია გარკვეულ კატალოგსა და გამოცემული ბიბლიოგრაფიის მიზნებზე. როდესაც აღწერილობა არ არის გაკეთებული სერიალის პირველ პუბლიკაციაზე ეს განსაზღვრულია შენიშვნაში (იხ. 7.9). ინფორმაცია ნაკლები მნიშვნელობის ცვლილებებზე ძირითად სათაურში, ცნობებზე

პასუხისმგებლობის შესახებ, ყოფილ და ბოლო გამოცემებზე ან გამოცემის ადგილზე და ა.შ.. არ არის მოცემული აღწერილობის ძირითად ნაწილში, არამედ შენიშვნაში (იხ. სფერო 7.).

ახალი აღწერილობა აუცილებელია უმთავრესი ცვლილებების შემთხვევაში, როდესაც ძირითადი ცვლილებები სათაურში უმნიშვნელო არ არის, როცა ძირითადი სათაური საერთო ტერმინია და გამომცემელი ორგანიზაცია იცვლის სახელს ან როდესაც ცნობა გამოცემაზე იცვლება. ასევე, ახალი აღწერილობაა საჭირო, როდესაც აქამდე დამოკიდებული სათაურები დამოუკიდებელი ხდებიან. (იხ.1.1.5.3.). კავშირი ახალ და ყოფილ აღწერილობას შორის მოცემულია ბიბლიოგრაფიული ისტორიის შენიშვნებში (იხ.7.2).

ზოგიერთი მითითება, თუ რისგან შედგება სათაურის მცირე ცვლილება, რომელსაც არ სჭირდება ახალი აღწერილობა, მოცემულია 7.1.1.6- ში და 7.1.5.4- ში. ამ მცირე ცვლილებების სია ადაპტირებულია უმნიშვნელო ცვლილებების კრიტერიუმიდან საკვანძო სათაურთან დაკავშირებით, როგორც ეს მოცემულია ISDS- სახელმძღვანელოში[2].

მინიშნებები ძირითადი სათაურის ვარიაციებზე არ ქმნიან სერიალების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ნაწილს, და არ არიან უზრუნველყოფილნი ISBD(S)-ს, ასე თუ ისე, ისინი აუცილებლად არიან კატალოგებში და ბიბლიოგრაფიებში.

0.1.3.1. ურთიერთდამოკიდებულება ISBD(S)-სა და ISDS-ს შორის.

ISDS ჩანაწერი განსხვავდება ISBD(S)-სგან იმით, რომ იგი გამიზნულია სერიალი იდენტიფიკაციისათვის, არა აღსაწერად, და ამ მიზნისათვის ყველაზე მეტად საჭირო ელემენტები წარმოადგენენ საკვანძო სათაურს, რომელიც გამოყენებულია ISSN-თან კავშირში, (იხ. განსხვავება 0.2-ზე). ISBD(S) და ISDS ჩანაწერებს შორის არის შეთანხმების ზღვარი. ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტების სია, რომელიც გვიჩვენებს დამოკიდებულებას ISDS ჩანაწერის ელემენტებს შორის მოცემულია 0.3.3-ში.

სასურველია, რომ მრავალი ბიბლიოთეკისა და ზოგი ზოგი ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისათვის მოკლე და საიმედო ჩანაწერი სერიალისთვის შეიძლება მიღებულ იქნას საერთაშორისო სერიალუ მონაცემთა სისტემის მონაცემთა ფაილებიდან (ISDS)[3].

ISDS სახელმძღვანელო ნაწ. 2 გადმოგვცემს კრიტერიუმებს მცირე და მთავარი ცვლილებებისთვის საკვანძო სათაურთან კავშირში.

## 0.2 განსაზღვრებები

განსაზღვრებები მოცემულია იმ ტერმინებისთვის, რომლებიც გამოყენებულია IBSD (S)-ში განსაკუთრებული მნიშვნელობით, ან ერთი ან რამდენიმე მნიშვნელობით ზოგადი ხმარებისას. ზოგი ტერმინი გამოყენებული თავიანთი ჩვეულებრივი ბიბლიოგრაფიული მნიშვნელობით, აგრეთვე განმარტებულია. აქ მოცემული იმ ტერმინების განსაზღვრებები, კონკრეტული სერიალური აღწერილობისათვის ბევრ შემთხვევაში იდენტურია, გარდა იშვიათი მცირე გასხვავებისა გამოთქმაში, რაც ISDS- ის სახელმძღვანელოს ლექსიკონშია.

| | | |
|---|---|---|
| **absorption** | შთანთქმა | ერთი ან მეტი სერიალების გაერთიანება  სხვა შთანთქმულ სერიალთან რომლებიც კარგავენ თავიანთ იდენტურობას |
| **Accompanying material** | თანმხლები მასალა | ნებისმიერი მასალა, რომელიც თან ახლავს აღსაწერი პუბლიკაციის ძირითად ნაწილს და განკუთვნილია მასთან ერთობლივი გამოყენებისათვის. |
| | დალი | პუბლიკაციის მთავარ ნაწილზე  თანმხლები აღსაწერი ნებისმიერი მასალა რომელიც განკუთვნილია მასთან ერთად გამოყენებისათვის. |
| **Accompanying material statement** | ცნობები თანმხლები მასალის შესახებ | თანმხლები მასალის მოკლე აღწერა |
| **Acronym** | აკრონიმი | სიტყვა რომელიც შეიქმნება თანმიმდევრული ნაწილების ან მთავარი ნაწილების პირველი ასოდან ან ასოებიდან ან რთული ტერმინის თითოეული მომდევნო სიტყვის ან მთავარი სიტყვებისგან როგორიცაა კორპორაციული ორგანო ან სათაური(იხილე აგრეთვე ინიციალიზმი) |
| **Alternative title** | ალტერნატიული სათაური | ძირითადი სათაურის მეორე ნაწილი. ძირითადი სათაური შედგება ორი ნაწილისაგან, (თითოეულ მათგანს აქვს სათაურის ფორმა) რომელიც დაკავშირებულია სიტყვით "ან", ან მისი ექვივალენტით სხვა ენაზე. |
| | **dali** | ძირითადი სათაურის მეორე ნაწილი, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან (თითოეულს აქვს სათაურის ფორმა) და შეერთებულია „ან„-ით ან მისი ექვივალენტით სხვა ენაზე. |
| **Area** | სფერო | ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ძირითადი ნაწილი, რომელიც შეიცავს გარკვეული კატეგორიის ან რიგი კატეგორიების მონაცემებს. |

| | | |
|---|---|---|
| **Avant-titre** | ავანტი ტრი | სხვა ინფორმაცია სათაურზე რომელიც გვაცნობს ძირითად სათაურს და ჩნდება პუბლიკაციის ძირითადი სათაურის ზევით სატიტულე ფურცელზე ან მის შემცვლელზე |
| **Bibliographic description** | ბიბლიოგრაფიული აღწერილობა | ბიბლიოგრაფიული მონაცემების ერთობლიობა პუბლიკაციის აღნუსხვისა და იდენტიფიკაციისათვის. |
| **Broadside** | ფართოდ გასავრცელებელი ცნობები | ცალკე გამოცემული ფურცელი ან მისი ნაწილი, რომელიც ნაბეჭდია მხოლოდ ცალ მხარეს და გამოიყენება აკინძვის გარეშე წასაკითხად; ჩვეულებრივ გამოიყენება აგრეთვე ფართო გავრცელებისთვის, ან გასაყიდად,მაგ.,პროკლამაცია, ცნობის ფურცელი. |

| | | |
|---|---|---|
| **Caption title** | სათაურის სათაური | პუბლიკაციის სათაური მოცემული ტექსტის დასაწყისში |
| **Colophon** | კოლოფონი | ცნობები რომლებიც მოთავსებულია გამოცემის ტექსტის ბოლოს და იძლევა ინფორმაციას მისი გამოცემის და დაბეჭდვის შესახებ და ზოგ შემთხვევებში სხვა ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას. განსაკუთრებით მეთხუთმეტე საუკუნის წიგნებში კოლოფონში მოცემული ინფორმაციის ნახვა უფრო გვიანდელ წიგნებში ძირითადად შეიძლება სატიტულე ფურცელზე |
| | დალი | ცნობა ჩვეულებრივ პუბლიკაციის ბოლოს, რომელიც იძლევა ინფორმაციას მისი გამოცემისა და დაბეჭდვაზე და ზოგ შემთხვევაში სხვა ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას სათაურის ჩათვლით. |
| **Common title** | საერთო სათაური | სათაურის ის ნაწილი, რომელიც ახლავს ურთიერთდაკავშირებულ პუბლიკაციების ჯგუფს დამატებით მისი ცალკეული ნაწილების სათაურებისა. საერთო სათაური გამოიყენება აღნიშნული ურთიერთკავშირების მისანიშნებლად და ცალკეული ნაწილის სათაურთან ერთად მოცემული პუბლიკაციის საიდენტიფიკაციოდ. საერთო სათაური შეიძლება ასევე საერთო იყოს ძირითადი პუბლიკაციისათვის და მისი დამატებებისათვის, და ასევე მისი ძირითადი სერიებისა და ქვესერიებისათვის, როდესაც დამატებებსაც და ქვესერიებსაც გააჩნიათ დამოკიდებული სათაური. |
| **Corporate body** | კორპორაციული ორგანო | ნებიმიერი ორგანიზაცია ან პიროვნებათა ჯგუფი და/ან ორგანიზაციები, რომლებიც განსაზღვრული სახით იდენტიფიცირდება და შეიცავს დასახელებულ რაიმე შემთხვევისათვის გამოყოფილ ჯგუფებსა და მოვლენებს, როგორიცაა შეხვედრები, კონფერენციები, კონგრესები, ექსპედიციები. გამოფენები, ფესტივალები და ბაზრობები. მისი ტიპიური მაგალითებია ასოციაციები, დაწესებულებები, ფირმები, არაკომერციული საწარმოები, მთავრობები, სამთავრობო ორგანიზაციები, რელიგიური ორგანიზაციები და კონფერენციები.(იხ. გამომშვები) |
| **Cover title** | გარეკანის სათაური | პუბლიკაციის (ორიგინალის) გარეკანზე დაბეჭდილი სათაური. |

| | | |
|---|---|---|
| **Dependent title** | დაქვემდებარებული სათაური | სათაური, რომელიც არ არის საკმარისი პუბლიკაციის იდენტიფიცირებისთვის და რომელიც დამატებით მოითხოვს საერთო სათაურს ან ძირითადი პუბლიკაციის სათაურს ან ძირითადი სერიების სათაურს. მის მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ ნაწილების სათაურები ზოგიერთი დამატებების სათაურები და ქვესერიების ზოგიერთი სათაურები. |
| **Dependent title designation** | დაქვემდებარებული სათაური აღნიშვნა | სიტყვა ან ასო ან რიცხვები, ან მათი კომბინაცია რომლებიც იხმარებიან ცალკე ან დაქვემდებარებულ სათაურთან ერთად იმისათვის რომ რამოვყოთ ერტი, რომელსაც აქვს საერთო სათაური (იხ. აგრეთვე ნაწილის აღნიშვნა, ქვესერიის აღნიშვნა) |
| **Edition** | გამოცემა | პუბლიკაციის ყველა ეგზემპლარი, რომელიც წარმოებულია არსებითად ერთი და იმავე ორიგინალიდან. უძველესი მონოგრაფიული გამოცემებისთვის პუბლიკაციის ყველა ეგზემპლარი, რომელიც დაბეჭდილია მოცემული საბეჭდი ფორმიდან ბეჭდვის პროცესში გაკეთებული ცვლილებების უგულებელყოფით. იხილეთ ასევე ფაქსიმილური გადაბეჭვდა.#.. |
| | დალი | პუბლიკაციის ყველა ეგზემლარი გამოშვებულია ძირითადად შეყვანილი იმავე ორიგინალიდან ან პირდაპირი კონტაქტით ან ფოტოგრაფიით ან სხვა მეთოდით(იხ. ასევე ფაქსიმილე, ხელახალი გამოცემა). |
| **Edition statement** | ცნობები გამოცემის შესახებ | სიტყვა, ფრაზა ან სიმბოლოების ჯგუფი, რა ომლებიც მიუთითებენ, რომ პუბლიკაცია მიეკუთვნება რომელიმე გამოცემას.# |
| **Element** | ელემენტი | სიტყვა, ფრაზა ან სიმბოლოების ერთობლიობა, რომლებიც წარმოადგენენ ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის განსხვავებულ ერთეულს და შეადგენენ ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სფეროს ნაწილს. |
| **Facsimile** | ფაქსიმილე | რეპროდუქცია, რომლის მთავარი მიზანია დაემსგავსოს ორიგინალს და მისცეს ტექსტის ზუსტი რეპლიკა (იხ. ასევე გამოცემა, რეპრინტი) |
| **Facsimile reprint** | ფაქსიმილური გამოცემა | პუბლიკაციის ახალი გამოცემა, რომელიც სრულდება ორიგინალური გვერდების ზუსტი რეპროდუქციით. ეს კეთდება ჩვეულებრივ სხვადასხვა გამომცემლის მიერ ორიგინალიდან და აქვს საკუთარი სატიტულე ფურცელი და სხვა შესავალი მასალა. |
| **Fingerprint** | ფინგერპრინტი# | სიმბოლოების ჯგუფი, რომლებიც აღებულია გამოცემიდან მისი უნიკალური იდენტიფიკაციისათვის; უფრო დაწვრილებით განმარტებულია 8.1.2. |
| **Format** | ფორმატი | პუბლიკაციის შესახებ შეთანხმება, აღწერილი ტერმინებში რომელიც დაკავშირებულია აკინძვისას ნაბეჭდი ფურცლების რაოდენობასთან, რომ გაფორმებულიყო პუბლიკაციის შემადგენელ ფურცლებად მაგ.,ფოლიანტი (ორი ფურცლის ერთჯერადი აკინძვა ფორმად), კვატრო (ოთხი ფურცლის ორჯერადი აკინძვა ფორმად), |
| **Former Title** | ძველი სათაური | სერიალის ადრინდელი სათაური, რომელიც სხვა სატაურით გაგრძელდა (ნაწილობრივ ან მთლიანად) ან შეერწყა სხვა |

| | | |
|---|---|---|
| | | სერიალის სხვა სათაურით ან სათაურებით ან შთაინთქა სხვა სერიალში სხვა სათაურით (მთლიანად ან ნაწილობრივ). |
| **Frequency** | პერიოდულობა | დროის ინტერვალი, რომელშიც გამოიცემა სერიალი, როგორიცაა ყოველთვიური, ყოველკვირეული, ყოველწლიური |
| **General material designation** | მასალის ზოგადი აღნიშვნა | ტერმინი, რომელიც ფართოდ აღნიშნავს მასალათა იმ კლასს, რომელსაც მიეკუთვნება მოცემული პუბლიკაცია. |
| **Generic Term** | ზოგადი ტერმინი | ზოგადი ტერმინი რომელიც მიუთითებს პუბლიკაციის სახეობაზე და/ან პერიოდულობაზე. ასეთი ტერმინებია: წლიური ანგარიში, ბიულეტენი, ცირკულარული წერილი, ჟურნალი, , მაცნე, საინფორმაციო ბიულეტენი, შრომები, მოხსენებები … და მათი ექვივალენტები სხვა ენებზე |
| **Illustration** | ილუსტრაცია | პუბლიკაციაში მოთავსებული სქემატური, მხატვრული ან სხვა გრაფიკული გამოხატულება. |
| **Impression** | ერთდჯერადი(როული) ამონაბეჭდი | გამოცემის ყველა ეგზემპლარი, წარმოებული დროის ერთ შუალედში ან ერთი ოპერაციით (იხილე აგრეთვე გამოშვება, |
| **Independent Title** | დამოუკოდებელი სათაური | სათაური რომელიც თავისთავად საკმარისია სერიალის იდენტიფიკაციისათვის |
| **Initialism** | ინიციალიზმი | ორგანიზაციის ან სხვა ერთეულის ან სიტყვათა ნებისმიერი ჯგუფის სახელწოდების საწყისი ასოები |
| **Insert/Inset** | ჩასმა/ჩანართი | სერიალი, რომელიც გამოშვებულია სხვა სერიალთან ერთად და მყარად ან თავისუფლად, მუდმივად ან პერიოდულად (იხ. ასევე თანმხლები მასალა, საერთო სათაური ან დაქვემდებარებული სათაური) |
| **ISDS** | სსმს (სერიალების საერთაშორისო მონაცემების სისტემა) | საოპერაციო ცენტრების საერთაშორისო ქსელი, რომელიც ერთობლივად პასუხისმგებელია კომპიუტერული მონაცემთა ბანკების შექმნასა და შენახვაზე და უზრუნველყოფს მსოფლიოს სერიალურ პუბლიკაციათა სრულ აღნუსხვას . სსმს პასუხისმგებელია საერთაშორისო სტანდარტული სერიალური ნომრების მინიჭებაზე. |
| **ISBN** | | ათნიშნა რიცხვი, რომელიც შეიცავს საკონტროლო ციფრს და რომელსაც წინ უძღვის ანბანური თავსართი. ISBN ახდენს კონკრეტული გამომცემლის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის, როგორც გამოცემის, იდენტიფიცირებას და უნიკალურია მოცემული გამოცემისათვის. ის მიეწერება გამოცემას ISBN-ის ეროვნული სააგენტოს მიერ, რომელიც ემყარება ISO-ს სტანდარტს 2108-1978(E) დოკუმენტაცია - წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნუმერაცია (ISBN). |
| **ISSN** | ISSN (სერიალური გამოცემის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი) | რვანიშნა რიცხვი, რომელიც შეიცავს საკონტროლო ციფრს, რომელსაც წინ უძღვის ანბანური თავსართი. ISSN-ი საკვანძო სათაურთან ერთად ცალსახად ახდენს სერიალური გამოცემის სათაურის იდენტიფიცირებას. (იხ. ISDS სახელმძღვ. ნაწ.I). მისი მინიჭება ხდება სერიალური გამოცემების მონაცემთა საერთაშორისო სისტემის (ISDS) თანახმად და დაფუძნებულია ISO-ს სტანდარტზე: ISO 3297-1986. |

| | | |
|---|---|---|
| **Issue (A)** | გამოშვება | ერთდროული ამონაბეჭდის ის ეგზემპლარები, რომლებიც შეადგენენ დაგეგმილ საპუბლიკაციო ერთეულს, რომლებიც განსხვავდება ერთდროული ამონაბეჭდის სხვა ეგზემპლარებისაგან ერთი ან რამდენიმე ნიშნით (მაგ, ახალი სატიტულე ფურცელი ან კოლოფონი, რომლებიც ცხადად უკეთებენ იდენტიფიცირებას ეგზემპლარებს როგორც დისკრეტულ ერთეულს) (იხილე აგრეთვე #)<br>(2) (სერიალის ერთი მიმდევრობითი ნაწილი; ტერმინი, რომელიც იხმარება მიმდევრობითი ნაწილების უმცირესი დონის განსაზღვრისთვის) |
| **Issue (S)** | | სერიალის ერთი მიმდევრობითი ნაწილი; ტერმინი, რომელიც იხმარება მიმდევრობითი ნაწილების უმცირესი დონის განსაზღვრისთვის |
| **Issuing Body** | გამომშვები ორგანო | ორგანიზაცია რომლის ეგიდით შეიძლება გამოიცეს სერიალი. ორგანიზაციას შეიძლება იყოს ან არ იყოს ინტელექტუალურად პასუხისმგებელი პუბლიკაციაზე და იყოს ან არ იყოს გამომცემელი. |
| **Journal** | ჟურნალი | ტერმინი რომელიც ხშირად იხმარება პერიოდული გამოცემის, განსაკუთრებით ფართოდ ცნობილი გამოცემის, აღსანიშნავად |
| **Key title** | საკვანძო სათაური | უნიკალური სახელწოდება, რომელიც ენიჭება სერიალურ გამოცემას, სერიალური გამოცემების მონაცემთა საერთაშორისო სისტემის (ISDS) მიერ და განუყოფლადაა დაკავშირებული თავის სერიალური გამოცემის საერთაშორისო სტანდარტულ ნომერთან (ISSN). |
| | დალი | სსმს-ის მიერ სერიალზე მინიჭებული ერთიანი სახელი, რომელიც განუყოფლად დაკავშირებულია სსსნ-თან. საკვანძო სათაური შეიძლება იგივე იყოს რაც ძირითადი სათაური, ან იმისთვის, რომ მივაღწიოთ ერთიანობას, საკვანძო სათაური შეიძლება აიგოს მაინდეტიფიცირებული და ან საკვალიფიკაციო ელემენტების დამატებით, როგორიცაა გამომშვები ორგანო, გამოცემის ადგილი, ცნობა გამოცემაზე და ა. შ. (იხ. სსმს წიგნი, ნაწ.1) |
| **Logo** | ლოგო (ტიპი) | |
| **Main series** | ძირითადი სერია | დანომრილი სერია, რომელიც შეიცავს ერთ ან მეტ ქვესერიას. |
| **Merger** | გაერთიანება | ორი ან მეტი სერიალის ერთ სერიალად ფორმირება, შეერთებული სერიალები კარგავენ თავიანთ ინდივიდუალურ იდენტურობას. |
| **Monographic publication** | მონოგრაფიული პუბლიკაცია | პუბლიკაცია, რომელიც მთლიანად დასრულებულია ერთ ან რამოდენიმე ნაწილში, ან უნდა დასრულდეს წინასწარ განსაზღვრული სასრული რაოდენობით ცალკეულ ნაწილებში. |
| **Multi-level description** | მრავალდონიანი აღწერილობა | ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენის მეთოდი ემყარება აღწერილობაში მოცემული ინფორმაციის დაყოფას ორ ან მეტ დონედ. პირველი დონე შეიცავს საერთო ინფორმაციას მთლიან ან ძირითად პუბლიკაციაზე. მეორე და შემდგომი დონეები კი შეიცავენ ინფორმაციას, დაკავშირებულს ცალკეულ ტომთან ან სხვა ერთეულთან. |
| **Multi-part-item** | მრავალნაწილიანი წყარო | მასალა შეიცავს ორ ან მეტ განსხვავებულ აღწერის ერთეულს, არცერთ მათგანს უპირატესობა არ ენიჭება. |
| **Multi-volume** | მრავალტომიანი | მონოგრაფიული პუბლიკაცია, რომელიც შედგება სასრული |

| | | |
|---|---|---|
| **publication** | პუბლიკაცია | რაოდენობის ფიზიკურად განცალკევებული ნაწილებისაგან. (განსხვავებით რვეულებისაგან ან გამოშვებებისაგან შემდგარი პუბლიკაციებისაგან), რომელიც ცნობილია ან გამოცემულია როგორც ერთი მთლიანობა. თითოეულ მის ნაწილს შეიძლება ჰქონდეს თავისი საკუთარი სათაურები და ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ. |
| **Newspaper** | გაზეთი | სერიალური პუბლიკაცია გამოცემული დადგენილ ან ხშირი ინტერვალებით, ჩვეულებრივ ყოველდღიური, ყოველკვირეული, ან კვირაში ორჯერ და რომელიც გადმოგვცემს შემთხვევებს და განიხილავს თემებს, რომლებიც მიმდინარე ინტერეს წარმოადგენენს. |
| **Numbering** | ნუმერაცია | სერიული გამოცემის თითოეული თანამიმდევრული გამოშვების იდენტიფიცირება. აღნიშვნა შეიძლება შეიცავდეს ნომერს, ასოს, სხვა ნებისმიერ სიმბოლოს ან მათ კომბინაციას და შესაბამის აღვნიშვნებს. (ტომი, ნომერაცია და ა.შ.) და/ან თარიღს. |
| **Other title information** | სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ | სიტყვა, ფრაზა ან სიმბოლოების ჯგუფი, რომელიც გვხვდება პუბლიკაციის ძირითად სათაურთან ერთად და ექვემდებარება მას. სხვა ცნობები სათაურის შესახებ ასევე გვხვდება სხვა სათაურებთან (მაგ. პარალელური სათაურები, ცალკეულ ნაწარმოებთა სათაურები, პუბლიკაციების სათაურები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს სერიებისა და ქვესერიების შესახებ). ერთად და ექვემდებარება მათ. სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ განსაზღვრავს, ხსნის ან ავსებს სათაურს, რომელთაც ისინი მიეკუთვნებიან, ან მიუთითებენ გამოცემული პუბლიკაციის ხასიათზე, შინაარსზე და ა.შ. ან საფუძველზე. ეს ცნება შეიცავს ქვესათაურებს და ავანტიტრებს, მაგრამ არ შეიცავს ვარიანტულ სათაურებს (მაგ. ყუის სათაური), რომლებიც არიან პუბლიკაციაში, მაგრამ არ არიან სატიტულე ფურცელზე ან მის შემცვლელზე. |
| **Parallel edition statement** | ცნობები პარალელური გამოცემის შესახებ | ცნობები გამოცემის შესახებ სხვა ენაზე და/ან სხვა დამწერლობაში. |
| **Parallel title** | პარალელური სათაური | ძირითადი სათაური (ან ცალკეულ ნაწარმოებთა სათაური, რომელსაც შეიცავს პუბლიკაცია, კოლექტიური ძირითადი სათაურის გარეშე), სხვა ენაზე და/ან სხვა დამწერლობაში; ან კიდევ სათაურს სხვა ენაზე და/ან დამწერლობაში, რომელიც წარმოდგენილია ძირითადი სათაურის ექვივალენტად. პარალელური სათაურები ძირითად სათაურთან ერთად გვხვდებიან აგრეთვე სერიისა და ქვესერიის შესახებ ცნობებში. |
| **Periodical** | პერიოდული გამოცემაა | სერიალის სახეობა, გამოქვეყნებული რეგულარული ინტერვალებით, უფრო ხშირათ ვიდრე წლიური, ან ნაკლებ ხშირად, ვიდრე ორკვირეული, რომელშიც პუბლიკაციები ჩვეულებრივ დახასიათებულია შინაარსისა და თანამშრომლების მრავალფეროვნებით, როგორც კონკრეტულ გამოცემაში, ასევე გამოცემიდან გამოცემამდე. . |

| | | |
|---|---|---|
| **Plate** | ილუსტრაცია ცალკე ფურცელზე | ფურცელი ილუსტრირებული მასალით, განმარტებითი ტექსტით ან მის გარეშე, რომელიც არ შედის გვერდების ან ფურცლების არც წინასწარ და არც ძირითად ნუმერაციაში. |
| **Preliminaries** | ტექსტის წინ პუბლიკაციის საწყისი გვერდები | პუბლიკაციის სატიტულე ფურცლები მის მეორე მხარესა და სხვა გვერდებთან ერთად, რომლებიც წინ უძღვიან სატიტულე ფურცელებს. თუ გარეკანი სატიტულე ფურცლის შემცვლელია, მისი მეორე მხარე ასევე განიხილება პუბლიკაციის საწყის გვერდად. |
| **Prescribed punctuation** | დაწესებული პუნქტუაცია | ბიბლიოგრაფიული სააგენტოების მიერ დაწესებული პუნქტუაცია, რომელიც წინ უძღვის ან გამოყოფს ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ყოველი შემადგენელი ელემენტის (გარდა I სფეროს პირველი ელემენტისა) ან სფეროს ინფორმაციას. |
| **Prescribed sourse of information** | დაწესებული ინფორმაციის წყარო | წყარო ან წყაროები, რომლიდანაც მიიღება ინფორმაცია, ბიბლიოგრაფიული აღწერილობის თითოეულ ელემენტში ან სფეროში ჩასაწერად. |
| **Publication** | პუბლიკაცია | “პუბლიკაცია” ISBD (A)-ში შეიცავს ერთეულებს რომლებიც დაბეჭდილია მხოლოდ შემოსაზღვრულ წრეში გასავრცელებლად ან პირადი მიზნებისთვის |
| **Reprint** | ამონაბეჭდი—ხელახალი გამოცემა | 1. წყაროს ახალი ნაბეჭდი, აღებული ორიგინალიდან ჩვეულებრივ ფოტოგრაფიული მეთოდით. დაბეჭდვამ შეიძლება ორიგინალი ზუსტად გადმოსცეს.(ზოგადად ეწოდება –ამონაბეჭდი) ან შეიძლება შეიცავდეს მეტნაკლებ უმნიშვნელო, მაგრამ კარგად ჩამოყალიბებულ ვარიაციებს(ჩვეულებრივ ეწოდება—გამოშვება).<br>2. ახალი გამოცემა ძირითადად უცვლელი ტექსტით. ( იხ. ასევე გამოცემა, ფაქსიმილე). |
| **Section** | ნაწილი | გაერთიანებული სერიალთა ჯგუფის ერთი ნაწილი საერთო სათაურით. ნაწილები ჩვეულებრივ განეკუთვნებიან სპეციფიურ თემატურ კატეგორიას და იდენტიფიცირდებიან ჯგუფის საერთო სათაურით და სექციის სათაურით და/ან სექციის განსაზღვრებებით. შეიძლება არსებობდეს ნაწილების(ქვე-ნაწილების) ორი ან მეტი იერარქიული დონე. |
| **Section designation** | ნაწილის აღნიშვნა | სიტყვა, ან ასო, ან ნუმერაცია, ან მათი კომბინაცია, რომელიც საერთო სათაურს მიჰყვება და რომელიც მარტო ან ნაწილის სათაურთან კავშირში იხმარება, რათა განასხვავოს საერთო სათაურით გაერთიანებული სერიალების ჯგუფის ერთი ნაწილი.(იხ. ასევე ქვე-სერიის აღნიშვნა). |
| **Section title** | ნაწილის სათაური | სათაური**, რომელიც ახასიათებს ნაწილს** და ემსახურება საერთო სათაურის მქონე ერთმანეთთან დაკავშირებული სერიალური გამოცემების ჯგუფის ერთი ნაწილის გამორჩევას. სერიალის იდენტიფიკაციის მიზნით **ნაწილის** სათაური დამოკიდებულია საერთო სათაურზე იმისდა მიუხედავად განსხვავდებიან ისინი, თუ არა. |
| **Serial** | სერიალი | პუბლიკაცია ნაბეჭდი ან დაუბეჭდავი ფორმით, გამოშვებული თანმიმდევრულ ნაწილებად დაჩვეულებრივ ნუმერაცია ან ქრონოლოგიური აღნიშვნა და ივარაუდება მისი გაგრძელება განუსაზღვრელი დროით. სერიალები შეიცავენ პერიოდიკას, გაზეთებს, ყოველწლიურებს, საზოგადოებრივ ჟურნალებს, მემუარებს, შრომებს, ხელშეკრულებებს და ა.შ. და მონოგრაფიულ სერიალებს. ეს განსაზღვრება არ შეიცავს |

| | | |
|---|---|---|
| | | შრომებს, რომლებიც შექმნილია ნაწილ-ნაწილ იმ პერიოდის განმავლობაში,რომელიც გამიზნულია საბოლოოდ. (იხ. ISO 3297 1986 ISSN)/ |
| **Series** | სერია | ცალკეულ გამოცემათა ჯგუფი, რომლებიც ურთიერდაკავშირებულია იმით, რომ ყოველ პუბლიკაციას გარდა საკუთარი ძირითადი სათაურისა, გააჩნიათ კოლექტიური სათაური, რომელიც მიეკუთვნება მთელ ჯგუფს, როგორც ერთ მთლიანობას ე.ი. სერიის ძირითადი სათაური. ცალკეული პუბლიკაციები შეიძლება იყოს ან არ იყოს დანომრილი. |
| **Series statement** | ცნობები სერიის შესახებ | სერიის იდენტიფიცირების ძირითადი ელემენტები სერიაში შემავალი ცალკეული პუბლიკაციების ნუმერაციის ჩათვლით. იგი ასევე შეიცავს ცნობებს იმის შესახებ, რომ პუბლიკაცია შეადგენს მრავალტომიან გამოცემის ნაწილს. (იხ. ასევე ცნობები ქვესერიის შესახებ). |
| **Signature** | საგარანტიო წარწერა<br>მესტამბეთა ანდერძი | ასოები(ები) და\|ან სიმბოლო(ები) და\|ან ციფრები, რომლებიც ჩვეულებრივ ჩაბეჭდილია პუბლიკაციის ყოველი ნაკრების პირველ და ზოგ მომდევნო რექტო გვერდების ძირში და გამოიყენება ეგზემპლარის კორექტული დაბეჭდვის, აკინძვის და შედგენის საგარანტიოდ. |
| **Singl sheet publication** | ერთადერთი ფურცლის პუბლიკაცია | ცალკე გამოცემული აღწერილობა დაბეჭდილი ერთმაგი ან დაკეცილი ქაღალდის ან სხვა მასალის ფურცლის ერთ ან ორივე გვერდზე. ჩვეულებრივ, მისი კითხვა ხდება გაშლილი სახით, ფურცელი შეიძლება გამოშვებული იყოს დაკეცილი. |
| **Specific material designation** | სპეციფიკური მასალის აღნიშვნა | ტერმინი მიუთითებს მასალის სპეციფიკურ კლასზე, რომელსაც განეკუთვნება პუბლიკაცია. |
| **Split** | გახლეჩვა(გაყოფა) | სერიალის დაყოფა ორ ან მეტ ახალ და ცალკეულ სერიალებად. |
| **State** | მდგომარეობა | სახესხვაობა პუბლიკაციის შიგნით რომელიც განასხვავებს მას სხვა ეგზემპლარებისაგან იმავე ერთდჯერად(როული) ამონაბეჭდი ან გამოშვებაში რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში არ გამოჰყო გამომცემელმა როგორც ცდა დისკრეტული გამოცემის გამოსახვისა. |
| **Statement of responsibility** | ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ | სახელები, ფრაზები ან სიმბოლოების ჯგუფები, რომლებიც დაკავშირებულია ნაწარმოების შექმნაზე, ასევე მისი ინტელექტუალური ან მხატვრული შინაარსის შექმნასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის ან კოლექტივ(ებ)ის იდენტიფიკაციასთან და/ან მის ფუნქციასთან. ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ შეიძლება გვხვდებოდეს სათაურებთან კავშირში(მაგ. ძირითად სათაურთან, პარალელურ სათაურებთან, პუბლიკაციაში შემავალ ცალკეულ ნაწარმოებთა სათაურებთან; სათაურებთან, რომლებიც შეიცავენ ცნობებს სერიებისა და ქვესერიების შესახებ), ან ცნობებთან გამოცემის შესახებ. |
| **Sub-series** | ქვესერია | სერია, რომელიც არის დანომრილი სერიის ნაწილი(მთავარი სერია). ქვესერიას შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს ძირითად სერიაზე დაქვემდებარებული სათაური(იხ ასევე საერთო სათაური, დაქვემდებარებული სათაური). |
| **Sub series designation** | ქვესერიის აღნიშვნა | სერია, რომელიც წარმოადგენს დანომრილი სერიის (ძირითადი სერიის) ნაწილს. ქვესერიას შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს ძირითად სერიაზე დაქვემდებარებული სათაური. (იხ. აგრეთვე |

| | | |
|---|---|---|
| | | საერთო სათაური, დაქვემდებარებული სათაური). |
| **Sub-series statement** | ცნობები ქვესერიაზე | სიტყვა, ასო ან ნომერი, ან მათი კომბინაცია, რომელიც მოსდევს ძირითადი სერიის სათაურს და შეიძლება იწერებოდეს დამოუკიდებლად ან ქვესერიის სათაურთან ერთად. |
| **Supplement** | დამატება | პუბლიკაცია, ჩვეულებრივ გამოშვებული ცალკე, რომელიც ემატება მთავარ პუბლიკაციას მასში უახლესი მონაცემების ჩათვლით, ან სხვა სახით აგრძელებს მას ან შეიცავს სპეციალურ თვისებებს, რაც მასში ჩართული არ არის. დამატებას შეიძლება ჰქონდეს ან არა დაქვემდებარებული სათაური მთავარ პუბლიკაციაზე (იხ. ასევე საერთო სათაური, დაქვემდებარებული სათაური). |
| **Title** | სათაური | სიტყვა, ფრაზა ან სიმბოლოების ჯგუფი, რომლებიც ხშირად გვხვდებიან პუბლიკაციებში და, რომლებითაც მოიცემა პუბლიკაციების ან მასში შემავალი შრომები სახელი, (ან ნებისმიერი შრომა ცალკეულ ნაშრომთა ჯგუფებიდან). პუბლიკაციები ჩვეულებრივ შეიცავენ რამოდენიმე სათაურს (მაგ.: სატიტულე ფურცელზე, გარეკანზე ან ყუაზე), ეს სათაურები შეიძლება იყოს იდენტური ან განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. |
| **Title-page** | სატიტულე ფურცელი | გვერდი, რომელიც ჩვეულებრივად პუბლიკაციის დასაწყისშია და შეიცავს პუბლიკაციის და მასში შემავალ ნაწარმოებთა შესახებ ყველაზე უფრო სრულყოფილ ინფორმაციას და ჩვეულებრივად, შეიცავს ყველაზე უფრო სრულ ინფორმაციას სათაურის შესახებ, ცნობებს პასუხისმგებლობის შესახებ და სრულ ან ნაწილობრივ ცნობებს გამოქვეყნების შესახებ. თუ ელემენტები, რომლებიც ჩვეულებრივ წარმოდგენილია სატიტულე ფურცელზე, განაწილებულია ისე რომ, არ მეორდებიან ორ ურთიერთსაპირისპირო გვერდებზე, მაშინ ეს ორივე გვერდი განიხილება, როგორც სატიტულე ფურცელი. |
| **Title-page substitute** | სატიტულე ფურცლის შემცვლელი | გვერდი, გვერდის ნაწილი, ან პუბლიკაციის სხვა შემადგენელი ნაწილი, რომელიც, როგორც წესი, შეიცავს სატიტულე ფურცელზე მითითებულ ცნობებს და რომელიც სატიტულე ფურცლის არ არსებობის შემთხვევაში ცვლის მას, (მაგ: გარეკანი, სათაური ტექსტის დასაწყისში, კოლოფონი). |
| **Title proper** | ძირითადი სათაური | პუბლიკაციიის მთავარი სათაური, ე.ი. პუბლიკაციის სათაური იმ ფორმით, რომელიც მოცემულია სატიტულე ფურცელზე ან მის შემცვლელზე. ძირითადი სათაური შეიცავს ნებისმიერ ალტერნატიულ სათაურს, მაგრამ გამორიცხავს პარალელურ სათაურს და სხვა ცნობებს სათაურის შესახებ. პუბლიკაციებისათვის რომლებიც შეიცავენ რამოდენიმე ცალკეულ ნაწარმოებებს, ძირითად სათაურს წარმოადგენს კოლექტიური სათაური. პუბლიკაციები, რომლებიც შეიცავენ რამდენიმე ცალკეულ ნაწარმოებს და არ გააჩნიათ კოლექტიური სათაური, განიხილებიან, როგორც პუბლიკაციები ძირითადი სათაურის გარეშე. სერიებსა და ქვესერიებს აგრეთვე გააჩნიათ საკუთარი ძირითადი სათაური. ზოგიერთი ძირითადი სათაური შეადგება რამდენიმე სათაურისაგან, რომელთაგან ერთს ეწოდება საერთო, ხოლო დანარჩენებს - დაქვემდებარებული სათაურები. |

## 0.3 სსბა(ზ)-ს, სსბა(ს)-ს და სსმს-ების შედარებითი სქემა

0.3.1 სსბა(ს)-ის ძირითადი მონახაზი (სქემა)

| სფერო | ელემენტების წინამდებარე (ან განმაცალკევებელი) დაწესებული პუნქტუაცია | ელემენტი |
|---|---|---|

შენიშვნა: თითოეულ სფეროს, გარდა პირველისა, წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (. - ).

| | | |
|---|---|---|
| 1.სათაურისა და პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფერო | | 1.1 ძირითადი სათაური |
| | [] | 1.2 მასალის ზოგადი აღნიშვნა |
| | = | 1.3 პარალელური სათაური |
| | : | 1.4 სხვა ინფორმაცია სათაურზე |
| | | 1.5 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ |
| | / | პირველი ცნობა |
| | ; | მომდევნო ცნობა |
| 2.გამოცემის სფერო | | 2.1 ცნობა გამოცემის შესახებ |
| | = | 2.2 პარალელური ცნობა გამოცემის შესახებ |
| | | 2.3 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, გამოცემასთან ერთად. |
| | / | პირველი ცნობა |
| | ; | მომდევნო ცნობა |
| | , | 2.4 დამატებითი ცნობა გამოცემაზე |
| | | 2.5 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოსდევს დამატებით ცნობას გამოცემაზე |
| | / | პირველი ცნობა |
| | ; | მომდევნო ცნობა |
| 3. მასალის (ან პუბლიკაციის ტიპის ) სპეციფიური სფერო | | |
| 4. პუბლიკაციის, გავრცელებისა და ა.შ. სფერო | | 4.1 პუბლიკაციის, გავრცელებისა და ა.შ. ადგილი |
| | | პირველი ადგილი |
| | ; | შემდგომი ადგილი |

: 4.2 გამომცემლის, გამავრცელებლის და ა.შ. სახელი

[ ] 4.3 ცნობა გამომცემლის, გამავრცელებლის და ა.შ. ფუნქციის შესახებ.

, 4.4 პუბლიკაციის, გავრცელებისა და ა.შ. თარიღი.

( 4.5 წარმოების ადგილი

: 4.6 მწარმოებლის სახელი

,) 4.7 წარმოების თარიღი

5.ფიზიკური აღწერილობის სფერო

5.1 სპეციფიური მასალის აღნიშვნა და აღწერის ერთეულის ზომა

: 5.2 სხვა ფიზიკური დეტალები

; 5.3 აღწერის ერთეულის მოცულობა.

\+ 5.4 ცნობა თანმხლები მასალის შესახებ

6. სერიის სფერო

შენიშვნა :ცნობები სერიის შესახებ მოთავსებულია მრგვალ ფრჩხილებში. თუ არის ორი ან მეტი ცნობები სერიის შესახებ, მაშინ თითოეული მოთავსებულია მრგვალ ფრჩხილებში.

6.1 სერიის ძირითადი სათაური

= 6.2სერიის პარალელური სათაური

: 6.3 სერიის სათაურის შესახებ სხვა ცნობები

6.4 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ რომელიც ეხება სერიას

/ პირველი ცნობა

; მომდევნო ცნობა

, 6.5 სერიის საერთაშორისო სტანდარტული სერიალური ნომერი

; 6.6 ნუმერაცია სერიის შიგნით.

. 6.7 ქვესერიის სია და/ან სათაური

= 6.8 ქვესერიის პარალელური სათაური

: 6.9 ქვესერიის სათაურზე სხვა ცნობები

6.10 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ ქვესერიასთან დაკავშირებით

/ პირველი ცნობა

; მომდევნო ცნობა

, 6.11 ქვესერიის სსსნ

; 6.12 ნუმერაცია ქვესერიის შიგნით

7. შენიშვნების სფერო

| | | |
|---|---|---|
| 8. სტანდარტული (ან ალტერნა-ტიული) ნომრის და მისაწვდომობის პირობების სფერო | | 8.1 სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომერი |
| | = | 8.2 საკვანძო სათაური |
| | : | 8.3 მისაწვდომობის პირობები და/ან ფასი |
| | ( ) | 8.4 კვალიფიკაცია (ცვალებად პოზიციებში) |

0.3.2 სსბა(ს)-ის სქემა

| | | |
|---|---|---|
| სფერო | ელემენტის დაწესებული წინამდებარე(ან მოთავსებული) პუნქტუაცია. | ელემენტი |

*შენიშვნა:* თითოეული სფეროს, გარდა პირველისა, წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (. – ).

| | | |
|---|---|---|
| 1. სათაურისა და მისი პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფერო | | 1.1 ძირითადი სათაური |
| | [ ] | 1.2 მასალის ზოგადი აღნიშვნა |
| | = | *1.3 პარალელური სათაური |
| | | *1.4 სხვა ინფორმაცია სათაურზე |
| | | 1.5 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ |
| | / | პირველი ცნობა |
| | ; | *შემდგომი ცნობა |
| 2.გამოცემის სფერო | | 2.1 ცნობა გამოცემის შესახებ |
| | = | *2.2 პარალელური ცნობა გამოცემის შესახებ(არჩევით). |
| | | 2.3 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, გამოცემასთან ერთად. |
| | / | პირველი ცნობა |
| | ; | *შემდგომი ცნობა |
| | , | 2.4 დამატებითი ცნობა გამოცემაზე |

|  |  |  |
|---|---|---|
|  |  | 2.5 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოსდევს დამატებით ცნობას გამოცემაზე |
|  | / | პირველი ცნობა |
|  | ; | *შემდგომი ცნობა |
| 3.ნუმერაციის სფერო |  |  |
| 4. პუბლიკაციის, გავრცელებისა და ა.შ. სფერო |  | 4.1 პუბლიკაციის, და/ან გავრცელების ადგილი<br>პირველი ადგილი |
|  | ; | *შემდგომი ადგილი |
|  | : | *4.2 გამომცემლის, და/ან გამავრცელებლის სახელი |
|  | [ ] | *4.3 ცნობა გამავრცელებლის ფუნქციის შესახებ(არჩევით) |
|  | , | 4.4 პუბლიკაციის თარიღი |
|  | ( | *4.5 დაბეჭდვის ან წარმოების ადგილი (არჩევით) |
|  | : | *4.6 მბეჭდავის ან მწარმოებლის სახელი (არჩევით) |
|  | ,) | 4.7ბეჭდვის ან წარმოების თარიღი (არჩევით) |
| 5.ფიზიკური აღწერილობის სფერო |  | 5.1 სპეციფიური მასალის აღნიშვნა და მისი ხარისხი. (არჩევით) |
|  | : | 5.2 ცნობა ილუსტრაციაზე (არჩევით) |
|  | ; | 5.3 ზომები |
|  | + | 5.4 ცნობა თანმხლები მასალის შესახებ(არჩევით) |
| 6.სერია |  | 6.1 და 7 სერიის ან ქვესერიის ძირითადი სათაური |
| შენიშვნა :ცნობა სერიის შესახებ მოთავსებულია მრგვალ ფრჩხლებში.თუ ორი ან მეტი ცნობაა სერიის შესახებ, მაშინ თითოეული მოთავსებულია მრგვალ ფრჩხილებში. | = | * 6.2 და 8 სერიის ან ქვესერიის პარალელური სათაური |
|  | : | 6.3 და 9 სხვა ინფორმაცია სერიის ან ქვესერიის სათაურზე(არჩევით) |
|  |  | 6.4 და 10 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ რომელიც დაკავშირებულია სერიასთან ან ქვესერიასთან |
|  | / | პირველი ცნობა |
|  | ; | * შემდგომი ცნობა |
|  | , | 6.5 და 11 სერიის ან ქვესერიის საერთაშორისო სტანდარტული სერიალური ნომერი |
|  | ; | 6.6 და 12 ნუმერაცია სერიის ან ქვესერიის შიგნით. |

7.შენიშვნის სფერო

| | | |
|---|---|---|
| 8. სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომრის და მისაწვდომობის პირობების სფერო | | 8.1 საერთაშორისო სტანდარტული სერიალური ნომერი |
| | = | 8.2 საკვანძო სათაური |
| | : | *8.3 მისაწვდომობის პირობები და/ან ფასი |
| | ( ) | 8.4 კვალიფიკაცია |

## *ზოგადი შენიშვნები სსბა(ს)-ის სქემაზე*

ა. არჩევითი ელემენტები მითითებულია ისევე როგორც არის (იხ. 0.1.3)
ბ. ელემენტების წინამდებარე ვარსკვლავი შეიძლება განმეორდეს საჭიროებისამებრ.
გ. სფეროები 6(სერია) და 7(შენიშვნა) შეიძლება განმეორდნენ საჭიროებისამებრ.
დ. სქემაში ტერმინები "პირველი ცნობა"..., "შემდგომი ცნობა"... და ამის მსგავსი, მიუთითებენ აღწერილობაში მოცემული ცნობების თანმიმდევრობას, და მათ სხვა დამატებითი მნიშვნელობა არ გააჩნიათ.
ე. როდესაც კი ინფორმაცია, ჩვეულებრივად დაკავშირებული ერთ სფეროსთან ან ელემენტთან, პუბლიკაციაში გამოჩნდება ენობრივად დაკავშირებული როგორც მეორე სფეროს ან ელემენტის განუყოფელი ნაწილი, ჩაიწერება ისევე როგორც არის.

0.3.3 სსბა(ს)-სა სსმს-ის შედარება

| სსბა(ს)-ის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ელემენტები | სსმს-ის ბიბლიოგრაფიული მონაცემები[5] |
|---|---|

| | |
|---|---|
| ძირითადი სათაური | ძირითადი სათაური |
| პარალელური სათაური(ები)<br>სხვა ინფორმაცია სათაურზე<br>ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ<br>ცნობა გამოცემაზე | პარალელური სათაური(ები)<br>-6/<br>გამომშვები ორგანოს სახელწოდება[7]/<br>-8/ |
| ნუმერაცია | -9/ |
| გამოცემის ადგილი | გამოცემის ადგილი |
| გამომცემლის სახელი<br>გამოცემის თარიღი<br>მოცულობა(ზომა) | გამომცემლის სახელი<br>გამოცემის თარიღი[10]/<br>– |
| სერიის ძირითადი სათაური | სერიის საკვანძო სათაური |

| | |
|---|---|
| სერიის სსსნ | სერიის სსსნ |
| ქვესერიის ძირითადი სათაური | ქვესერიის საკვანძო სათაური |
| ქვესერიის სსსნ | ქვესერიის სსსნ |
| ბიბლიოგრაფიული ისტორია | ბიბლიოგრაფიული ისტორია |
| სსსნ | სსსნ[12]/ |
| საკვანძო სათაური | საკვანძო სათაური[12]/ |

**0.3.3.1** იმის გარდა,რაც შემოთავაზებულია წინამდებარე სქემით, სსზა(ს)-ისა და სსმს-ის შესატყვისი ელემენტებით, წარმოდგენილი სსზა(ს)-ს ტექსტი იმ მთავარი ძალისხმევის შედეგია, რომელიც შეათანხმებს ამ ორს შორის განსხვავებას. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს,რომ სსზა(ს)-ის საერთო/ნაწილის სათაურების, მთავარი სერია/ქვესერიის სათაურები და მთავარი პუბლიკაციის/დამატებების სათაურების ან ჩანართის სათაურის ხმარება მჭიდროდ დგას სსმს-ის ხმარებასთან ახლა,რომელიც შეიცავს ტერმინოლოგიის დეტალებს და უფრო მეტიც, ამ ტერმინების ახსნა შეიძლება ვნახოთ სსმს-ის სახელმძღვანელოში. საერთო/ნაწილის სათაურის მდგომარეობისა და მთავარი სერიის/ქვესერიის მდგომარეობის კომპლექსური ბუნება, განსაკუთრებით როცა ისინი გადაყვანილია სსმს-დან სსზა(ს)-ში, მოითხოვს შემდგომ განმარტებას(ასევე იხ.0.2 განსაზღვრებები-საერთო სათაურზე, დაქვემდებარებულ სათაურზე,ნაწილზე, ქვესერიაზე და დამატებაზე).

ა) სერიალები, რომლებსაც აქვთ ნაწილები, განიხილებიან შემდეგნაირად: ნაწილების სათაური, განსხვავებულია თუ არა, ყოველთვის დამოკიდებულია საერთო სათაურზე ყველა ნაწილის მიმართ და ეწოდება "საერთო სათაური". ნაწილის სათაური არის "დაქვემდებარებული სათაური" და ჩაიწერება საერთო სათაურზე დაქვემდებარებით. ამ ორის კომბინაცია ქმნის ძირითად სათაურს. საერთო სათაური არ წარმოადგენს ცალკე ბიბლიოგრაფიულ ერთეულს; არ არსებობს სერიალი, რომელიც მხოლოდ საერთო სათაურს ატარებდეს.

ბ) როდესაც სერიალი სხვა სერიალის ქვესერიაა, მას შესაძლებელია ჰქონდეს, ან არა მთავარ სერიაზე დაქვემდებარებული სათაური. განსხვავებული, დამოუკიდებელი ქვესერიის სათაური იწერება, როგორც ძირითადი სათაური. განუსხვავებელი ქვესერიის სათაური ჩაიწერება

მთავარი სერიის სათაურზე დაქვემდებარებით. ამ ბოლო შემთხვევაში მთავარი სერიის სათაური არის "საერთო სათაური" და განუსხვავებელი ქვესერიის სათაური არის "დაქვემდებარებული სათაური". ამ ორის კომბინაცია ქმნის ძირითად სათაურს. ქვესერიის აუცილებელი პირობაა, რომ მთავარი სერია თავისი საკუთარი სათაურითა და ნუმერაციით არსებობდეს ქვესერიისაგან საკმაოდ დამოუკიდებლად. ორივე, მთავარი სერია და ქვესერია არიან ცალკე ბიბლიოგრაფიული ერთეულები.

გ) დამატებები და ჩანართები სერიალზე, მიუხედავად იმისა, რომ ქმნიან ქვესერიიდან სერიალის ნაწილობრივ განსხვავებულ კატეგორიას, მაინც განიხილება იმავე გზით. დამოუკიდებელი სათაურები ჩაიწერებიან როგორც ძირითადი სათაურები, იმ დროს, როდესაც დაქვემდებარებული სათაურები ჩაიწერებიან მთავარი პუბლიკაციის სათაურზე დაქვემდებარებულად.

საბოლოოდ, სხვადასხვა დებულებები ფორმულირების გაიოლების მიზნით სსბა(ს)-ში, სადაც შეესატყვისება, ფრაზები "დაქვემდებარებული სათაურის აღნიშვნა" და "დაქვემდებარებული სათაური" გაგებული უნდა იყვეს როგორც მითითება ნაწილის აღნიშვნაზე და/ან სათაურზე, ქვესერიის აღნიშვნაზე და/ან დაქვემდებარებული ქვესერიის სათაურზე ან დამოკიდებული დამატების ან ჩანართის სათაურზე. ამგვარად, ფრაზა "საერთო სათაური" გაგებული უნდა იყოს როგორც მითითება მთავარი სერიის სათაურსა და მთავარი პუბლიკაციის სათაურზეც.

## 0.4 პუნქტუაცია

0.4.1 აღწერილობის თითოეულ ელემენტს, გარდა 1-ლი სფეროს პირველი ელემენტისა, წინ უძღვის ან ბოლოში უთავსდება დაწესებული პუნქტუაცია (იხ. 0.4.3 სხვა გამონაკლისებისთვის).დაწესებულ პუნქტუაციას წინ უძღვის და ბოლოში აქვს ინტერვალი (ერთი დარტყმა საბეჭდ მანქანაზე ან ერთი ფართო ინტერვალი ბეჭდვის დროს), გარდა მძიმისა(,) და წერტილისა(.), რომელსაც მხოლოდ ინტერვალი მოსდევს. სხვა პუნქტუაციის ჩართვა ისევე, როგორც ამ პუნქტუაციის წინ და უკან ინტერვალების დასმა, შეიძლება დაწესებული იქნას ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტოების ან საკატალოგიზაციო ორგანიზაციების მიერ. სსბა-ს პუნქტუაცია შენარჩუნებულია მაშინაც კი, როდესაც ამას ორმაგი პუნქტუაციის შედეგად ვიღებთ (მაგრამ იხ. 0.4.7). მარჯვნიდან მარცხნივ დამწერლობის პუნქტუაციისათვის იხ. 0.4.11.

0.4.2 პერენზისები, ანუ მრგვალი ფრჩხილები ( ( ) ) და კვადრატული ფრჩხილები ([] ) (იხ 0. 4.8), თითოეული განიხილება როგორც პუნქტუაციის ერთი სიმბოლო, წინამდებარე ინტერვალი მოდის პირველი (გამხსნელი) მრგვალი ფრჩხილის ან კვადრატული ფრჩხილის წინ და მომდევნო ინტერვალი მოდის მეორე (დამაბოლოვებელი) მრგვალი ფრჩხილის ან კვადრატული ფრჩხილის შემდეგ ( მგრამ იხ.0.10). თუ მრგვალ ან კვადრატულ ფრჩხილებს წინ უძღვის ან მოსდევს დაწესებული პუნქტუაცია, რომელიც მთავრდება ან იწყება ინტერვალით, მაშინ, მხოლოდ ერთი ინტერვალია მოცემული.

მაგ-ად . – [S. l.] : [s.l.] და არა . – [S.l.] : [s.l.]

0.4.3 სსბა-ების თითოეულ სფეროს პიოველი სფეროს გარდა, წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (. – ), თუ კი ეს სფერო ნათლად გამოკვეთილი არ არის წინამდებარე

სფეროდან აბზაცით, პოლიგრაფიულად ან შეწევით, რომელ შემთხვევაშიც წერტილი, ინტერვალი,ტირე, ინტერვალი, შესაძლოა გამოვტოვოთ ან შევცვალოთ წერტილით (.), რომელიც მოცემულია წინამდებარე სფეროს ბოლოში.

0.4.4 როდესაც სფეროს პირველი ელემენტი არ არის აღწერილობაში, პირველი ელემენტის არსებული დაწესებული პუნქტუაცია იცვლება ამგვარად: წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (. – ), რომლებიც სფეროს წინ არიან.

0.4.5 როდესაც სფერო მეორდება, თითოეულ გამეორებას წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (. – ), გარდა (ა) იმ პირობისა, რაც 0.4.3-ში არის აღწერილი და (ბ), როგორც მე-6 სფეროშია მოცემული, პუნქტუაციის ნიმუში ბ-გ, მრავალსერიული ცნობებისათვის.

0.4.6 როდესაც ელემენტი მეორდება, თითოეულ გამეორებას წინ უძღვის ელემენტის შესატყვისი დადგენილი პუნქტუაცია.

0.4.7 როდესაც ელემენტი მთავრდება წერტილით და ელემენტისთვის დაწესებული პუნქტუაცია, რომელიც მას მოსდევს, იწყება წერტილით, ორიდან რჩება მხოლოდ ერთი წერტილი.

მაგ-ად 3rd ed. – და არა 3rd ed.. –

And then... – 4th ed. და არა And then.... – 4th ed.

0.4.8 პუნქტუაციის სამი სიმბოლო შეიძლება გამოვიყენოთ ყველა ან უმეტეს სფეროში:

ა) კვადრატული ფრჩხილები ([ ]) დაწესებული პუნქტუაციაა, რომლის საშუალებითაც განსაზღვრული ელემენტები თავსდებიან 1-ლ (იხ. 0.5.2) და მე-4(იხ. 4.3) სფეროებში. კვადრატულ ფრჩხილებში თავსდება ინფორმაცია, რომელიც ამოღებული არ არის ინფორმაციის დაწესებული წყაროდან (იხ. 0. 5. 2) და ინტერპოლაციები აღწერილობაში (იხ. 0.6, 0.7, 0.10, 0.11).
თუ იმავე სფეროს შიგნით მომდევნო ელემენტები მიღებული არიან არა დაწესებული წყაროდან, მაშინ ისინი თავსდებიან ერთ წყვილ კვადრატულ ფრჩხილებში, თუ ერთი ელემენტი არ არის მასალის ზოგადი აღნიშვნა, რომელიც ყოველთვის თავსდება თავის საკუთარ წყვილ კვადრატულ ფრჩხილებში.
თუ მომდევნო ელემენტები სხვადასხვა სფეროებში არიან, თითოეული ელემენტი თავსდება კვადრატულ ფრჩხილების ცალკეულ წყვილში.

ბ) გამოტოვების ნიშნები, ანუ სამი წერტილი (...), მიუთითებს ელემენტის ზოგი ნაწილის გამოტოვებას ( იხ. 0.7.1, 0.7.2).

გ) მრგვალი ფრჩხილები (()) დაწესებული პუნქტუაციაა, რომელიც ათავსებს თითოეულ სერიულ ცნობას მე-6 სფეროში, გარკვეულ ელემენტებს მე-4 სფეროში და ათავსებს ინფორმაციას მე-5 და მე-8 სფეროების განსაზღვრულ ელემენტებში.
პუნქტუაციის ერთი სიმბოლო პლუსი(+), რომელსაც წინ უძღვის და მოსდევს ინტერვალი, დაწესებული პუნქტუაციაა მე-5 სფეროში ( იხ. 5.4).

0.4. 9 როდესაც სფეროში ან ელემენტში ერთი და იგივე ინფორმაცია მოცემულია ორ ან მეტ ენაზე და/ან დამწერლობით, გამოიყენება შემდეგი პირობები:

თუ ერთი ელემენტი ჩაწერილია ორ ან მეტ ენაზე და/ან დამწერლობით, პირველი ენის შემდეგ ინფორმაციას თითოეულ ენაზე და/ან დამწერლობაში წინ უძღვის ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი ( = ).

თუ ერთ სფეროში, ორი ან მეტი ელემენტი ჩაწერილია ორ ან მეტ ენაზე და⁄ან დამწერლობით, მაშინ ეს ელემენტები თითოეულ ენაზე და⁄ან დამწერლობით მოცემულია შესაბამის წინამდებარე პუნქტუაციასთან ერთად თითოეული ელემენტისთვის. პირველ ენაზე და⁄ან დამწერლობით ჩაწერილი ელემენტების მთელ ჯგუფს წინ უწღვის პირველი ელემენტისთვის შესაბამისი პუნქტუაცია, და პირველის შემდეგ თითოეულ ჯგუფს წინ უძღვის ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი ( = ).

0.4.10 სფერო ან ელემენტი, რომელიც არ მიესადაგება პუბლიკაციას, აღწერილობაში ჩართული არ არის. ასევე გამოტოვებულია ასეთი სფეროს ან ელემენტის წინამდებარე ან განმაცალკევებელი დაწესებული პუნქტუაციაც.

0.4.11 როდესაც ინფორმაცია მოცემულია მარჯვნიდან მარცხნივ დამწერლობით, მძიმე და წერტილ-მძიმე, როგორც დაწესებული პუნქტუაცია, გამოიყენება საწინააღმდეგო მიმართულებით, როცა ეს დამწერლობის სტილია. ასევე, დაწესებული პუნქტუაციის კომბინაცია წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი იკითხება მარჯვნიდან მარცხნივ და მრგვალი- გამხსნელი და დამხურავი ფრჩხილების და კვადრატული ფრჩხილების მნიშვნელობებიც იცვლებიან.

დახრილი ხაზის ნიშანი და დასავლურ არაბული ციფრების ჯგუფი, რომლებიც ასეთ დამწერლობაში საწინააღმდეგოდ არ იცვლებიან, მაშინაც, როცა ჩაწერილია.

იხილეთ დანართი ზ, სადაც განხილულია ორივე დამწერლობაში მოცემული ინფორმაციის ჩაწერა როგორც მაცხნიდან მარჯვნივ, ისე, მარჯვნიდან მარცხნივ.

თითოეული სფეროსთვის სრული პუნქტუაციის ნიმუში წარმოდგენილია სფეროს დასაწყისში.

## 0.5 ინფორმაციის დაწესებული წყაროები

სერიული გამოშვების აღწერილობაში გამოყენებული ინფორმაცია ამოღებულია გარკვეული წყაროებიდან, რომელიც დაწესებული პრივილეგიურ თანმიმდევრობაშია. სერიალებისთვის მასალის განსაკუთრებულ კატეგორიებში შესაბამისი სსბა გათვალისწინებული იქნება დაწესებული წყაროებისთვის. (მაგ-ად ხმის სერიული ჩაწერისთვის გაითვალისწინეთ სსბა (აწმ)) .

0. 5. 1 წყაროების პრივილეგიური თანმიმდევრობა

ა. სატიტულე გვერდი

ბ. გარეკანი, სათაურის სათაური, მასჰედი, რედაქტორის გვერდი, კოლოფონი.

გ. სხვა პრელიმინარები და ინფორმაცია, რომელიც მოცემულია სუპერყდაზე, ტექსტის გვერდის თავსა და ბოლოში ( როგორც კოლონტიტული).

დ. გამოშვების დანარჩენი ნაწილი: შესავალი, წინასიტყვაობა, სარჩევი, ტექსტი, დამატებები და სხვ.

ე. ცნობის წყაროები, რომლებიც არა გამოშვებიდან არიან ამოღებული და მასთან არ არიან დაკავშირებული (მაგ-ად ბიბლიოგრაფიები, გამომცემელთა სიები).

როცა აღწერილ გამოშვებას აკლია სატიტულე გვერდი, სატიტულე გვერდის შემცვლელი შეირჩევა შემდეგი პრივილეგიური თანმიმდევრობის გათვალისწინებით: გარეკანი, სათაურის სათაური, მასჰედი, რედაქტორის გვერდი, კოლოფონი, სხვა გვერდები ( მაგრამ იხ. ქვემოთ ).
აღმოსავლური პუბლიკაციების შემთხვევაში არა-რომაულ დამწერლობით, სადაც მთელი ბიბლიოგრაფიული დეტალები მოცემულია კოლოფონში, ფურცელი, რომელიც სატიტულე გვერდის ნაცვლად დგას და ატარებს ძირითად სათაურს, არ ჩაითვლება სატიტულე გვერდად შემდეგ შემთხვევებში:

ა. როდესაც ფურცელი ატარებს მხოლოდ ძირითად სათაურს შმუცტიტულის გვერდის სახით.

ბ. როდესაც ფურცელი ატარებს ძირითად სათაურს, სხვა ბიბლიოგრაფიულ სათაურთან ერთად ან მის გარეშე, კალიგრაფიულ ვერსიაში (მთელი ბიბლიოგრაფიული დეტალები მოცემულია კოლოფონში ჩინური სიმბოლოების ტრადიციული ფორმით, როგორც ის იხმარება თანამედროვე ჩინურ, იაპონურ და კორეულ ბეჭდვაში).

გ. როდესაც ფურცელი ატარებს სათაურის და/ან პუბლიკაციის დეტალების მხოლოდ დასავლური ენის ვერსიას. თითოეულ ამ შემთხვევაში სატიტულე გვერდის შემცვლელისთვის პირველი უპირატესობა არის კოლოფონი.

0.5.2 ინფორმაციის დაწესებული წყაროები

0.5.2.1 თითოეული სფეროსთვის გარკვეული წყაროები აღნიშნულია როგორც " ინფორმაციის დაწესებული წყაროები".

თუ 1-ელ და მე-2 სფეროების მონაცემთა ელემენტები მოცემულია სხვადასხვა წყაროებში (სატიტულე გვერდი + გარეკანი ან გარეკანი + კოლოფონი და ა.შ.), აარჩიეთ წყარო, წყაროთა პრივილეგიური თანმიმდევრობით და ჩაწერეთ იქ მოცემული ფორმა. თუ შეესატყვისება, მიჰყევით ინფორმაციის თანმიმდევრობის რიგს, რომელიც იმ წყაროშია მოცემული.
მე-3, 4 და მე-6 სფეროებისთვის მრავალი წყაროა დაწესებული, ისე რომ, ეს არის წყაროთა კომბინაცია რაც ქმნის "დაწესებულ წყაროს". თუ ამ სფეროებისთვის მონაცემთა ელემენტები მოცემულია სხვადასხვა წყაროებში, აარჩიეთ წყარო, წყაროების პრივილეგიური თანმიმდევრობით ( იხ. 0.5.1) და ჩაწერეთ იქ მოცემული ფორმა. თუ შეესატყვისება, მიჰყევით ინფორმაციის თანმიმდევრობის რიგს, რომელიც იმ წყაროშია მოცემული.
ინფორმაცია, რომელიც წყაროდან არის ამოღებული, და არა სფეროსთვის დაწესებული წყაროდან, განცალკევებულია კვადრატულ ფრჩხილებში ([ ]) თუ ის ჩაწერილია, როგორც სფეროს ნაწილი. ინფორმაციის ფრჩხილებში ჩასმის პრინციპი სატიტულე გვერდის შემცვლელთან შედარებით, როდესაც გამოშვებას აკლია სატიტულე გვერდი, იგივეა, რაც ფრჩხილებში ჩასმული ინფორმაცია ,როდესაც გამოშვებას აქვს სატიტულე გვერდი. ალტერნატიულად, ინფორმაცია შესაძლებელია მოცემული იყოს მე-7 სფეროში. განსაზღვრული დებულებები მოცემულია სსბა(ს)-ის შესატყვის ნაწილში.

სფერო ინფორმაციის დაწესებული წყაროები

| | |
|---|---|
| 1. სათაური და ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ | სატიტულე გვერდი[13] |
| 2. გამოცემა | სატიტულე გვერდი[13] |
| 3. ნუმერაცია | სატიტულე გვერდი[13], გარეკანი, სათაურის სათაური, მასჰედი, რედაქტორის გვერდი, კოლოფონი და სხვა პრელიმინარები. |
| 4. პუბლიკაციის გავრცელება და ა.შ. | სატიტულე გვერდი[13], გარეკანი, სათაურის სათაური, მასჰედი, რედაქტორის გვერდი, კოლოფონი და სხვა პრელიმინარები. |
| 5. ფიზიკური აღწერილობა | თვითონ გამოშვება |
| 6. სერია | სატიტულე გვერდი[13], გარეკანი, სათაურის სათაური, მასჰედი, რედაქტორის გვერდი, კოლოფონი და სხვა პრელიმინარები. |
| 7. შენიშვნა | ნებისმიერი წყარო |
| 8. სტანდარტული ნომერი ( ან ალტერნატიული) და მისაწვდომობის პირობები | ნებისმიერი წყარო |

თითოეული სერიისთვის დაწესებული წყარო (ები) ასევე წარმოდგენილია პუნქტუაციის ნიმუშის შემდეგ ყოველი სფეროს დასაწყისში.

0. 5. 2. 2 სრული სერიალის აღწერისას პირველ გამოშვებაში არსებული ინფორმაცია (ან პირველ საჭირო გამოშვებაში, იხ. 0.1.3 ) გამოიყენება როგორც აღწერილობის საფუძველი. ინფორმაცია, რომელიც ამოღებულია ვრცელი ტომის სატიტულე გვერდიდან და/ან სხვა დაწესებული წყაროებიდან – მოცემულია მე-7 სფეროში. შეწყვეტილი სერიალის აღწერისას ( ან გამოშვების ლიმიტირებული გაგრძელება ) აღწერილობის საფუძველი და ინფორმაციის დაწესებული წყარო არის შემდეგი:

| სფერო | აღწერილობის საფუძველი | ინფორმაციის დაწესებული წყარო |
|---|---|---|

შენიშვნა: ფრჩხილებში მოცემული
ტექსტი ერთვის იქ, სადაც გამოშვების
ლიმიტირებული გაგრძელება
აიწერება

| | | |
|---|---|---|
| 1. | პირველი ( ან პირველი საჭირო) გამოშვება | სატიტულე გვერდი[14] |
| 2. | პირველი (ან პირველი საჭირო) გამოშვება | სატიტულე გვერდი[14] |
| 3. | პირველი და ბოლო გამოშვება (ან პირველი და ბოლო საჭირო გამოშვება. | სატიტულე გვერდი[14], გარეკანი, სათაურის სათაური, მასჰედი, რედაქტორის გვერდი, კოლოფონი და სხვა პრილიმინარები |
| 4. | პირველი (ან პირველი საჭირო) გამოშვება.<br><br>შენიშვნა: პუბლიკაციის თარიღის შემთხვევაში და/ან პირველი და ბოლო<br>გამოშვების დაბეჭდვისას (ან პირველი და ბოლო საჭირო გამოშვება). | სატიტულე გვერდი[14], გარეკანი, სათაურის სათაური, მასჰედი, რედაქტორის გვერდი, კოლოფონი და სხვა პრილიმინარები |
| 5. | სრული პუბლიკაცია ( ან ლიმიტირებული გაგრძელება). | თვითონ გამოშვებები |
| 6. | სრული პუბლიკაცია ( ან ლიმიტირებული გაგრძელება). | სატიტულე გვერდი[14], გარეკანი, სათაურის სათაური, რედაქტორის გვერდი, კოლოფონი და სხვა პრილიმინარები. |
| 7. | სრული პუბლიკაცია ( ან ლიმიტირებული გაგრძელება ). | ნებისმიერი წყარო |
| 8. | სრული პუბლიკაცია ( ან ლიმიტირებული გაგრძელება ). | ნებისმიერი წყარო |

## 0.6 აღწერილობის ენა და დამწერლობა

1-ლ, მე-2, 3, 4 და მე-6 სფეროებში ელემენტები ჩვეულებრივ გადაიწერება პუბლიკაციიდან და ამიტომაც, სადაც კი შესაძლებელია, ისინი არიან ენაზე(ებზე) და/ან დამწერლობით(ებით), რომლებშიც ისინი გამოჩნდებიან. ამ სფეროებში მოცემული ინტერპოლაციები კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული და აღწერილობის იმ ნაწილის კონტექსტის ენაზე და/ან დამწერლობით არის, გარდა შემდეგი შემთხვევისა:

- დაწესებული აბრევიატურები ( იხ. 0. 7 ) და დაწესებული ინტერპოლაციები (იხ. 0. 10; 0.11);
- მასალის ზოგადი აღნიშვნა ( იხ. 1.2 ) და ცნობა გამავრცელებლის ფუნქციის შესახებ (იხ. 4.3), რომლებიც, როცა დამატებულია, მოცემულია იმ ენაზე და/ან დამწერლობით, რომელსაც ირჩევს ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტო. ტერმინები,რომლებიც გამოყენებულია მე-5, 7 და მე-8 სფეროებში, არ არის განცალკევებული კვადრატულ ფრჩხილებში და მოცემულია იმ ენაზე და/ან დამწერლობით, რომელსაც ირჩევს ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტო, გარდა:

– როდესაც, ციტირებული სათაურები მოცემულია მე-7 სფეროში.
– როდესაც, ციტატები მოცემულია მე-7 სფეროში.
– როდესაც, საკვანძო სათაური მოცემულია მე-8 სფეროში.

პუბლიკაციის აღწერილობა, რომელიც მოცემულია იმ დამწერლობით, რომელსაც არ იყენებს ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტო, საჭიროებისამებრ, შესაძლებელია ტრანსლიტირებული იქნას ან ჩაწერილი ფრჩხილების გარეშე იმ დამწერლობით, რომელსაც იყენებს სააგენტო.

## 0. 7 შემოკლებები და აბრევიატურები

0.7.1 განსაკუთრებულ შემთხვევებში აღწერილობაში დაშვებულია გარკვეული ელემენტების შემოკლებები. (მაგ-თად, ძირითადი სათაური, რომელიც მოიცავს თარიღს და ნომერს, რომელიც იცვლება გამოშვებიდან გამოშვებამდე). ასეთ შემთხვევებში გამოტოვებები მითითებულია გამოტოვების ნიშნით.

0.7.2 პასუხისმგებლობის ერთი ცნობის შემოკლების შემთხვევაში, რომელიც შედგება რამოდენიმე პიროვნების ან კორპორაციული ორგანოს სახელისაგან ( იხ. 1. 5. 4. 3 ), გამოტოვება მითითებულია გამოტოვების ნიშნით და დაწესებული შემოკლების "et al." (=et alii, და სხვები )-ის ჩასმით, რომელიც განცალკევებულია კვადრატულ ფრჩხილებში ( ან არა-რომაული დამწერლობის ჩანაწერებისთვის, მისი ექვივალენტი სხვა დამწერლობაში ).

0.7.3 სხვა აბრევიატურები დაწესებულია სპეციალურ დებულებებში (მაგ-ად, 4. 1. 15; 5.3.1 ).
0.7.4 სსბა-ების სხვადასხვა დებულებებში გამოსაყენებლად გათვალისწინებულია "სტანდარტული აბრევიატურები" (მაგ-ად, გამოცემის შესახებ დამატებით ცნობაში, იხ. 2.1.2 ) მომდევნო აბრევიატურების ფორმების დაზუსტების გარეშე. ეს აბრევიატურები არ არის დაწესებული, მაგრამ რეკომენდირებულია ISO 832-1975 "დოკუმენტაცია-ბიბლიოგრაფიული ცნობარი-ტიპიური სიტყვების აბრევიატურა" ან გამოიყენება მსგავსი ეროვნული სტანდარტების გამოყენება.
სსბა-ებში გამოყენებული აბრევიატურების მაგალითები, გარდა ზემოთ 0.7.2-სა და 0.7.3-ში დაწესებული აბრევიატურებისა საილუსტრაციო ხასიათისაა და არა დადგენილი.

0.7.5 სპეციალურად დაწესებული ან დაშვებული შემოკლებებისა და აბრევიატურების გარდა, მონაცემთა ჩაწერა 1-ლ,მე-2,3 და მე-6 სფეროებში არ გამოხატავს აბრევიატურებს, თუ ისინი წყაროებში მოცემული არ არის.

## 0.8 დიდი ასოების გამოყენება (კაპიტალიზაცია)

ზოგადად, თითოეული სფეროს პირველი სიტყვის პირველი ასო უნდა იყოს დიდი ასო. ზოგი ელემენტის, პირველი სიტყვის პირველი ასო (მაგ-ად, მასალის ზოგადი აღნიშვნა, პარალელური სათაური, ალტერნატიული სათაური, ნაწილის სათაური) უნდა იყოს დიდი ასო. დიდი ასოები უნდა მიჰყვებოდეს შესაბამისი ენის (ების) და/ან დამწერლობის გამოყენებას, რომელსაც ვიყენებთ აღწერილობაში (იხ. 0.6). როდესაც ერთზე მეტი ენა და/ან დამწერლობა მოცემულია აღწერილობაში, თითოეული უნდა დაიწეროს დიდი ასოთი იმ ენისა და/დამწერლობის ხმარების თანახმად მაშინაც, როდესაც

აღწეროლობისთვის ის გადმოსცემს დიდი ასოების საწინააღმდეგო ნიმუშს, როგორც მთელს.

## 0.9 მაგალითები

სსბა-ებში სრულად მოცემული მაგალითები საილუსტრაციოა და არა სავალდებულო, გარდა, როცა დებულებები განსაზღვრავენ, რომ მაგალითში (ებში) მოცემული ფორმა უნდა იყოს მიმყოლი. უმეტესი მაგალითები დაფუძნებულია არსებული პუბლიკაციის აღწერილობაზე, მაგრამ ზოგი წარმოსახვითი მაგალითები ჩართული უნდა იყოს.

სსბა-ების ინგლისურ ტექსტში გამოყენებული ტერმინები და სიტყვები ან მოკლე ფრაზები, რომლებიც დამატებულია მაგალითებზე მე-5, 7 და მე-8 სფეროებში, ინგლისურ ენაზეა მოცემული.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ სსბა-ების თარგმანებში, ასეთი ტერმინები , სიტყვები და ფრაზები უნდა გადმოიცეს თარგმანის ენაზე.

## 0.10 ბეჭდვითი შეცდომები

უზუსტობანი ან ბეჭდვითი შეცდომები ისევე ჩაიწერებიან, როგორც მოცემულია აღსაწერ გამოშვებაში და ისევე, როგორც გვხვდება პუბლიკაციაში, როგორც მუდმივი დეტალი. ბეჭდვითი შეცდომები, რომლებიც შემთხვევით ჩნდებიან გამოშვებაში იგნორირებულია ან შესაძლოა მოცემული იყოს მე-7 სფეროში.

უზუსტობებისა ან ბეჭდვითი შეცდომების შემდეგ შეიძლება დაისვას "sic" ან "!", რომლებიც კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული ( [ sic ]ან [ ! ] ). ალტერნატიულად, სწორი ვერსია შეიძლება დაემატოს, მოცემული კვადრატულ ფრჩხილებში და შესწორებას წინ უძღვის " i. e " ან მისი ექვივალენტი სხვა ენაზე და/ან დამწერლობით.

ასოები ან ციფრები, რომლებიც გამორჩათ შეცდომით დაბეჭდილ სიტყვებში ან თარიღებში, შესაძლოა ჩაისვას ან მოთავსდეს კვადრატულ ფრჩხილებში (ამ შემთხვევაში, არც წინ და არც უკან არ უნდა იყვეს ინტერვალი ).

## 0.11 სიმბოლოები

სიმბოლო ან სხვა ნიშანი, რომელთა აღდგენაც შეუძლებელია ტიპოგრაფიული საშუალებებით (ჩვეულებრივი სიმბოლოები, რომლებიც არც ციფრებია და არც ანბანური ნიშანი ), ჩაინაცვლება მისი აღწერილობისა ან ექვივალენტის შესაბამისი ასოებითა და სიტყვებით. შემცვლელი თავსდება კვადრატულ ფრჩხილებში და განმარტება კეთდება შენიშვნაში, საჭიროებისამებრ.

მაგ-ად. [3$^{rd}$] ed.

შენიშვნა: გამოცემის ნომერი მოცემულია სატიტულე გვერდზე სამი ვარსკვლავით.

ელემენტების სპეციფიკაცია

## 1. სათაურისა და პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფერო

*შინაარსი*

1.1 ძირითადი სათაური
1.2 მასალის ზოგადი აღნიშვნა (არჩევით)
1.3 პარალელური სათაურები
1.4 სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ
1.5 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ

### პუნქტუაციის ნიმუში

ა) მასალის ზოგადი აღნიშვნა მოთავსებულია კვადრატულ ფრჩხილებში. პირველ ფრჩხილს წინ უსწრებს და მეორეს ბოლოში მოსდევს ინტერვალი ([ ]).

ბ) თვითოეულ პარალელურ სათაურს წინ უძღვის ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი ( = ).

გ) სხვა ინფორმაციის თვითოეულ ელემენტს სათაურის შესახებ წინ უძღვის ინტერვალი, ორი წერტილი, ინტერვალი ( : ), თუ სიტყვა ან ფრაზა ჩაწერილი არ არის პუბლიკაციაში რომ დააკავშიროს მომდევნო ერთეული წინამდებარე ერთეულთან.

დ) პირველ ცნობას პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მიჰყვება ნებისმიერ სათაურს, წინ უძღვის ინტერვალი, დახრილი ხაზი, ინტერვალი ( / ).

ე) თვითოეულ მომდევნო ცნობას პასუხისმგებლობის შესახებ წინ უძღვის ინტერვალი, წერტილ-მძიმე, ინტერვალი ( ; ), თუ ისინი (ცნობები) არ ითვალისწინებენ ერთი ფრაზის შექმნას.

ვ) სათაურის შემთხვევაში, რომელიც შედგება საერთო და დაქვემდებარებული სათაურებისაგან, თვითოეული დაქვემდებარებული სათაურის აღნიშვნას, თუნდაც რომელიმეს, ან თვითოეულ დაქვემდებარებულ სათაურს, რომელიც მისდევს საერთო სათაურს, წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი (. ).

ზ) თვითოეულ დაქვემდებარებულ სათაურს, რომელიც მისდევს დაქვემდებარებული სათაურის აღვნიშვნას, წინ უძღვის მძიმე, ინტერვალი (, ).

მაგალითები:

ძირითადი სათაური [ მასალის ზოგადი აღნიშვნა ]
ძირითადი სათაური [ მასალის ზოგადი აღნიშვნა ] : სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ.
ძირითადი სათაური [ მასალის ზოდადი აღნიშვნა ] = პარალელური სათაური.
ძირითადი სათაური [ მასალის ზოგადი აღნიშვნა ] / ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ.
ძირითადი სათაური [ მასალის ზოგადი აღნიშვნა ] = პარალელური სათაური / ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ.

ძირითადი სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა ] = პარალელური სათაური = პარალელური სათაური / ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ.
ძირითადი სათაური [ მასალის ზოგადი აღნიშვნა ] = პარალელური სათაური : სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ.
ძირითადი სათაური [ მასალის ზოგადი აღნიშვნა ] : სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ : სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ / ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ.
ძირითადი სათაური [ მასალის ზოგადი აღნიშვნა ] : სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ = პარალელური სათაური : სხვა ინფორმაცია პარალელურ სათაურზე / ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ.
ძირითადი სათაური [ მასალის ზოგადი აღნიშვნა ] : სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ = სხვა ინფორმაცია პარალელურ სათაურზე.
ძირითადი სათაური [ მასალის ზოგადი აღნიშვნა ] / ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ = პარალელური სათაური / პარალელური ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ.
ძირითადი სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა ] / ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ ; მეორე ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ ; მესამე ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ.
ძირითადი სათაური [ მასალის ზოგადი აღნიშვნა ] / ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ = პარალელური ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ.

სათაურები, რომლებიც შექმნილია საერთო და დაქვემდებარებული სათაურებისაგან ( იხ. 0.2 და 0.3.3.1 ).

საერთო სათაური. დაქვემდებარებული სათაური [ მასალის ზოგადი აღნიშვნა ]
საერთო სათაური. დაქვემდებარებული სათაურის აღნიშვნა [ მასალის ზოგადი აღნიშვნა ]
საერთო სათაური. დაქვემდებარებული სათაურის აღნიშვნა, დაქვემდებარებული სათაური [ მასალის ზოგადი აღნიშვნა ]
საერთო სათაური. დაქვემდებარებული სათაური [მასალის ზოდადი აღნიშვნა ] = პარალელური საერთო სათაური. პარალელური დაქვემდებარებული სათაური.
საერთო სათაური. დაქვემდებარებული სათაური [ მასალის ზოგადი აღნიშვნა ] / ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ.
საერთო სათაური : სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ. დაქვემდებარებული სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა ] : სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ
საერთო სათაური / ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ. დაქვემდებარებული სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა ] / ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ = პარალელური საერთო სათაური : სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ / ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ. პარალელური დაქვემდებარებული სათაური : სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ / ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ.

**დაწესებული წყარო** სატიტულე გვერდი[15]

ინფორმაცია, რომელიც მოცემულია გამოშვებაში და არა სატიტულე გვერდზე, ჩაწერილია 1-ლ სფეროში და მოთავსებულია კვადრატულ ფრჩხილებში. ინდივიდუალური დებულებები ( მაგ-ად 1.1.3.3 ) შეზღუდვებს ათავსებენ ინფორმაციაში, რომელიც მოცემულია გამოშვებაში და ჩაწერილია 1-ლ სფეროში.

ინფორმაცია, რომელსაც ვიღებთ არა გამოშვებიდან, ჩაწერილია მე-7 სფეროში.

## 1.1 ძირითადი სათაური

1.1.1 ძირითადი სათაური არის აღწერილობის პირველი ელემენტი, მაშინაც, როდესაც სატიტულე გვერდზე მას წინ უძღვის ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, ცნობა გამოცემის შესახებ, გამოსასვლელი ცნობები, თარიღი, ფასი ან სხვა , რაც არ არის ინფორმაცია სათაურის შესახებ.

1.1.2 ძირითადი სათაური არის ნებისმიერი სერიალის მთავარი სათაური და იგი ჩნდება აღსაწერი გამოშვების სატიტულე გვერდზე.

| მაგ-ად: | ძირითადი სათაური |
|---|---|
| Le Monde | გაზეთის |
| Cartactual | პერიოდიკის |
| Farm & home almanac | ყოველწლიურის |
| Wissenschaftliche Arbeiten aus dem Burgenland | სერიალის |
| Kulturwissenschaften | ქვესერიის |

ძირითადმა სათაურმა შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმები:

1.1.2.1 ძირითადი სათაური შეიძლება შედგეს მხოლოდ ზოგადი ტერმინისგან.
მაგ-ად :

Journal
Textes et documents

1.1.2.2 ძირითადი სათაური შეიძლება შედგეს კორპორაციული ორგანოს ან პიროვნების სახელისგან, როდესაც სატიტულე გვერდი ატარებს იმ სახელს და არა სათაურს.

მაგ-ად: Syndicat national des fabrocants de bronzes, luminaires, vitrines et étalages, ferronnerie d'art et industries annexes

1.1.2.3 ძირითადი სათაური შეიძლება შედგეს ინიციალების ან აკრონიმების ჯგუფებისაგან ან მოიცავდეს მათ, როდესაც ისინი შესამჩნევად არიან მოთავსებული სატიტულე გვერდზე.

მაგ-ად: P.M.L.A.
IFLA
Collection CAP
ICSU review

გამოშვებაში არსებული გავრცობილი ფორმა, რომელიც შერჩეული არ არის როგორც ძირითადი სათაური (იხ. 1.1.3 ), ჩაიწერება, როგორც სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ (იხ. 1.5.4.13.2 ).

1.1.2.4 ძირითადი სათაური შეიძლება შესდგეს რიცხვებისგან ან ასოებისგან ან მოიცავდეს მათ (იხ. 1.1.4.1 ).

მაგ-ად: Le 01
37 design and environment projects
L und E
რედაქტორის კომენტარი :სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ იკითხება, როგორც:
Österreichishes Zentralogan für Lebensmittel und Ernährung

გავრცობილი ფორმა შესაძლოა ჩაიწეროს შენიშვნაში (იხ. 7.1.1.4 ).

1.1.2.5 ძირითადი სათაური შეიძლება მოიცავდეს ცნობას პასუხისმგებლობის შესახებ, გამომცემლის სახელს ან დეტალებს, რომლებიც დაკავშირებულია სხვა აღწერის ელემენტებთან (მაგ-ად ცნობა გამოცემის შესახებ ), როდესაც ასეთი ინფორმაცია არის ენობრივად სათაურის სრული ნაწილი.

მაგ-ად: Cinema-Ed Bureau films for the year
Poultry Research Centre report
University of California publications in classical archaeology
Willing's press guide

1.1.2.6 ძირითადი სათაური შეიძლება შედგენილი იყოს საერთო სათაურისგან და დაქვემდებარებული სათაურის აღნიშვნისგან და/ან დაქვემდებარებული სათაურისგან ე.ი. საერთო სათაურისგან, ნაწილის აღნიშვნისგან და/ან ნაწილის სათაურისგან მთავარი პუბლიკაციის სათაურისგან და დამატების ან ჩანართის განუსხვავებელი სათაურისგან; მთავარი სერიის სათაურისგან, ქვესერიის აღნიშვნისგან და/ან ქვესერიის განუსხვავებული სათაურისგან (იხ. 1.1.4.2 ).

მაგ-ად: IEE proceedings. A
Acta Universitatis Carolinae. Philologica
Geographical abstracts. C, Economic geography
Kits for tots. Bimonthly filmstrip additions
Collection Armand Colin. Section de phjlosophie

1.1.3 ძირითადი სათაურის არჩევა

1.1.3.1 პუბლიკაცია ერთი სატიტულე გვერდით

1.1.3.1.1 თუ სატიტულე გვერდზე მოცემულია ორი ან მეტი სათაურის ვარიანტები ერთსა და იმავე ენაზე და/ან დამწერლობით, ძირითადი სათაური შეირჩევა ან სატიტულე გვერდის გაფორმებაზე მითითებით, ან სატიტულე გვერდზე სათაურების თანმიმდევრობის მითითებით.

1.1.3.1.2 თუ სათაურები სხვადასხვა ენაზეა და/ან დამწერლობით, ძირითადი სათაური არის

გამოშვების შინაარსის ენაზე და/ან დამწერლობით. როდესაც ამ კრიტერიუმის გამოყენება შეუძლებელიია, ძირითადი სათაური შეირჩევა სატიტულე გვერდის გაფორმებით,ან სატიტულე გვერდზე სათაურების თანმიმდევრობაზე მითითებით.

1.1.3.2 პუბლიკაცია ერთზე მეტი სატიტულე გვერდით

1.1.3.2.1 როდესაც აღსაწერი გამოშვება შეიცავს ერთ სერიალს, მაგრამ აქვს ერთზე მეტი სატიტულე გვერდი, მრავალენობრივი და მრავალდამწერლობის მქონე პუბლიკაციის შემთხვევაში, რომლებსაც თითოეულ ენაზე და/ან დამწერლობით ერთი სატიტულე გვერდი აქვთ. ძირითადი სათაური შეირჩევა სატიტულე გვერდიდან, რომელიც იმ ენაზე და/ან დამწერლობითაა, რომელ ენაზეც და/ან დამწერლობით არის მოცემული გამოშვების მთავარი ნაწილის შინაარსი.

თუ ამ კრიტერიუმის გამოყენება შეუძლებელია ( მაგ. იმიტომ, რომ შინაარსი წარმოდგენილია თანაბრად ორ ან მეტ ენაზე და/ან დამწერლობით), ძირითადი სათაური შეირჩევა ორი მოპირდაპირე გვერდის მარჯვენა მხრიდან ან ორზე მეტი სატიტულე გვერდიდან, რომელიც მარჯვენა მხარეზეა.

"ტეტ-ბეშ"-ის პუბლიკაციის შემთხვევაში, სადაც ტექსტი და სატიტულე გვერდები თანაბრად წარმოდგენილია ორ სხვადასხვა ენაზე და/ან დამწერლობით, ძირითადი სათაურის არჩევა ხდება ბიბლიოგრაფიული სააგენტოს გადაწყვეტილებით. სათაური, რომელიც არ შეირჩა ძირითად სათაურად, ჩაიწერება როგორც პარალელური სათაური (იხ. 1.3.1). შენიშვნა, რომელიც განმარტავს "ტეტ-ბეშეს" მოცემულია მე-7 სფეროში.

1.1.3.2.2 თუ აღსაწერი გამოშვება შეიცავს ერთზე მეტ სერიალს, თითოეული საკუთარი სატიტულე გვერდითა დანუმერაციით, თითოეულისთვის კეთდება ცალკე აღწერილობა. შესაბამისი განმარტება მოცემულია მე-7 სფეროში (იხ.7.2.13), რომელიც დაკავშირებულია ცალკეულ აღწერილობასთან, იგივე ერთვის ტეტ-ბეშეს პუბლიკაციებს ტექსტითა და სატიტულე გვერდით იმავე ენაზე და/ან დამწერლობით.

1.1.3.3 სხადასხვა სათაურები (გარდა პარალელური სათაურებისა, იხ.1.3) შერჩეული არ არიან როგორც ძირითადი სათაური, რომელიც ჩნდება ან სატიტულე გვერდზე (ენებზე), ან გამოშვების სხვა ნაწილში და ჩაწერილია მე-7 სფეროში (იხ.7.1.1.3).

1.1.4 ჩაწერა

1.1.4.1 ძირითადი სათაური არის სატიტულე გვერდიდან გადაწერილი ზუსტად როგორც ფორმულირება, მაგრამ აუცილებელი არ არის დიდი ასოებით ან პუნქტუაციით. განსაკუთრებით ძალიან გრძელი ძირითადი სათაური შესაძლებელია შემოკლდეს, თუ ამის გაკეთება შეიძლება სათაურის მნიშვნელობის შეუცვლელად, ძირითადი ინფორმაციის დაკარგვის გარეშე, არასწორი გრამატიკის შეყვანის გარეშე. თარიღები და ნომრები, რომლებიც იცვლებიან გამოშვებიდან გამოშვებამდე და ძირითად სათაურში არიან ჩართული, გამოტოვებული არიან.

გამოტოვებულებები მითითებული არიან გამოტოვების ნიშნებით, გარდა, როდესაც ის ჩნდება სათაურის დასაწყისში (იხ. ასევე 1.3.3.1 და 1.4.5.2).

მაგ-ად: Report on the...Conference on Development Objectives and Strategy
La Siderurgie francaise en...
Tagungsbericht der Osterreichischen Gesellschaft fur Gefasschirurgie
რედაქტორის კომენტარი: სატიტულე გვერდზე: 2. Tagungsbercht...

1.1.4.2 საერთო და დაქვემდებარებული სათაურები (იხ. 0.3.3.1) (იხ. ასევე დანართი ა)

ძირითადი სათაურის მქონე სერიალის შემთხვევაში, ძირითადი სათაური შედგება საერთო სათაურისა და დაქვემდებარებული სათაურისგან. აღწერის პირველი ელემენტი არის საერთო სათაური, რომელსაც მისდევს დაქვემდებარებული სათაურის აღნიშვნა, ან დაქვემდებარებული სათაური, ან ორივე ერთად. დაქვემდებარებული სათაური პირდაპირ უკავშირდება მის საერთო სათაურს (იმ შემთხვევაში, რომელშიც უნდა ჩაისვას სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ ან ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ, იხ. 1.4.7 და 1.5.4.14).

მაგ-ად: სექციები:

Acta biologica. Protozoa
Etudes et documents. Serie C
Journal of polymer sciences. Part A, General paper

სექცია ქვესექციებით:

Analele Universitatii Bucuresti. Seria stiinte sociale. Estetica
Publicazioni dell'Universita cattolica del Sacro Cuore. Contributi. Serie 3a, Varia

დამატებები:

Dansk periodicafortegnelse. Supplement
La lettre du maire. Textes et documents

ქვესერია:

Collection Armand Colin. Section de philosophie
Collection Points. Serie sciense

როდესაც აღვწერთ დამატებას ან ჩანართს დაქვემდებარებული სათაურით, მთავარი პუბლიკაციის სათაური ასევე მოცემულია მე-7 სფეროში (იხ. 7.2.10). როდესაც აღვწერთ ქვესერიას დაქვემდებარებული სათაურით, მთავარი სერიის სათაური ასევე ჩაიწერება მე-6 სფეროში (იხ. 6.1-6.6).
დაქვემდებარებული სათაური(ები), რომლებიც მოცემულია გამოშვებაში და არა სატიტულე გვერდზე, ჩაწერილია კვადრატულ ფრჩხილებში.

1.1.4.3 ქრონოლოგიური თანმიმდევრობა (იხ. ასევე დანართი ა)

ნებისმიერი ნომერი ან სხვა ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ქრონოლოგიური სერიის აღნიშვნას არ ჩაიწერება როგორც დაქვემდებარებული სათაური, მაგრამ ჩაწერილია მე-3 სფეროში (იხ. 3.8 და 1.1.4.2).

მაგ-ად. სატიტულე გვერდზე: Nuovo archivio veneto.
Ser. 2 ( 1891-1900 )
Nuovo archivio veneto.
Ser. 3 ( 1901- )
ძირითადი სათაური: Nuovo archivio veneto

1.1.5 ვარიანტები და ცვლილებები

1.1.5.1 ძირითადი სათაურის ვარიანტები, რომლებიც გვხვდება აღსაწერ გამოშვებაში მოცემულია მე-7 სფეროში (იხ. 7.1.1.3).

1.1.5.2 როდესაც აღვწერთ სერიალს პუბლიკაციის განმავლობაში, ძირითადი სათაური განიცდის უმნიშვნელო ცვლილებებს. ძირითადი სათაურის ცვალებადი ფორმები ან შენიშვნა სათაურის ცვლილებაზე ჩაწერილია მე-7 სფეროში (იხ.7.1.1.6).

1.1.5.3 დიდი ცვლილებები ძირითად სათაურში იწვევს ახალ აღწერილობას (იხ. 0.1.3 და 7.2).

შენიშვნა: სათაურის შეცვლის განსაკუთრებულ შემთხვევაში, სათაური, რომელიც შედგენილია საერთო სათაურისგან და დაქვემდებარებული სათაურისგან, ასევე განიცდის დიდ ცვლილებას.

1.1.5.3.1 ნაწილები და ქვესერიები

როდესაც სერიალის პუბლიკაციის განმავლობაში, სატიტულე გვერდის მაკეტში მუდმივი ცვლილებების მიზეზით, ნაწილის სათაური დამოუკიდებელ სათაურად იქცევა, ანუ ის უფრო მნიშვნელოვანი ხდება ვიდრე საერთო სათაური და ამიტომაც შეუძლებელია მისგან გამოყოფა, სერიალის აღწერა ხდება დამოუკიდებელი სათაურით, რომელიც მისი ძირითადი სათაური იქნება. ამ შემთხვევაში ძველი სათაური არის ჩაწერილი მე-6 სფეროში, როგორც სერიის ძირითადი სათაური და ნაწილის აღნიშვნა, თუნდაც რომელიმე, როგორც ნუმერაცია სერიის შიგნით.

მაგ-ად: Studia latina Upsaliensia. – ( Acta Universitatis Upsaliensis)
British journal of applied physics. –
(Journal of physics ; D)

ასევე, თუ აქამდე, ქვესერიის დაქვემდებარებული სათაური დამოკიდებული ხდება, ქვესერიას აღვწერთ ამ დამოკიდებული სათაურით, რომელიც უკვე ძირითადი სათაურია. ამ შემთხვევაში, მთავარი სერიის სათაური ჩაიწერება მე-6 სფეროში და ქვესერიის აღნიშვნა, თუნდაც რომელიმე, ჩაიწერება როგორც ნუმერაცია სერიის შიგნით.

1.1.5.3.2 დამატებები და ჩანართები

თუ აქამდე დამატების ან ჩანართის დაქვემდებარებული სათაური ხდება დამოუკიდებელი, დამატებას ან ჩანართს აღვწერთ ამ დამოუკიდებელი სათაურით, რომელიც უკვე მისი ძირითადი სათაური გახდა.
მთავარი პუბლიკაციის სათაური მოცემულია მე-7 სფეროში (იხ. 7.2.10).

1.2 მასალის ზოგადი აღნიშვნა (არჩევით)

1.2.1 მასალის ზოგადი აღნიშვნის მიზანია მიუთითოს, ზოგადი ტერმინებით და ადრეული მომენტით აღწერილობაში, მასალის კლასზე, რომელსაც მიეკუთვნება პუბლიკაცია. მასალის ზოგადი აღნიშვნა ჩაწერილია უშუალოდ ძირითადი სათაურის შემდეგ. ის ჩაწერილია ბიბლიოგრაფიული სააგენტოს მიერ არჩეულ ენაზე და დამწერლობით.

1.2.2 დაბეჭდილ ფორმაში მოცემული სერიალებისთვის აღნიშვნა "დაბეჭდილი ტექსტი" ან მისი ექვივალენტი შესაძლოა გამოვიყენოთ სხვა ენაზე ან დამწერლობით. რელიეფული სერიალებისთვის შესაძლოა გამოვიყენოთ აღნიშვნა "ბრაილის ტექსტი" ან მისი ექვივალენტი.

1.2.3 როდესაც პუბლიკაცია მოიცავს პირველად კომპონენტს დამხმარე კომპონენტით (ებით), რომლებიც არ არიან მასალის ზოგადი კატეგორიის დამხმარე კომპონენტი (ები), (მაგ-ად სერიალს დაბეჭდილ ფორმაში თან ახლავს ხმოვანი დისკი ან რუქა), მასალის ზოგადი აღნიშვნა მიუთითებს მხოლოდ პირველად კომპონენტზე.

1.2.4 როდესაც პუბლიკაცია მოიცავს კომპონენტებს, რომლებიც მიეკუთვნებიან მასალის ორ ან მეტ ზოგად კატეგორიებს, არც ერთ მათგანს უპირატესობა არა აქვს; მასალათა ზოგადი აღნიშვნა "მულტიმედია" ან მისი ექვივალენტი გამოიყენება როგორც შესატყვისი.

1.3 პარალელური სათაური

1.3.1 როდესაც აღვწერთ გამოშვებას, რომლის სატიტულე გვერდზე არის სათაური ერთზე მეტ ენაზე და/ან დამწერლობით, მათ ძირითად სათაურად არ ვირჩევთ და ჩავწერთ, როგორც პარალელურ სათაურს(ებს) (იხ.1.1.3).

1.3.2 პარალელურ სათაურს, როგორც ძირითადი სათაურის ექვივალენტს შეუძლია აიღოს იგივე სხვადასხვა ფორმები (იხ. 1.1.2).

1.3.3 ჩაწერა

1.3.3.1 პარალელური სათაური, რომელიც მოცემულია სატირულე გვერდზე, ზუსტად ჩაიწერება, როგორც ფორმულირება, მაგრამ აუცილებელი არ არის დიდი ასოებით ან პუნქტუაციით. განსაკუთრებით, პარალელური სათაური შესაძლოა შემოკლდეს. თარიღები და ნომრები, რომლებიც იცვლებიან გამოშვებიდან გამოშვებამდე და ჩართული არიან პარალელურ სათაურში, გამოტოვებული არიან. გამოტოვებულების ნაცვლად იწერება გამოტოვების ნიშნები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამოტოვებულება გვხვდება სათაურის დასაწყისში (იხ. ასევე 1.1.4.1 და 1.4.5.2)

1.3.3.2 თუ სატიტულე გვერდი ატარებს ერთზე მეტ პარალელურ სათაურს, ეს სათაურები ჩაიწერებიან იმ რიგით, რომელიც მითითებულია სატიტულე გვერდის გაფორმებით, ან ცნობების თანმიმდევრობით სატიტულე გვერდზე.

მაგ-ად Internationale volkskundliche Bibliographie = International folklore bibliography = Bibliographie Internationale des arts et traditions populaires

Art updates in video = Kunst nieuwigheden in Video = Lo ultimo del arte en video

თუ ეროვნული განხილვა არ არსებობს, მხოლოდ სამი პარალელური სათაური საჭიროებს ჩაწერას 1-ლ სფეროში; სხვა პარალელური სათაურები შესაძლოა მოცემული იყოს მე-7 სფეროში (იხ. 7.1.3).

1.3.3.3 პარალელური სათაური(ები), რომლებიც მოცემულია გამოშვებაში, და არა სატიტულე გვერდზე, შესაძლოა ჩაიწეროს კვადრატულ ფრჩხილებში 1-ლ სფეროში ან მე-7 სფეროში (იხ. 7.1.3)

1.3.3.4 საერთო და დაქვემდებარებული სათაურები

ძირითადი სათაურებით სერიალის შემთხვევაში, რომლებიც შედგენელია საერთო და დაქვემდებარებული სათაური (ების)გან, პარალელური საერთო სათაური და პარალელური დაქვემდებარებული სათაური ჩაწერილია საერთო სათაურისა და დაქვემდებარებული სათაურის მიყოლებით.

მაგალითი: Godisen zbornik na Zemjodelsko – sumarskiot fakultet na Univerzitetot vo Skopje. Zemjodelstvo = Annuare de la Faculte d'agriculture et de sylviculture de l'Universite de Skopje.

Dansk periodicafortegnelse. Supplement = The Danish national bibliography. Serials. Supplement

1.3.4 ცვლილებები

როდესაც აღვწერთ სერიალს პუბლიკაციის განმავლობაში, პარალელური სათაურის (ების) განსხვავებული ფორმები მოცემულია სერიალში, ინფორმაცია ან ერთ ან მეტ მომდევნო სათაურზე შესაძლოა მოცემული იყოს მე-7 სფეროში: პარალელური სათაურების ცვალებადი ფორმები შესატყვისი ნუმერაციასთან ერთად,თუ მოითხოვს;შენიშვნა,რომ პარალელური სათაურები იცვლებიან ან რომ მათი რიგი იცვლება (იხ. 7.1.4, 7.1.1.6).

**1.4 სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ**

1.4.1 სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ შეიძლება ჩაიწეროს ძირითად სათაურთან ან პარალელურ სათაურთან ერთად და ექვემდებარებოდეს მათ.

1.4.2 ცნობა სახვა ინფორმაციაზე სათაურის შესახებ შეიძლება მოიცავდეს ცნობას პასუხისმგებლობის შესახებ, ცნობას დაკავშირებულს პუბლიკაციასთან ან გავრცელებასთან, ან დეტალებთან დაკავშირებულს აღწერის სხვა ელემენტებთან (მაგ-ად ცნობა გამოცემის შესახებ). როდესაც ასეთი ინფორმაცია ენობრივად სრული ნაწილია სხვა ინფორმაციისა სათაურის შესახებ.

მაგ-ად Helvetia politica : Schriften des Forschungszentrums fur Geschichte und Soziologie der schweizerischen Politik an der Universitat Bern

1.4.3 როდესაც ძირითადი სათაური შედგება ინიციალებისა და აკრონიმების ჯგუფისაგან, ან მოიცავს მათ ჯგუფს (იხ. 1.1.2.3), გავრცობილი ფორმა, რომელიც სატიტულე გვერდზეა, განიხილება, როგორც სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ (ასევე იხ. 1.5.4.13). როდესაც გამოშვებას აღვწერთ და მისი გავრცობილი ფორმა ხელმისაწვდომია, მაშინ, ის

თავსდება კვადრატულ ფრჩხილებში.თუ, ეს ფორმა გამოშვებიდან არ არის მიღებული, ის შესაძლოა მოცემული იყოს მე-7 სფეროში (იხ. 7.1.1.4).

მაგ-ად: P. M. L. A. : publications of the Modern Language Association of America
Collection CAP : cles de l'amelioration personnelle
K. en E. : [Kantoor en efficiency]

როდესაც გავრცობილი ფორმა განიხილება როგორც ძირითადი სათაური, ინიციალების ან აკრონიმების ჯგუფი, რომლებიც წარმოდგენილია სატიტულე გვერდზე, შესაძლოა ჩაიწეროს, როგორც სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ.

მაგ-ად: Cahiers de l'Institut de linguistique de Louvain : CILL

1.4..4როდესაც ძირითადი სათაური შედგება მხოლოდ სერიალის ავტორის (კორპორაციული ორგანოს) სახელისგან (იხ. 1.1.2.2) და ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა გამოვიყენოთ ინფორმაცია სერიალის ხარისხსა და შინაარსზე. ეს ინფორმაცია, როგორც სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ, შესაძლოა ჩაიწეროს კვადრატულ ფრჩხილებში, როდესაც ის მოცემულია გამოშვებაში, და მე-7 სფეროში, როდესაც ინფორმაცია მიღებულია არა აღსაწერი გამოშვებიდან (იხ. 7.1.1.5)

მაგ-ად: Societe d'etudes de la province de Cambrai : [bulletin]

1.4.5 ჩაწერა

1.4.5.1 ცნობა სხვა ინფორმაციაზე სათაურის შესახებ, რომელიც ჩაწერილია სატიტულე გვერდზე, ჩაიწერება ძირითადი სათაურის მიყოლებით ან პარალელური სათაურის მიყოლებით, რომელსაც ის ერთვის (იხ.1.4.5.5).

1.4.5.2 ცნობა სხვა ინფორმაცოაზე სათაურის შესახებ ჩაიწერება ზუსტად, როგორც ფორმულირება, მაგრამ აუცილებელი არ არის დიდი ასოებით ან პუნქტუაციით.სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ შესაძლებელია შემოკლდეს. თარიღები და ნომრები, რომლებიც იცვლებიან გამოშვებიდან გამოშვებამდე და ჩართული არიან სხვა ინფორმაციაში სათაურის შესახებ, გამოტოვებულია. გამოტოვებულების ნაცვლად იწერება გამოტოვების ნიშნები, გარდა იმ შემთხვევისა,როცა გამოტოვებულება გვხვდება სხვა ინფორმაციის დასაწყისში სათაურის შესახებ (იხ. ასევე 1.1.4.1 და 1.3.3.1).

1.4.5.3 ცნობა სხვა ინფორმაციაზე სათაურის შესახებ, რომლებიც მოცემულია სატიტულე გვერდზე ძირითადი სათაურის წინ (მაგ-ად ავანტიტრი) ჩაიწერება ძირითადი სათაურის მიყოლებით, თუ ენობრივად ან სხვანაირად შესაძლებელი არის. როდესაც ეს შეუძლებელია, ავანტიტრი ჩაიწერება მე-7 სფეროში (იხ. 7.1.3)

1.4.5.4როდესაც სატიტულე გვერდი ატარებს ერთზე მეტ ცნობას, რომელიც შეადგენს სხვა ინფორმაციას სათაურზე, ეს ცნობები ჩაიწერებიან იმ რიგით, რომელიც მითითებულია სატიტულე გვერდის გაფორმებით ან სატიტულე გვერდზე ცნობების თანმიმდევრობით.

მაგ-ად: LIEN : Lorraine, information, encadrement : bulletin trimestriel

1.4.5.5 პარალელური სათაურები და სხვა ინფორმაცია პარალელურ სათაურზე

1.4.5.5.1 როდესაც სატიტულე გვერდი ატარებს ერთზე მეტ პარალელურ სათაურებს და სხვა ინფორმაციას სათაურზე, ერთზე მეტ ენაზე და/ან დამწერლობით, ყოველი ცნობა სხვა ინფორმაციაზე სათაურის შესახებ მიჰყვება სათაურს, რომელთანაც ის ენობრივად დაკავშირებულია. ცნობები სხვა ინფორმაციაზე სათაურისშესახებ, რომელიც არ ერთვის ძირითად სათაურს ან პარალელურ სათაურს(ებს) შესაძლებელია ჩაიწეროს მე-7 სფეროში 9 იხ. 7.1.3)

მაგ-ად: 12 millions d'immigres : feuille de lutte des travailleurs immigres en Europe = 12 milhoes de imigrados : folha de luta dos operarios imigrados na Europa

1.4.5.5.2 როდესაც სატიტულე გვერდი ატარებს ერთზე მეტ პარალელურ სათაურებს, მაგრამ ცნობა სხვა ინფორმაციაზე სათაურის შესახებ არის მხოლოდ ერთ ენაზე და/ან დამწერლობით მოცემული, სხვა ინფორმაცია სათაურზე ჩაიწერება უკვე ჩაწერილი ბოლო პარალელური სათაურის შემდეგ.

მაგ-ად: Brecht heute = Brecht today : Jahrbuch der internationalen Brecht- Gesellschaft

1.4.5.5.3 როდესაც პარალელური სათაური არ არის, მაგრამ ცნობები სხვა ინფორმაციაზე სათაურის შესახებ მოცემულია სატიტულე გვერდზე ერთზე მეტ ენაზე და/ან დამწერლობით, ცნობა ძირითადი სათაურის ენაზე და/ან დამწერლობით არის ჩაწერილი. როცა ეს კრიტერიუმი არ გამოიყენება,მაშინ ჩაიწერება პირველი ცნობა, რომელიც ჩაწერილია სატიტულე გვერდზე. სხვა ცნობებიც შესაძლებელია ჩაიწეროს და თითოეულს წარუძღვება ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი.

მაგ-ად : L;Europe laitiere : annuaire international des produits laitiers = internationales Jahrbuch der Milchprodukte = international directory of dairy products

1.4.6 ცნობა სხვა ინფორმაციაზე სათაურის შესახებ, რომელიც მოცემულია არა სატიტულე გვერდზე, არამედ აღსაწერ გამოშვებაში, შესაძლებელია ჩაიწეროს ძირითადი სათაურის მიყოლებით ან პარალელური სათაურის მიყოლებით, რომელსაც ის ერთვის და მოთავსებულია კვადრატულ ფრჩხილებში, ან შესაძლებელია ჩაიწეროს მე-7 სფეროში( იხ.7.1.3).

მაგ-ად: Civitas : [Monatsschrift des Schweizerischen Studentenvereins = revue mensuelle de la Societe des etudiants suisses = rivista mensile della Societa degli studenti svizzeri]

1.4.7 საერთო და დაქვემდებარებული სათაურები

ძირითადი სათაურით სერიალის შემთხვევაში, ის შექმნილია საერთო და დაქვემდებარებული სათაურის(ების)გან (იხ. 1.1.4.2), ცნობა სხვა ინფორმაციაზე სათაურის შესახებ, რომელიც მიუთითებს ძირითად სათაურზე, ჩაიწერება ძირითადი სათაურის მოყოლებით, როგორც მთელი.
ინდივიდუალური ცნობები სხვა ინფორმაციაზე სათაურის შესახებ ჩაიწერება სათაურის(ების) მიყოლებით, რომელსაც ისინი დაერთვიან. დაქვემდებარებული სათაურის აღნიშვნა ან დაქვემდებარებული სათაური მიჰყვება ცნობას სხვა ინფორმაციაზე და წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი.

მაგ-ად:Revuede l'U.E.R. Cahier A.Technique : publication bimestrielle
Bibliographie de la France Biblio : journal officiel du livre francais paraissant tous les mercredis. lere partie, Bibliographie officielle : publications recues par le Service du depot legal

Periodica polytechnica : contributions to international technical sciences published by the Technical University of Budapest. Transportation engineering
Publications of the Institute. Histirical Studies. Series lll, Renaissaince Europe : texts and commentaries

1.4.8 ცვლილებები
როდესაც აღვწერთ სერიალს პუბლიკაციის განმავლობაში, განსხვავებული ცნობები სხვა ინფორმაციაზე სათაურის შესახებ, მოცემულია სერიალში, ინფორმაცია, მომდევნო როგორც ერთის ისე მეორის შესახებ, შესაძლებელია ჩაიწეროს მე-7 სფეროში: ცვალებადი ცნობები სხვა ინფორმაციაზე სათაურის შესახებ შესაბამისი გამოშვების ნუმერაციასთან ერთად , თუ მოითხოვს. შენიშვნა რომ ცნობები სხვა ინფორმაციაზე სათაურის შესახებ იცვლება (იხ. 7.1.4).

1.5 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ
1.5.1 ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ შეიძლება ჩაიწეროს ნებისმიერი არსების (კორპორაციული ორგანოს ან პიროვნების) მიმართ პატივისცემის გამოხატვით, რომელიც პასუხისმგებელია, ან მონაწილეობს სერიალის შინაარსის მხატვრულ და ინტელექტუალურ შექმნასა და რეალიზაციაში.

1.5.2 ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ შეიძლება უკავშირდებოდეს ისეთ არსებებს, როგორიცაა:
ტექსტის ავტორები, გამომცემელი, შემდგენელი, თარგმნელი, მხატვარი;

უკვე არსებული ნაშრომების ადაპტერები, ან ორიგინალის მსგავსი ან სხვა სახის.

სხვადასხვა თარიღების (მონაცემთა) კოლექტორები.

ორგანიზაციები (კორპორაციული ორგანოები) ან პიროვნებები, რომლებიც თავდებად უდგებიან (სპონსორობას უწევენ) რომელიმე ზემოთ აღნიშნულ სამუშაოს.

ცნობამ პასუხისმგებლობის შესახებ შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმები:

1.5.2.1 ცნობა შეიძლება შესდგეს პიროვნების(ბების) ან კორპორაციული ორგანოს (ების) სახელის(ების)გან, დამაკავშირებელი სიტყვით ან მოკლე ფრაზით ან მათ გარეშე, რომელიც აღნიშნავს პიროვნების ან კორპორაციული ორგანოს როლს (იხ. ასევე 1.5.2.6)

მაგ-ად: Villas, pavillons et nouveaux villages / dir. Jean-Paul Rouleau
Prace polonistyczne / Lodzkie towarzystwo naukowe
Health news on film / B.H.I.

1.5.2.2ცნობა შეიძლება შესდგეს ფრაზისგან სახელის გარეშე, როდესაც ასეთი ფრაზა გამოხატავს ინტელექტუალურ დახმარებას ან მნიშვნელოვანია სხვანაირად.

მაგ-ად: College yearbook / compiled and edited by the graduating class

1.5.2.3 ის შეიძლება მოიცავდეს არსებით სახელს ან არსებითი სახელის მქონე ფრაზას, ისევე როგორც სახელი(ები), როდესაც ასეთი ფრაზა მიუთითებს პიროვნების ან კორპორაციული ორგანოს როლზე.

მაგ-ად: Soviet Union / published by the University Center for International Studies, University of Pittsburgh in conjunction with Temple University

დანარჩენი არსებითი სახელები ან არსებითი სახელის მქონე ფრაზები ჩვეულებრივად განიხილება, როგორც სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ (იხ. 1.4).

1.5.2.4 ცნობა შეიძლება მოიცავდეს დეტალებს, რომლებიც უკავშირდებიან აღწერის სხვა ელემენტებს (პირველი სათაური), როდესაც ასეთი დეტალები არის პასუხისმგებლობის ცნობის ენობრივად სრული ნაწილი.

1.5.2.5ცნობა შეიძლება შესდგეს ცნობებისგან, რომლებიც უკავშირდებიან დანართებს და სხვა დამატებებს, როდესაც ასეთი ცნობები მოცემულია სატიტულე გვერდზე (იხ. ასევე 1.5.3.3).

1.5.2.6 ცნობა შეიძლება შესდგეს კორპორაციული ორგანოს სახელის(ების)გან, რომელიც მოქმედებს, როგორც პუბლიკაციის თავმდები (სპონსორი), როდესაც კორპორაციული ორგანო დასახელებულია სატიტულე გვერდზე და ურთიერთობა სპონსორსა და პუბლიკაციას შორის დაწვრილებით არის ჩამოყალიბებული (ან შეიძლება გადმოცემული იყოს შესატყვისი სიტყვის ან მოკლე ფრაზის დამატებით ).
მაგ-ად : Proceedings of the ... annual symposium on reduction of costs in handoperated glass plants / presented by West Virginia University; sponsors, Consolidated Gas Supply Corporation, West Virginia University College of Engineering, West Virginia Section of the American Ceramic Society

როდესაც სპონსორი (თავდები) ორგანოს სახელი ქმნის გამოსასვლელი ცნობების სრულ ნაწილს (ე.ი. იწყება ფრაზით "გამოქვეყნებულია ..."), ის ჩაირთვება მე-4 სფეროში.

1.5.2.7 ცნობა, რომელიც არ არის პასუხისმგებლობით დაკავშირებული პუბლიკაციის ინტელექტუალურ და მხატვრულ შინაარსთან, არ ჩაითვლება ცნობად. ცნობები, როგორიცაა ეპიგრაფი, მიძღვნა და ცნობები მფარველობაზე (პატრონაჟზე) ან ფასებზე, შესაძლებელია გამოტოვებული იყოს ან ჩაიწეროს მე-7 სფეროში.

1.5.2.8 ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ არ განიხილება, როგორც პასუხისმგებელი პირის სახელის შესატყვისი, რომელიც აღწერის სხვა ელემენტების ენობრივად სრული ნაწილია და ჩაიწერება ამგვარად (მაგ-ად, როგორც ძირითადი სათაურის ნაწილი, იხ. 1.1.2.3;როგორც სხვა ინფორმაციის ნაწილი სათაურის შესახებ, იხ. 1.4.2; როგორც პუბლიკაციისა და გავრცელების ცნობის ნაწილი და სხვ. იხ. სფერო 4). გამონაკლისი კეთდება, როდესაც ძირითად სათაურში მოცემული ინიციალები და აკრონიმები უნდა იყვნენ განსხვავებული (იხ. 1.5.4.13).
და კიდევ, თუ ძირითადი სათაური მოიცავს გამომშვები ორგანოს სახელის მხოლოდ ერთ ნაწილს და სახელის მეორე ნაწილი მოცემულია სატიტულე გვერდზე, ეს უკანასკნელი ჩაიწერება როგორც ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ.

მაგ-ად:  Skrifter fra Nordisk institut / Odense universitet

თუ, ცნობა სატიტულე გვერდზე არ არის, მაგრამ მოცემულია აღსაწერ გამოშვებაში, ის ჩაიწერება განცალკევებულად კვადრატულ ფრჩხილებში. როდესაც ცნობა ამოღებულია არა გამოშვებიდან,შესაძლებელია მისი ჩაწერა მე-7 სფეროში (იხ. 7.1.5.1).

1.5.2.9 პასუხისმგებლობის ცნობა არ განიხილება, კორპორაციული ორგანოს სახელის შესატყვისად, რომელიც მოცემულია სატიტულე გვერდზე, როდესაც ორგანოს ფუნქცია სპეციფიკური არ არის, შეუძლებელია აღსაწერი გამოშვებიდან ან რაიმე სხვა ადგილიდან მისი განსაზღვრა. სანაცვლოდ სახელი ჩაიწერება მე-7 სფეროში. (იხ. 7.1.5.1).

1.5..3 ერთი ან მეტი ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ

1.5.3.1პასუხისმგებლობის ერთი ცნობა გვხვდება, როდესაც ფორმულირება ინფორმაციის დაწესებულ წყაროზე გამოხატავს ერთ ცნობას. ასეთ ცნობაში შესაძლებელია დასახელდეს ერთზე მეტი პიროვნება ან კორპორაციული ორგანო, მაშინაც როდესაც ისინი იმავე ფუნქციის შემსრულებლები არიან, ან თუნდაც განსხვავებულის, მათი სახელები გაერთიანდებიან კავშირით.
მაგ-ად : R.L.C.'s museum gazette / compiled and edited by Richard L. Coulton
with the assistance of voluntary aid
1.5.3.2 ერთზე მეტი ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ გვხვდება, როდესაც ფორმულირება გამოხატავს მრავალ ცნობას, მაშინ როდესაც ერთზე მეტი პიროვნება ან კორპორაციული ორგანო სხვადასხვა ფუნქციის შემსრულებელია და ცნობები არ ერთიანდებიან კავშირით.
მაგ-ად :   Documents de vulgarisation pratique / Centre national cooperatif agricole
de traitement antiparasitaire ; dir. technique Marcel Bonnefoi

1.5.3.3 ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც უკავშირდება დანართს ან სხვა დამატებებს (იხ. 1.5.2.5), რომლებიც მოცემულია აღსაწერ გამოშვებაში და არა სატიტულე გვერდზე, შესაძლებელია ჩაიწეროს მე-7 სფეროში (იხ. 7.1.5.2; იხ. ასევე 5.4.4).

1.5.4 ჩაწერა

1.5.4.1 ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ ჩაიწერება ტერმინით, რომლითაც ის მოცემულია გამოშვებაში.

1.5.4.2 ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც სატიტულე გვერდზე კი არ არის მოცემული, არამედ აღსაწერ გამოშვების სხვა ადგილას, ჩაიწერება განცალკევებულად კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ-ად:  The Independence : Canadian independent labour news / [Canadian Union
of General Employees]

ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ, რომელსაც ვიღებთ არა გამოშვებიდან, შესაძლებელია ჩაიწეროს მე-7 სფეროში (იხ..7.1.5.1)

1.5.4.3 როდესაც რამოდენიმე პიროვნების ან კორპორაციული ორგანოს სახელი წარმოდგენილია პასუხისმგებლობის ერთ ცნობაში (იხ. 1.5.3.1), სახელთა რაოდენობის ჩაწერას სწყვეტს ბიბლიოგრაფიული სააგენტო. ჩაწერილი სახელი შესაძლებელია გამოიყოს მძიმით ან მაკავშირებელი სიტყვებით, თუ შეესაბამება. თუ მაკავშირებელი სიტყვები გვაკმაყოფილებს,

ისინი განცალკევებული იქნებიან კვადრატულ ფრჩხილებში. გამოტოვებულობის ნაცვლად ჩაიწერება გამოტოვების ნიშანი და "ა.შ.", ან მისი ექვივალენტი სხვა დამწერლობით, რომელიც თავსდება კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ-ად: Enquete de conjoncture regionale : situation economique et perspectives dans le Sud-Ouest / Centre d'expansion Bordeaux Sud-Ouest, Institut national de la statistique et des etudes economiques, Institut d'economie regionale du Sud-Ouest

Saarbrucker Universitatsreden / herausgegeben von der Universitat des Saarlandes und der Vereinigung der Freunde der Universitat des Saarlandes

Quarterly report / prepared by U.S.Department of Agriculture, Forest Service [and] Soil Conservation Service [and] U.S. Department of the Interior, National Park Service, Region 2

Studien zur Poetik und Geschichte der Literatur / herausgegeben von Hans Fromm... [et al.]

1.5.4.4 როდესაც პიროვნების ან ორგანოს სახელი არასრული ფორმით მოცემულია პასუხისმგებლობის ცნობაში, მაგ-ად აკრონიმის ფორმით, გავრცობილი ფორმა შესაძლებელია ჩაიწეროს მე-7 სფეროში (იხ. 7.1.5.1)

1.5.4.5 ინიციალები, რომლებიც მიუთითებენ საზოგადოების წევრობაზე, აკადემიურ ხარისხზე და ა.შ. და ცნობები პიროვნების კვალიფიკაციასა და მის სტატუსზე, მიჰყვება პიროვნების სახელს, რომელიც ჩაიწერება, როდესაც ინიციალები და აღწერილობა აუცილებელია ენობრივად, ან პიროვნების საიდენტიფიკაციოდ, ან დაკავშირებული მისი მოღვაწეობის მნიშვნელობის დასადგენად. სხვა დანარჩენ შემთხვევაში მათ არ განიხილავენ, როგორც პასუხისმგებლობის ცნობის ნაწილს და ისინი გამოტოვებულები არიან.

1.5.4.6 ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც წინ უძღვის ძირითად სათაურს სატიტულე გვერდზე ჩაიწერება ძირითადი სათაურის და სხვა ინფორმაციის მიყოლებით, თუ კი ის ენობრივად არ უკავშირდება ასეთ ინფორმაციას (იხ. 1.5.2.8) ამ ცნობის პირველადი მდგომარეობა (პოზიცია) სატიტულე გვერდზე შესაძლებელია გადმოცემული იყოს მე-7 სფეროში.

1.5.4.7ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოიცავს კორპორაციული ორგანოს სახელს ასახულს იერარქიულ ფორმაში, ჩაიწერება იმ ფორმითა და რიგით რაც მოცემულია გამოშვებაში.

მაგ-ად: Inventaire des periodique etrangers et des publications en serie etrangeres recus en France / Bibliotheque nationale, Centre bibliographique national

Serie de culturas mesoamericanas / Universidad Nacional Autonoma de Mexico, Instituto de Investigaciones Historicas

Biographies et conferences / Centre international de dialectilogie generale pres l'Universite catholique de Louvain

1.5.4.8 თუ ცნობას პასუხისმგებლობის შესახებ არავითარი ენობრივი კავშირი არა აქვს სათაურთან, რომელსაც ის მიეკუთვნება, პიროვნების ან კორპორაციული ორგანოს სახელი ჩაიწერება დახრილი ხაზის შემდეგ.

მაგ-ად: Catalogos de escritores medicos espanoles / Universidad de Salamanca

1.5.4.9 თუ პასუხისმგებლობის ცნობასა და სათაურს შორის კავშირი გაურკვეველია, ემატება შემაერთებელი სიტყვა ან მოკლე ფრაზა და განცალკევებულია კვადრატულ ფრჩხილებში.

1.5.4.10 როდესაც ერთზე მეტი ცნობაა პასუხისმგებლობის შესახებ, ამ ცნობების რიგი აღწერილობაში არის ისე, როგორც მითითებულია სატიტულე გვერდის გაფორმებით, ან მათი თანმიმდევრობით სატიტულე გვერდზე. მხედველობაში არ ვიღებთ პასუხისმგებლობის მოცულობასა და ხარისხს, რაც ნაგულისხმევია სხვა ცნობებში.

1.5.4.11როდესაც ერთზე მეტი ცნობაა პასუხისმგებლობის შესახებ, ერთი აღნიშნავს პიროვნებას, მეორე კორპორაციულ ორგანოს, და პიროვნების სახელი წინ უძღვის კორპორაციულს და ეს უკანასკნელი ჩაიწერება პირველად,თუ ორივე ენობრივად დაკავშირებული არ არის უკურიგით.

1.5.4.12 პარალელური სათაურები და პარალელური ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ

1.5.4.12.1როდესაც სატიტულე გვერდი ატარებს ერთზე მეტ პარალელურ სათაურებს და /ან პარალელურ ცნობებს სხვა ინფორმაციაზე, და აქვს ასევე პასუხისმგებლობის ცნობები ერთზე ან მეტ ენაზე და/ან დამწერლობით, თითოეული ცნობა მისდევს სათაურს სხვა ინფორმაციაზე, რომელთანაც ის ენობრივად დაკავშირებულია.

მაგ.: Statistical yearbook / Statistical Office of the United Nations = Annuaire statistique / Bureau de statistique des Nations Unies

ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც არ ერთვიან ძირითად სათაურს ან პარალელურ სათაურს (ებს), შესაძლებელია ჩაიწეროს მე-7 სფეროში (იხ.7.1.5.1)

1.5.4.12.2 როდესაც სატიტულე გვერდი ატარებს ერთზე მეტ პარალელურ სათაურს და/ან პარალელურ ცნობებს სხვა ინფორმაციაზე სათაურის შესახებ, მაგრამ ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ მხოლოდ ერთ ენაზეა და/ან დამწერლობით, მაშინ ეს ცნობა ჩაიწერება ბოლო ჩაწერილი პარალელური სათაურის ან სხვა ინფორმაციის შემდეგ.

მაგ. : Bieler Jahrbuch = Annales biennoises / Herausgeber Bibliotheksverein Biel

1.5.4.12.3 როდესაც, არ არის პარალელური სათაური, მაგრამ სატიტულე გვერდზე მოცემულია ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ ერთზე მეტ ენაზე და/ან დამწერლობით, მაშინ ცნობა ჩაიწერება ძირითადი სათაურის ენაზე და/ან დამწერლობით. თუ ეს კრიტერიუმი არ ერთვის, ცნობა ჩაიწერება სატიტულე გვერდზე, როდესაც მითითებულია ან ტიპოგრაფიულად, ან თანმიმდევრულად.

მაგ.: Bibliographica belgica / Commission belge de bibliographie = Belgische commissie voor bibliografie

1.5.4.13 შემოკლებული ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ

1.5.4.13.1 როდესაც, კორპორაციული ორგანოს სახელი მოცემულია სატიტულე გვერდზე, როგორც ძირითადი სათაურის ნაწილი, პარალელური სათაური ან სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ შემოკლებული (არასრული) ფორმით, ან როგორც აკრონიმი ან ინიციალების ჯგუფი, ის მეორდება თავისივე გავრცობილი ფორმით, როგორც პასუხისმგებლობის ცნობა. თუ გავრცობილი ფორმა ხელმისაწვდომია აღსაწერი გამოშვებიდან, ის ჩაიწერება კვადრატულ ფრჩხილებში; თუ ის ამოღებულია არა გამოშვებიდან, შესაძლებელია ჩაიწეროს მე-7 სფეროში (7.1.5.1).

მაგ. : ALA bulletin / American Library Association
S.B.I.-rapport / udgivet af Statens bygge-forskningsinstitut
Nouvelles du C.C.E.-B.N.P. / [Comite central d'entreprise de la Banque nationale de Paris]

თუ, პასუხისმგებლობის ცნობის გავრცობილი ფორმა უკვე ჩაიწერა როგორც სხვა ინფორმაციის ნაწილი პასუხისმგებლობის შესახებ, მაშინ არავითარი შემდგომი ცნობა არ კეთდება ( იხ. ასევე 1.5.2.8).

მაგ. : P.M.L.A.: publications of the Modern Language Association of America

1.5.4.13.2 როდესაც, ძირითადი სათაური შესდგება კორპორაციული ორგანოს სახელისგან, რომელიც მოცემულია სატიტულე გვერდზე შემოკლებული (არასრული) ფორმით, ან როგორც აკრონიმი ან ინიციალების ჯგუფი, გავრცობილი ფორმა ჩაიწერება როგორც პასუხისმგებლობის ცნობა. თუ, გავრცობილი ფორმა ხელმისაწვდომია, ის ჩაიწერება კვადრატულ ფრჩხილებში, თუ ცნობა ამოღებულია არა გამოშვებიდან, ის შესაძლებელია ჩაიწეროს მე-7 სფეროში (იხ. 7.1.5.1).

მაგ.: A.C.O.A. / Administrative and Clerical Officers' Association
CASH / [ Consumer Association of South Humberside ]

1.5.4.14 საერთო და დაქვემდებარებული სათაურები

ძირითად სათაურიან სერიალის შემთხვევაში, რომელიც შექმნილია საერთო და დაქვემდებარებული სათაურისგან (ებისგან) (იხ. 1.1.4.2), პასუხისმგებლობის ცნობა მიეკუთვნება ძირითად სათაურს და ჩაიწერება ძირითადი სათაურის მიყოლებით, როგორც მთლიანი.

ინდივიდუალური ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ ჩაიწერება სათაურის (ების) მიყოლებით, რომლებსაც ისინი ერთვიან.

დაქვემდებარებული სათაურის აღნიშვნა, ან დაქვემდებარებული სათაური მიჰყვება პასუხისმგებლობის ცნობას, რომელსაც წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი.

მაგ.: Teaching geology with computer software. North America / Bureau of Education
Bulletin / Faculty of Archaeology. Supplement
Publications de la Sorbonne. Serie Byzantina / Centre de recherches d'histoire et de civilisation byzantines

1.5.5.ცვლილებები

როდესაც, აღსაწერი სერიალის გამოქვეყნების განმავლობაში, პასუხისმგებლობის ცნობამ განიცადა მცირე ცვლილებები, იმფორმაცია როგორც ერთზე ან სხვა მომდევნოზე შესაძლებელია ჩაიწეროს მე-7 სფეროში : პასუხისმგებლობის ცნობის ცვალებადი ფორმები შესაბამისი გამოშვების ნუმერაციასთან ერთად, თუ მოითხოვს. შენიშვნა, რომ პასუხისმგებლობის ცნობა ცვალებადია (იხ. 7.1.5.4).

დიდი ცვლილებები პასუხისმგებლობის ცნობის სახელით (ე.ი. კორპორაციული ორგანოს )ზოგად სათაურთან კავშირში იწვევს ახალ აღწერილობას (იხ.0.1.3).

2 გამოცემის სფერო

შინაარსი

2.1. ცნობა გამოცემის შესახებ
2.2 პარალელური ცნობა გამოცემის შესახებ. (არჩევით)
2.3 ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ დაკავშირებული გამოცემასთან.
2.4 დამატებითი ცნობა გამოცემის შესახებ
2.5 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც მიჰყვებიან დამატებით ცნობას გამოცემის შესახებ.

პუნქტუაციის ნიმუში:

ა) – გამოცემის სფეროს წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი ( . - )

ბ) - თითოეულ პარალელურ ცნობას გამოცემის შესახებ წინ უძღვის ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი ( = )

გ) - პირველ ცნობას პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია გამოცემასთან ( ან მისდევს დამატებით ცნობას), წინ უძღვის ინტერვალი, დახრილი ხაზი, ინტერვალი ( / )

დ) - თითოეულ მომდევნო ცნობას პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია გამოცემასთან ( ან მისდევს დამატებით ცნობას გამოცემის შესახებ), წინ უძღვის ინტერვალი, წერტილ-მძიმე, ინტერვალი.( ; ).

ე)- დამატებით ცნობას გამოცემის შესახებ, რომელიც მიყვება ცნობას გამოცემის შესახებ ან პასუხისმგებლობის ცნობას დაკავშირებულს გამოცემასთან, წინ უძღვის მძიმე, ინტერვალი (, ).

| | | |
|---|---|---|
| მაგალითები | . – | ცნობა გამოცემის შესახებ. |
| | . - | ცნობა გამოცემის შესახებ = პარალელური ცნობა გამოცემის შესახებ |
| | . – | ცნობა გამოცემის შესახებ / ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ |
| | . – | ცნობა გამოცემის შესახებ / ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ ; მეორე ცნობა პასუხ. შესახებ ; მესამე ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ. |
| | . – | ცნობა გამოცემის შესახებ / ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ = პარალელური ცნობა გამოცემის შესახებ / პარალელური ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ |
| | . – | ცნობა გამოცემის შესახებ / დამატებითი ცნობა გამოცემის შესახებ. |
| | . – | ცნობა გამოცემის შესახებ / ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ, დამატებითი ცნობა გამოცემის შესახებ / ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ. |

| | | |
|---|---|---|
| დაწესებული წყარო | | სატიტულე გვერდი [16] |
| | 2.1 | ცნობა გამოცემის შესახებ |
| | 2.1.1 | ცნობა გამოცემის შესახებ შედგება ტერმინისაგან, ფრაზისგან, ან სიმბოლოთა ჯგუფისგან, რომელიც დაკავშირებულია: |
| | ა) ÀÍ | ერთეულის ყველა ეგზემპლართან, რომელიც ფორმალურად იდენტიფიცირებულია გამოშვებაში, როგორც დასახელებული და/ან დანომრილი გამოშვების შემდგენელი. |
| | ბ) | წარმოდგენის განსაკუთრებული ფორმით, ერთეულის ყველა ეგზემპლარს აქვს ნიშანდობრივი განსხვავებები, ინტელექტუალური ან მხატვრული შინაარსით, სხვა ეგზემპლარიდან წარმოდგენის იმავე ფორმით, როდესაც გამოშვება ამ მიზნით ატარებს ნებისმიერ ფორმალურ ცნობას. ცნობა გამოცემის შესახებ ჩვეულებრივ მოიცავს სიტყვას "გამოცემა" ( ან მის ექვივალენტს სხვა ენაზე), ან მაკავშირებელ ტერმინს რიგობრივ რიცხვთან ერთად ( "მე-2 გამოცემა" და ა.შ), ან ტერმინს, რომელიც მიუთითებს განსხვავებაზე სხვა გამოცემასთან ("ახალი გამოცემა", "სტანდარტული გამოცემა" და ა.შ ). |

2.1.2 ცნობა გამოცემის შესახებ ჩაიწერება ტერმინით, რომელიც მოცემულია აღსაწერ გამოცემაში, თუ ის არ არის სატიტულე გვერდზე მოცემული, მაშინ განცალკევებულია კვადრატულ ფრჩხილებში. შესაძლოა გამოვიყენოთ აბრევიატურები. არაბული რიცხვები ენაცვლებიან სხვა ციფრებს ან ძნელად ამოსაკითხავ რიცხვებს. განმარტებითი ფრაზები,

რომლებიც ემატება ცნობას გამოცემის შესახებ, შესაძლოა ჩაიწეროს თუ მიჩნეულია მათი აუცილებლობა გამოცემის საიდენტიფიკაციოდ. ( იხ. 2.3.3 )
თუ ცნობა გამოცემის შესახებ შედგება მხოლოდ ან უმთავრესად სიმბოლოებისაგან, რომლებიც არც ციფრობრივია და არც ანბანური და რომელთა აღდგენაც შეუძლებელია ხელმისაწვდომი ტიპოგრაფიული საშუალებებით (შეადარე 0.11). სიმბოლოები ჩაინაცვლებიან შესატყვისი სიტყვებით ან რიცხვებით კვადრატულ ფრჩხილებში. განმარტება შესაძლებელია ჩაიწეროს მე-7 სფეროში (იხ. 7.2 )

2.1.3 თუ არავითარი ცნობა გამოცემის შესახებ არ არის გამოშვებაში მოცემული, შესაფერისი ცნობა გამოცემის შესახებ, რომლის შინაარსის ამოღება შეგვიძლია გამოშვებიდან, შესაძლებელია დავამატოთ განცალკევებულად კვადრატულ ფრჩხილებში, გარდა ცნობებისა, რომლებიც მიუთითებენ მასალის ზოგად ან სპეციფიურ კლასზე ( იხ. 2.1.5.2 ) დამატებითი ცნობა გამოცემის შესახებ მოცემულია სატიტულე გვერდის ენაზე და 2.1.2 დებულების გათვალისწინებით.

მაგ:  . – [ ED. de Grenoble ]

2.1.4 შემდეგი არის ცნობების ზოგიერთი ტიპი, რომლებიც ჩაწერილი არიან, როგორც ცნობები გამოცემის შესახებ:
2.1.4.1 ცნობები მიუთითებენ დასახელებულ და/ან დანომრილ გამოცემაზე, სერიალის ხელახალ და შესწორებულ გამოცემაზე, როგორც მთელზე.

| | | |
|---|---|---|
| მაგ: | . – Joind ed. | შეერთებული გამოცემა |
| | . – $2^{nd}$ ed. | მე-2 გამოცემა |
| | . – Reprint ed. | ხელახალი გამოცემა |
| | . – Annual cum. ed | ყოველწლიური გამოცემა |

2.1.4.2 ცნობები ადგილობრივი გამოცემის შესახებ.

მაგ:  . – Northern ed.
. – Overseas ed.
. – Московский вечерный вып.

2.1.4.3 ცნობები განსაკუთრებული ინტერესების მქონე გამოცემების შესახებ.

მაგ:  . – Ed. pour le médecin
. – Manegers' ed.

2.1.4.3 ცნობები სპეციალური ( განსაკუთრებული) ფორმატისა ან ფიზიკური წარმოდგენის შესახებ.

| | | |
|---|---|---|
| მაგ: | . – Airmail ed. | . – Library ed. |
| | . – Braile ed. | . – Microform ed. |
| | . – Large print ed | . – Student software ed. |

2.1.4.4  ცნობები ენობრივი გამოცემის შესახებ

მაგ:  . – English ed.
2.1.4.5 ცნობები, რომლებიც მიუთითებენ გამოშვებაში მოთავსებულ ჩა (და) ნართზე ან დამატებაზე.

მაგ:  . – Ausg. mit Supplementen
. – [ With Supplement] in four langueges.

2.1.5 ცნობები მომდევნო ტიპების ( ნიმუშები) არ ჩაიწერებიან, როგორც ცნობები გამოცემის შესახებ.
2.1.5.1 ცნობები, რომლებიც მიუთითებენ დანომრილ ტომზე ან ქრონოლოგიურ გამოცემის პერიოდზე. ეს ცნობები უნდა იყოს ჩართული მე-3 სფეროში. ( იხ. 3.1.1)
2.1.5.2 ცნობები, რომლებიც მასალის ზოგად ან სპეციფიურ კლასზე მიუთითებენ, როდესაც ისინი მოცემული არ არიან სატიტულე გვერდზე. ისინი ჩაიწერებიან 1-ელ სფეროში – როგორც მასალის ზოგადი აღნიშვნა, და/ან როგორც მასალის სპეციფიური აღნიშვნა მე-5 სფეროში ( იხ. 1.2 და 5.1 )
2.1.5.3 ცნობები მიუთითებენ რეგულარულ შესწორებებზე, ისინი ჩართული უნდა იყვნენ მე-7 სფეროში (იხ. 7.2 )

**2.2 პარალელური ცნობები გამოცემის შესახებ (არჩევით)**

როდესაც გამოშვება ატარებს ცნობებს გამოცემის შესახებ ერთზე მეტ ენაზე და/ან დამწერლობით, ცნობა ჩაიწერება ძირითადი სათაურის ენაზე და/ან დამწერლობით, თუ ამ კრიტერიუმის გამოყენება შეუძლებელია, მაშინ მოცემული ცნობა გამოცემის შესახებ ჩაიწერება პირველად. პარალელური ცნობა (ები) შესაძლოა ჩაიწეროს.

მაგ. .–Canadian ed. =Ed. canadienne

**2.3 ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ დაკავშირებული გამოცემასთან:**

2.3.1 ცნობებს პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც დაკავშირებული არიან გამოცემასთან, შეუძლიათ მიუთითონ პიროვნებებსა და კორპორაციულ ორგანოებზე და ფუნქციებზე როგორიცაა: ახალი გამოცემის კორექტორის ფუნქცია, ან შეუძლიათ ახალ გამოცემაში დაასახელონ პიროვნება ან ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია დამატებითი საკითხების უზრუნველყოფაზე, ან დამატებებზე და ა.შ.

2.3.2 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც დაკავშირებული არიან ჩაბარებულ გამოცემასთან ჩაიწერება გამოცემის სფეროში, თანახმად 1.5. დებულებისა, თუ ეს ცნობები მოცემულია აღსაწერი გამოშვების სატიტულე გვერდზე. თუ ისინი გამოშვებაში სხვა ადგილზეა მოცემული, შესაძლებელია მათი ჩაწერა კვადრატულ ფრჩხილებში. შენიშვნა ცნობებზე პასუხისმგებლობის შესახებ,რომელიც ამოღებულია არა გამოშვებიდან,შესაძლებელია ჩაწერილი იყოს მე-7 სფეროში (იხ.7.2)

2.3.3 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც დაკავშირებული არიან ჩაბარებულ გამოშვებასთან ( როგორც აღწერილია 2.3.2- ში) მაგრამ, რომლებიც არ ასრულებენ ან სხვანაირად უკეთებენ დენტიფიცირებას პიროვნებას ან კორპორაციულ ორგანოს, ჩაიწერებიან, როგორც ცნობის ნაწილი გამოცემის შესახებ ( იხ. 2.1.2). ასეთი ცნობები ხშირად მოცემულია, როგორც განმარტებითი ფრაზები.

2.3.4 პარალელური ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც დაკავშირებულ არიან გამოცემასთან, შესაძლებელია ჩაიწეროს წინამდებარე ინტერვალით, ტოლობის ნიშნით, ინტერვალით.

**2.4 დამატებითი ცნობა გამოცემის შესახებ.**

2.4.1 დამატებითი ცნობა გამოცემის შესახებ მოცემულია

ა) როდესაც აღსაწერი გამოშვება ( ან სერიალი) ატარებს ფორმალურ ცნობას, რომელიც მას იდენტიფიცირებას უკეთებს, რადგანაც მიეკუთვნება გამოცემას გამოცემის შიგნით, ან გამოცემას, რომელიც პირველად დასახელებული გამოცემის ექვივალენტია.
ბ) როდესაც გამოშვებას ( ან სერიას) აქვს ნიშანდობლივი განსხვავებები შინაარსში უფრო ვრცელი გამოცემის სხვა ტირაჟისაგან, რომელსაც ის მიეკუთვნება.

მაგ: . – English ed. , $2^{nd}$ ed.
. – Reprint ed. , [ with an appendix]

2.4.2 დამატებითი ცნობები გამოცემის შესახებ ჩაიწერება 2.1.2. და 2.1.3 დებულებების თანახმად.
2.4.3 დამატებითი ცნობები გამოცემის შესახებ, რომლებიც უცვლელ ტირაჟს ასახავენ, შესაძლებელია ჩაიწეროს.
2.4.4 პარალელური დამატებითი ცნობები გამოცემის შესახებ, შესაძლებელია ჩაიწეროს წინ მდებარე ინტერვალით, ტოლობის ნიშნით, ინტერვალით.

**2.5 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ მიჰყვებიან დამატებით ცნობას გამოცემის შესახებ.**

2.5.1 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც მიჰყვებიან დამატებით ცნობას გამოცემის შესახებ, ჩაიწერებიან 2.3 დებულების თანახმად.

2.5.2 პარალელური ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც მიჰყვებიან დამატებით ცნობას გამოცემის შესახებ, შესაძლებელია ჩავწეროთ წინამდებარე ინტერვალით, ტოლობის ნიშნით, ინტერვალით.

## 3. ნუმერაციის სფერო

**წინასწარი შენიშვნა** ნუმერაციის სფერო შედგება ნომრებისგან და/ან გამოცემის პერიოდის თარიღებისგან, რომელიც მიეკუთვნება პირველ ან ბოლო გამოშვებას, ატარებს ძირითად სათაურს და ჩაწერილია 1-ელ სფეროში.

მე-3 სფეროში მოცემული ნომრები და თარიღები იდენტიფიცირებას უკეთებენ სერიალის ელემენტებს[17]. თარიღები შესაძლოა იყოს ან არ იყოს მე-4 სფეროში მოცემული პუბლიკაციის თარიღის იდენტური.

როდესაც აღწერილობა კეთდება შუალედური გამოშვებიდან და ხელმიუწვდომელია პირველი და/ან ბოლო გამოშვების ნუმერაციული თარიღის წყარო, ნებისმიერი ინფორმაცია პირველი და/ან ბოლო გამოშვების შესახებ შესაძლოა ჩაწერილი იყოს მე-7 სფეროში (იხ. 7.3.2). სფერო გამოტოვებულია მხოლოდ, თუ ორივე, პირველი და ბოლო გამოშვების ნუმერაციული თარიღის წყარო ხელმიუწვდომელია.
ნუმერაციული თარიღი, გარდა იმისა რომ დაკავშირებულია პირველ და/ან ბოლო გამოშვებასთან, შესაძლოა ასევე მოცემული იყოს მე-7 სფეროში (იხ. 7.3.1).

როდესაც აღწერა კეთდება სერიალის ერთი შუალედური გამოშვებიდან, მისი ნუმერაცია მოცემულია მე-3 სფეროში. როდესაც აღწერა კეთდება გამოშვების შეზღუდული გაგრძელებიდან, მე-3 სფეროში მოცემულ თარიღს შევადგენთ პირველი და ბოლო აღსაწერი გამოშვების პერიოდის ნომრიდან და/ან თარიღებიდან. სერიალის პირველი გამოშვების დაწყებითი ნუმერაცია შესაძლოა მითითებული იყოს მე-7 სფეროში. (იხ. 7.3.2; 7.9 და იხ. ასევე 0.5.2.2).

### პუნქტუაციის ნიმუში

ა) ნუმერაციის სფეროს წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (. - ).
ბ) სერიალის პირველი გამოშვების ნომრის ან თარიღის შემდეგ დეფისი (-) აკავშირებს ამ ნუმერაციას სერიალის ბოლო გამოშვების ნომერთან ან თარიღთან, ან მიუთითებს სერიალის გაგრძელებაზე.
გ) როდესაც არის გამოშვების ნომერი ან თარიღი, თარიღი თავსდება მრგვალ ფრჩხილებში (( )) ნომრის შემდეგ, თუ ნომერი არ არის თარიღის გამყოფი (იხ. 3.3).
დ) ნუმერაციის მეორე და თითოეული მომდევნო სისტემა, რომელიც იმავე გამოშვებაშია გამოყენებული როგორც პირველი სისტემა, მაშინ, წინ უძღვის ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი (=).
ე) ნუმერაციის თითოეული, ახალ თანმიმდევრულ აღნიშვნას წინ უძღვის ინტერვალი, წერტილ-მძიმე, ინტერვალი ( ; ), და შემდეგ მიჰყვება მძიმე (, ).

მაგალითები
პირველი გამოშვების თარიღი - ბოლო გამოშვების თარიღი.
პირველი გამოშვების თარიღი -
პირველი გამოშვების ნომერი - ბოლო გამოშვების ნომერი.
პირველი გამოშვების ნომერი -
პირველი გამოშვების ნომერი (პირველი გამოშვების თარიღი) - ბოლო გამოშვების ნომერი (ბოლო გამოშვების თარიღი)

პირველი გამოშვების ნომერი (პირველი გამოშვების თარიღი) - პირველი გამოშვების ნომერი - ბოლო გამოშვების ნომერი = პირველი გამოშვების სხვა ნომერი - ბოლო გამოშვების სხვა ნომერი
პირველი გამოშვების ნომერი - ბოლო გამოშვების ნომერი ; ცნობა ახალ თანმიმდევრობაზე, პირველი გამოშვების ნომერი - ბოლო გამოშვების ნომერი.

დაწესებული წყარო

სატიტულე გვერდი[18], გარეკანი, სათაურის - სათაური, მასჰედი, რედაქტორის გვერდი, კოლოფონი და სხვა პრელიმინარები.

**3.1 ჩაწერა**

3.1.1 ნუმერაციული თარიღი ჩაიწერება იმ ფორმით და იმ თანმიმდევრობით, როგორც გამოშვებაშია მოცემული, გარდა იმ არაბული ციფრებისა, რომლებიც შეცვალეს სხვა რიცვები ან ძნელად ამოსაკითხი. ისინი ჩაიწერებიან გამოშვების აღნიშვნასთან ერთად, ან რომელიმე, ან ექვივალენტი სტანდარტული შემოკლებული ფორმით. სტანდარტული აბრევიატურები იხმარებიან სიტყვების ადგილას.
მაგალითად:

| | | |
|---|---|---|
| . _ Bd. 1 | . _ mai 1972 | . _ 1 köt |
| . _ Vol.1 | . _ 1916 ed. | . _ 1980/1981 |
| . _ Pt.1 | . _ 2$^{e}$ trim. 1973 | . _ 1 июля 1971 |
| . _ IS Jan. 1970 | . _ 1969 | . _ 2-е полугодие 1968 |

არასრული, უზუსტო თარიღი ან ბეჭდვითი შეცდომა თარიღში, კომპლექტდება ან სწორდება მასში გამოტოვებული ელემენტის(ების) ჩართვით ან სწორი ვერსიის მიცემით და თავსდება კვადრატულ ფრჩხილებში. (იხ. ასევე 0.10)
მაგ-ად . _ [19]76 . _ 1986 [i.e.1968]-
._ Vol. 1 ([19]]83) . _ Vol.20 [i.e. 21] (1846)
3.1.2 წლები, გრიგორიანული კალენდრის გარდა ჩაიწერება, როგორც მოცემულია ინფორმაციის დაწესებულ წყაროში გრიგორიანულ კალენდრის ექვივალენტურ წლებთან ერთად, რომელიც დამატებულია კვადრატულ ფრჩხილებში.
მაგ-ად: . _ 1353 [1979]
3.1.3 როდესაც გამოშვება მოიცავს ერთ წელს, რომელიც არ არის კალენდარული წელი, ან მოიცავს ერთზე მეტ წელს - გამოიყენება დახრილი ხაზი და მას წინ უძღვის და არც ბოლოში არ ერთვის ინტერვალი.
მაგ-ად. ._ 1970/71 . _ 1960/65
3.2 როდესაც სერიალის გამოშვებები იდენტიფიცირებულია ნორმით ან თარიღით, პირველი და ბოლო გამოშვების ნომრები და თარიღები ჩაიწერება, როდესაც გამოქვეყნდება.
მაგ-ად . _ Vol. 1- ._ 1925 _
._ Bd.1-70 . _ 1936 - 1956

3.3 როდესაც სერიალის გამოშვებაში იდენტიფიცირდებიან ნორმით და თარიღით, პირველი და ბოლო გამოშვების ნომრები და თარიღები, როცა გამოიცემა, ჩაწერილია. ორივე ეს ელემენტი ჩაწერილია, თარიღს წინ უძღვის ნომერი.
მგ-ად. . _ Vol.1, no.1 (Jan. 1971) -vol.5, no 12 (Dec. 1975)
. _ Vol.1 (1960) -
თუმცა, როდესაც ნომერი არის თარიღის გამყოფი, ნომერი იწერება თარიღის შემდეგ.
მაგ-ად . _ 1971, no.1-1975, no.12
. _ 1967, no.1 -
3.4 როდესაც სერიალი არის ერთი ან მეტი სხვა სერიალების გაგრძელება (იხ. 7.2) ჩაწერილი ნომრები და/ან თარიღები იმ გამოშვებისა არიან, რომელიც ატარებს ახალ ძირითად სათაურს.
მაგ-ად. . _ Bd. 5 (1957/63) - Bd.6 (1964/70)
. _ 6 (1963) -
. _ Vol.1 (1960)-
3.5 როდესაც გამოშვებაში არსებული აღნიშვნები ერთზე მეტ ენაზე და/ან დამწერლობით არის, აღნისვნა იწერება ძირითადი სათაურის ენაზე და/ან დამწერლობით, ან თუ ეს კრიტერიუმი არ მიესადაგება (გამოიყენება), პირველი ჩაიწერება მე-3 სფეროში. პარალელური აღნიშვნები შესაძლოა, ასევე ჩიწერონ წინამდებარე ინტერვალით, ტოლობის ნიშნით, ინტერვალით.
მაგ-ად. . _ Vol.20 ან . _ Vol.= T. = Bd.20
3.6 როდესაც აღსაწერ გამოშვებაზე ერთი ნუმერაციული სისტემა მოიცავს ერთზე მეტ ნუმერაციას, ყველა ნომერი და აღნიშვნა ჩაიწერება მე-3 სფეროში.
მაგ-ად . _ Bd.6, Nr.1 =31 (1976)-
. _ Vol.6 = 13, no. 3/4 (1969)-
. _ 1976, broj 1 (1 siecanj = jan.)-
. _ Vol. 11, no. 0 = specimen copy (19 may 1979)-
3.7 როდესაც აღსაწერი გამოშვება ატარებს მრავალ ნუმერაციულ სისტემას, ყველა ნუმერაცია ჩაიწერება მე-3 სფეროში.
მაგ-ად. . _ Bd.1, Nr.1-Bd.6, Nr.3 =Nr.1 (Frübling 1970)-Nr24 (Winter 1975)
3.8 როდესაც სერიალი ითვისებს ახალ თანმიმდევრობას, მაგრამ ძირითადი სათაური არ იცვლება (1.1.4.3), ნუმერაციის პირველი თანმიმდევრობა ჩაიწერება და მას მიჰყვება ნუმერაციის ახალი თანმიმდევრობა. ჩვეულებრივ, სერიალი ატარებს აღნიშვნას, როგორიცაა, "ახალი სერია", "მეორე სერია" და ა.შ. იმისათვის რომ მიუთითოს ნუმერაციის ახალ თანმიმდევრობაზე და არა ახალ სერიულ პუბლიკაციაზე, რაც მიღებულია. ცნობა ახალ თანმიმდევრობაზე, ან რომელიმეს, წინ უძღვის თვის ნუმერაციას.
მაგ-ად. . _ Bd.1 (1962) -Bd.6(1967); N.F., Bd.1(1968)-
. _ Vol.1, no.1 (Jan.1941)-vol.4, no.5 (may 1950); n.s., vol.1, no.1 (June 1950) -vol.2, no.12 (May 1952)
._Vol.1., no.1 (Mar. 1950)- vbol.4, no.5 (Aug.1954); Dec.1954-
3.9 როდესაც აღვწერთ ქვესერიის ან დამატება/ჩანართს დაქვემდებარებული სათაურით (იხ.1.1.4.2), ქვესერიის ან დამატება/ჩანართის ნუმერაცია ჩაწერილია მე-6 სფეროში და თუ ის არ ერთვის, შენიშვნა ნუმერაციაზე, რომელიც დაკავშირებულია მთავარ სერიასთან ან მთავარ პუბლიკაციასთან, მოცემულია მე-7 სფეროში. (იხ. 7.3.3; 7.6.3.1)
მაგ-ად. Dunantuli tudomanyos gyujtemeny. series geographica
Editorial comment: რედაქტორის კომენტარი
In area 3: . - 31. sz.
In area 6: . - (Dunantuli tudomanyos gyujtemeny; 58 sz.)

3.10 ხელალახალი დაბეჭდილი ფაქსიმილეს ან სხვა ფოტოგრაფიული რეპროდუქციის აღწერისას, მე-3 სფეროს ელემენტები არიან ორიგინალური სერიალის ნომრები და/ან თარიღები. თუ ისინი რეპროდუქციაზე არ არიან, მოცემული, თავსდებიან კვადრატულ ფრჩხილებში.

## 4. პუბლიკაციის, გავრცელების და ა.შ სფერო

**წინასწარი შენიშვნა** ამ სფეროში შეიძლება ჩართული იყოს ყველა პიროვნება და ორგანიზაცია (კომერციული), რომელიც პასუხისმგებელია სერიალის ფიზიკურ გამოქვეყნებასა და გავრცელებზე.

**შინაარსი**
4.1 პუბლიკაციის და/ან გავრცელების ადგილი.
4.2 გამომცემელი და/ან გამავრცელებელი.
4.3 ცნობა გამავრცელებლის ფუნქციის შესახებ (არჩევით)
4.4 პუბლიკაციის და/ან გავრცელების თარიღი
4.5 ბეჭვდის ან წარმოების ადგილი (არჩევით)
4.6 მბეჭდავი ან მწარმოებელი (არჩევით)
4.7 ბეჭვდის ან წარმოების თარიღი (არჩევით)

**პუნქტუაციის ნიმუში**

ა) პუბლიკაციის, გავრცელების და ა.შ სფეროს წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი ( . – ).

ბ) მეორე ან შემდგომ ადგილს წინ უძღვის ინტერვალი, წერტილმძიმე, ინტერვალი ( ; )

გ) თითოეულ სახელს წინ უძღვის ინტერვალი, ორწერტილი, ინტერვალი ( : )

დ) გამავრცელების ფუნქციაზე დამატებითი ცნობა განცალკევებულია კვადრატულ ფრჩხილებში ( [ ] )

ე) თარიღს წინ უძღვის მძიმე, ინტერვალი ( , )

ვ) დეფისი ( - ) სერიალის პირველი გამოშვების პუბლიკაციის თარიღის შემდეგ აკავშირებს მას შერიალის ბოლოო გამოშვების თარიღთან, ან მიუთითებს ამ სერიალის გაგრზელებაზე.

ზ) ბეჭვდის ან წარმოების ადგილი, მბეჭდავი ან მწარმოებელი და ბეჭვდის ან წარმოების თარიღი მოთავსებულია წყვილ მრგვალ ფრჩხილებში ( () ). ფრჩხილების შიგნით იგივე პუნქტუაცია გამოიყენება, როგორც ბ,გ და ე ნიმუშებშია მოცემული.

მაგალითები:

. – პუბლიკაციის ადგილი: გამომცემელი, თარიღი

. – პუბლიკაციის ადგილი; პუბლიკაციის ადგილი: გამომცემელი, თარიღი ( ბეჭვდის ადგილი: მბეჭდავი, თარიღი)

. – პუბლიკაციის ადგილი: გამომცემელი; პუბლიკაციის ადგილი: გამომცემელი, თარიღი.

. – პუბლიკაციის ადგილი = პარალელური ცნობა პუბლიკაციის ადგილის შესახებ: გამომცემელი თარიღი

. – პუბლიკაციის ადგილი: გამომცემელი = პარალელური ცნობა პუბლიკაციის შესახებ: პარალელური ცნობა გამომცემლის შესახებ, თარიღი.

. – გავრცელების ადგილი: გამავრცელებელი ( ფუნქცია), თარიღი (წარმოების ადგილი: მწარმოებელი თარიღი).

. – პუბლიკაციის ადგილი: გამომცემელი, თარიღი ( ბეჭვდის ადგილი: მბეჭდავი)

**დაწესებული წყარო** სატიტულე-გვერდი[19], გარეკანი, სათაურის სათაური, მასჰედი, რედაქტორის გვერდი კოლოფონი და სხვა პრელიმინარები.

4.0 გამოსასვლელი ცნობები ეს არის აღსაწერი გამოშვება. ხელახალი დაბეჭდილი ფაქსიმილეს ან სხვა ფოტოგრაფიული რეპროდუქციის აღწერისას, რეპროდუქციის გამოსასვლელი ცნობები ჩაიწერება პუბლიკაციის, გავრცელების და ა.შ სფეროში. გამოსასვლელი ცნობები ორიგინალის შესახებ მოცემულია მე-7 სფეროში ( იხ. 7.2.1)

4.1 პუბლიკაციის და/ან გავრცელების ადგილი.

4.1.1 პუბლიკაციის და/ან გავრცელების ადგილი ეს არის ქალაქის ან სხვა ადგილმდებარეობის დასახელება, რომელიც დაკავშირებულია გამოშვებაში გამომცემლის ( ან მთავარ გამომცემელთან თუ ერთზე მეტი სახელია მოცემული) ან გამავრცელებლის სახელთან ( იხ.4.2). თუ არც გამომცემელი და არც გამავრცელებელია დასახელებული, მაშინ ეს არის ადგილი, საიდანაც პუბლიკაცია გამოუშვეს ან გაავრცელეს.

4.1.2 თუ გამოშვებაში მოცემული ინფორმაცია შეცდომით არის მიჩნეული, შესწორება შესაძლებელია დაემატოს კვადრატულ ფრჩხილებში ( იხ. 0.10) ან ჩაიწეროს მე-7 სფეროში ( იხ. 7.4.1)

4.1.3 თუ ერთზე მეტი ადგილი დაკავშირებულია ერთი გამომგონებლის ან გამავრცელებლის სახელთან, ჩაიწერება ადგილი, რომელიც ტიპოგრაფიულად უფრო შესამჩნევია. თუ არ არის რაიმე ტიპოგრაფიული განსხვავება, ჩაიწერება პირველად დასახელებული ადგილი ( იხ. ასევე 4.2.1).

4.1.4 მეორე ან შემდგომი ადგილი შესაძლებელია ჩაიწეროს (მაგ: ბიბლიოგრაფიულმა სააგენტომ შესძლო აერჩია შემდგომი ადგილის ჩართვა, რომელიც მდებარეობს სააგენტოს მშობლიურ ქვეყანაში).

4.1.5 როდესაც პუბლიკაციის მეორე ან შემდგომი ადგილი გამოტოვებულია, გამოტოვებულობა შესაძლებელია მითითებულ იყოს "ent"- ით, ან მისი ექვივალენტით სხვა დამწერლობით, რომელიც განცალკევებულია კვადრატულ ფრჩხილებში ( იხ. 4.2.3).

მაგ: . – Lausanne [ ets] Payot

4.1.6 როცა მოცემულია ერთზე მეტი გამომცემლის სახელი, პუბლიკაციის ადგილი თითოეულ გამომცემელზე იქვე სახელის წინ არის ჩაწერილი, თუ ის არ ემთხვევა პირველად დასახელებული გამომცემლის სახელს.

4.1.7 როცა ორივე გამომცემელი და გამავრცელებელია მოცემული, გავრცელების ადგილი ჩაიწერება თუ ის განსხვავდება პუბლიკაციის ადგილისაგან.

4.1.8 პუბლიკაციისა და გავრცელების ადგილი მოცემულია ორთოგრაფიული ფორმით და გრამატიკული საშუალებით, როგორც გამოშვებაშია მოცემული.

მაგ: . – V Praze

4.1.9 თუ აუცილებლობას წარმოადგენს იდენტიფიკაცია,მაგალითად ქვეყნის, სახელმწიფოს სახელის და ა.შ განსაზღვრება, შესაძლებელია დაემატოს პუბლიკაციისა ან გავრცელების ადგილს. ის თავსდება მრგვალ ფრჩხილებში თუ გადაიწერება ინფორმაციის დაწესებული წყაროდან, ან კვადრატულ ფრჩხილებში თუ გადაიწერება სხვა წყაროდან.

**მაგ: . – London ( Ontario)**
**. – Cambridge (Mass.)**
. – Camdridge [ England]
. – Santiago [ Chile]

როდესაც აუცილებლობას წარმოადგენს იდენტიფიცირება, გამომცემლის ან გამავრცელებლის სრული მისამართი შესაძლებელია დაემატოს ადგილის დასახელებას. ის მრგვალ ფრჩხილებში თავსდება თუ გადაწერილია ინფორმაციის დაწესებული წყაროდან, ან კვადრატულ ფრჩხილებში თუ გადაწერილია სხვა წყაროდან.

**მაგ: . – Paris (66, avenue de Versailles, 75016)**

4.1.10 თუ აუცილებლობას წარმოადგენს იდენტიფიცირება, ადგილის დასახელების ალტერნატიული ან შესწორებული ვერსია ( იხ. 0.10 ) შესაძლებელია დაემატოს და მოთავსდეს კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ: . –Christiania [ i.e. Oslo ]

4.1.11 როდესაც პუბლიკაციის ან გავრცელების ადგილის დასახელება მოცემულია გამოშვებაში ერთ ან მეტ ენაზე და/ან დამწერლობით, ფორმა ჩაიწერება ძირითადი სათაურის ენაზე და დამწერლობით. თუ ეს კრიტერიუმი არ გამოიყენება, სახელის ფორმა შესამჩნევია ტიპოგრაფიულად, ან თუ არ არის ტიპოგრაფიულად განსხვავებული ნიშანი, ჩაიწერება სახელის ფორმა, რომელიც პირველად არის მოცემული.

4.1.12 პარალელური ცნობები შესაძლებელია მოცემულ იყოს წინამდებარე ინტერვალით, ტოლობის ნიშნით, ინტერვალით. თუ ისინი არ ჩაიწერებიან, გამოტოვებულობის შესახებ მითითება არ კეთდება.

მაგ: . – Genf = Genéve

4.1.13 თუ არსად გამოშვებაში არ არის მოცემული პუბლიკაციის ან გავრცელების ადგილი, ცნობილი ქალაქის სახელი ემატება კვადრატულ ფრჩხილებში. თუ ქალაქი გაურკვეველია, ან

უცნობია, შესაძლო ქალაქის სახელს მიჰყვება კითხვის ნიშანი, რომელიც დამატებულია კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ:. –[ Hamburg? ]

4.1.14 როდესაც შეუძლებელია ქალაქის სახელის ჩაწერა, ჩაიწერება სახელმწიფოს, პროვინციის ან ქვეყნის სახელი იმავე დებულების თანახმად, რაც მისაღებია ქალაქის სახელთან.

მაგ: . –Canada

*რედაქტორის კომენტარი ( შენიშვნა ):* ცნობილია როგორც პუბლიკაციის ადგილი; მოცემულია დაწესებული წყაროში

. –[ Surrey ]

*რედაქტორის კომენტარი:* ცნობილია როგორც პუბლიკაციის ადგილი, მოცემულია არა დაწესებული წყაროდან.

. –[ Guatemala ? ]

*რედაქტორის კომენტარი:* გაურკვეველი როგორც პუბლიკაციის ადგილი.

4.1.15 როდესაც შეიძლება არ ჩავწეროთ ადგილი, მაშინ იწერება აბრევიატურა "s.l." ( sine loco ) ( ადგილის მითითების გარეშე) ან ემატება მისი ექვივალენტი სხვა დამწერლობით და თავსდება კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ: . – [ s.l. ]

. – [ Б.m. ]

## 4.2 გამომცემლის და/ან გამავრცელებლის სახელი

4.2.1 როდესაც ერთზე მეტი გამომცემელია დასახელებული გამოშვებაში, ჩაიწერება სახელი, რომელიც ტიპოგრაფიულად უფრო შესამჩნევია, ან თუ არ არის ტიპოგრაფიულად განმასხვავებელი ნიშანი,ჩაიწერება სახელი, რომელიც პირველად არის მოცემული. თუ არავითარი განმასხვავებელი ნიშანი არ არის, სახელები არ ჩაიწერებიან ერთი მეორეს მიყოლებით, არამედ ჩაიწერება სახელი, რომელიც უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნია ბიბლიოგრაფიულმა სააგენტომ.

4.2.2 მეორე და მომდევნო გამომცემელი შეიძლება ჩაიწეროს, როდესაც ისინი მნიშვნელოვანი არიან ბიბლიოგრაფიული სააგენტოსთვის.

4.2.3 როდესაც მეორე ან მომდევნო გამომცემლები გამოტოვებულნი არიან, გამოტოვებულობა შესაძლებელია მითითებულ იყოს " ete"- თი ( და ა.შ ) ან მისი ექვივალენტით სხვა დამწერლობით, რომელიც მოთავსებულია კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ: . – Lausanne : Payot [ ete ]

4.2.4 როდესაც ორივე სახელი – გამომცემლის და გამავრცელებლის – მოცემულია ინფორმაციის დაწესებულ წყაროში, შესაძლებელია ჩაიწეროს გამავრცელებლის სახელი. როდესაც გამავრცელებლის სახელი მოცემულია რომელიმე სხვა წყაროში, ის შეიძლება ჩაიწეროს მე-7 სფეროში ( იხ. 7.4.1 ). თუ მხოლოდ გამავრცელებელია დასახელებული, მაშინ ის უნდა ჩაიწეროს.

4.2.5 როდესაც გამომცემლის ან გამავრცელებლის სახელი შესაძლებელია რომ ჩაიწეროს შემოკლებული ფორმით, უზრუნველყავით მისი გაგება და იდენტიფიცირება გაუგებრობის გარეშე.

4.2.6 როდესაც გამომცემლის ან გამავრცელებლის სახელი მთლიანად ჩაწერილია 1-ელ სფეროში, ან მთელი ფორმა შესაძლებელია განმეორდეს მე-4 სფეროში, ან შემოკლებული ფორმა ან მაიდენტიფიცირებელი ფრაზა შესაძლებელია ჩაიწეროს იქ. არავითარი კვადრატული ფრჩხილები არ გამოიყენება ასეთი მოკლე ფორმებისთვის, რომელიც მოცემულია მთლიანი ფორმის ადგილას, მაშინაც კი, თუ მოკლე ფორმა არ არის ნაჩვენები ინფორმაციის დაწესებულ წყაროში.

მაგ: Liste des périodique recus au Centre national de recherche agronomique .- Versailles : C.N.R.A.

4.2.7 როდესაც გამომცემლის ან გამავრცელებლის სახელი მოცემულია გამოშვებაში ერთზე მეტ ენაზე და/ან დამწერლობით, ფორმა ჩაიწერება ძირითადი სათაურის ენაზე და/ან დამწერლობით. თუ ეს კრიტერიუმი არ გაოიყენება, სახელის ფორმა ტიპოგრაფიულად შესამჩნევი ხდება, ან თუ ტიპოგრაფიულად განმასხვავებელი ნიშანი არ არის, ჩაიწერება სახელის ფორმა, რომელიც პირველად არის მოცემული.

4.2.8 პარალელური ცნობები შესაძლებელია ჩაიწეროს წინამდებარე ინტერვალით, ტოლობის ნიშნით, ინტერვალით. თუ ისინი არ ჩაიწერება, გამოტოვებულობაზე არავითარი ნიშანი არ კეთდება.

მაგ: . – Bern : Bundeskanzlei = Chancellrie fédérale.

4.2.9 მბეჭდავის (სტამბა) სახელი არ ჩაიწერება როგორც უცნობი გამომცემლის ან გამავრცელებლის სახელის შემცვლელი. ასე თუ ისე, როდესაც პიროვნება ან კორპორაციული ორგანო აერთიანებს ბეჭდვით ან წარმოებით საქმიანობას (მოღვაწეობას) და პუბლიკაციას ან გავრცელებას; ან როდესაც გაურკვეველია პასუხისმგებლობა, დასახელებული მბეჭდავი ითვლება გამომცემლად.

მაგ. ._ London : Oxpord University Press
. _Paris : Imprimerie nationale

4.2.10 როდესაც სახელის, როგორიცაა გამომცემლის ან გამავრცელებლის, ჩაწერა შეუძლებელია, კვადრატულ ფრჩხილებში ემატება აბრევიატურა "s.n." (sine nomine – სახელის გარეშე) ან მისი ექვივალენტი სხვა დამწერლობით.

მაგ. ._ [S.I. : s.n.]
._ Londin : [s.n.]

**4.3. ცნობა გამავრცელებლის ფუნქციის შესახებ (არჩევით).**

4.3.1 როდესაც ინფორმაციის დაწესებული წყარო მოიცავს გამოსასვლელი ცნობის მთელ ნაწილს, ცნობა გამავრცელებლის მიერ შესრულებული ფუნქციის შესახებ ჩაიწერება მთლიანად.

მაგ. . _ Montréal: Editions HRW; Paris:diffusion a.Lecot.

4.3.2 როდესაც გამავრცელებლის მიერ შესრულებული ფუნქცია ზუსტად არ არის განსაზღვრული, მოკლე სიტყვა ან ფრაზა, რომელიც მიუთითებს მოღვაწეობის ხასიათზე, შესაძლოა დაემატოს განცალკევებულად კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ. . _ Cincinnati: National Directory Service;Oxford: Vocation Work [distributor]
._ Londin: Longman; [Paris:A.Colin] [distributor]
._ Ottawa: Oak Lane Softwear: Information Insights [distributor]

**4.4 პუბლიკაციის თარიღი.**

4.4.1 პუბლიკაციის თარიღი ჩაიწერება ბოლო გამომშვებლის და/ან გამავრცელებლის სახელის, ან ფუნქციის ბოლო ცნობის შემდეგ.
პუბლიკაციის, გავრცელების და ა.შ. სფერო შეიცავს აღსაწერი სერიალის პირველი პუბლიკაციის, ან მისი პირველი ან ბოლო გამოშვების თარიღებს. პუბლიკაციის თარიღი(ები) შეესატყვისება ელემენტებს, რომლებიც მე-3 სფეროშია ჩაწერილი, ე.ი. როდესაც აღწერილობა გაკეთებულია შუალედური გამოშვებიდან ან გამოშვების შეზღუდული გამოცემიდან, პუბლიკაციის შესატყვისი თარიღი(ები) ჩაწერილია მე-3 სფეროში.
პუბლიკაციის თარიღი(ები) შესაძლებელია იდენტური იყოს გამოცემის პერიოდის თარიღთან(ებთან), რომელიც მე-3 სფეროშია ჩაწერილი.

*მაგ: ,1965-*

*,1936-1960*

4.4.2 გრიგორიანული კალენდრის თარიღები ჩაწერილია არაბული ციფრებით. გრიგორიანული კალენდრის გარდა, თარიღები ჩაწერილია, ისე, როგორც ისინი მოცემული არიან ინფორმაციის დაწესებულ წყაროში გროგორიანულ კალენდრის თარიღთან ერთად და დამატებულია კვადრატულ ფრჩხილებში, როდესაც მისი დადგენა შესაძლებელია.

*მაგ: ,1353 [1979]*

4.4.3 როდესაც პუბლიკაციის თარიღი მოცემული ინფორმაციის დაწესებულ წყაროში, ცნობილია როგორც არაზუსტი, ის ჩაიწერება ისე, როგორც მოცემულია და შესწორება ჩაიწერება კვადრატულ ფრჩხილებში.
მაგ: ,1905 [ i.e. 1950] –1970

4.4.4 როდესაც გამოშვებაში არ არის მოცემული პუბლიკაციის ან გავრცელების თარიღი, მის ადგილას შეიძლება ჩაიწეროს საავტორო უფლების ან ბეჭდვის თარიღი; ორივე თარიღი მითითებულია ისევე, როგორც არის
მაგ: ,1960 ბეჭდვა.
,საავტ. უფ. 1970-
ხმის სერიული ჩაწერისათვის, "p" (ფონოგრამა)-ის თარიღები ჩაიწერება როგორც

მაგ:   ,p   1985

4.4.5 საავტორო უფლების თარიღი შესაძლებელია დაემატოს პუბლიკაციის ან გავრცელების თარიღს, როდესაც ბიბლიოგრაფიული სააგენტო მას მნიშნელოვნად მიიჩნევს.

4.4.6 როდესაც პუბლიკაციის ან გავრცელების თარიღი არ არის, გამოშვებისათვის შეიძლება დადგინდეს საავტორო უფლების ან ბეჭდვის თარიღი, და პუბლიკაციის ან გავრცელების დაახლოებითი თარიღი ჩაიწერება კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ: ,[ca 1970]   ,[197-]   ,[1969?]-

4.4.7 სერიალის გამოქვეყნების თარიღებში არეულობა მითითებულია მე-7 სფეროში (იხ. 7.4.1)

4.5 ბეჭდვის ან წარმოების ადგილი (არჩევით)

&

4.6 ბეჭდვის (სტამბის) ან მწარმოებლის სახელი(არჩევით)

4.5.1 ბეჭდვის ან წარმოების ადგილი და ბეჭდვის (სტამბის) ან მწარმოებლის სახელი ჩაწერილი უნდა იყოს, როდესაც ისინი მოცემული არიან აღსაწერ გამოშვებაში და ორივე, პუბლიკაციის ან გავრცელების ადგილი და გამომცემლის ან გამავრცელებლის სახელი უცნობია. როდესაც ინფორმაცია ამოღებულია არა გამოშვებიდან, ის ჩაიწერება განცალკევებულად კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ:   , 1974- ([Manchester: Unity Press])

. — [s.l.: s.n.], 1980- (Asniéres: Kopp et Lahure)

4.5.2 როდესაც ბეჭდვის ან წარმოების ადგილი და მბეჭდავის (სტამბის) ან მწარმოებლის სახელი
& მოცემულია გამოშვებაში, ისინი შესაძლებელია

4.6.2 ჩაიწეროს დამატებაში ან ერთთან ან ორივესთან. პუბლიკაციის ან გავრცელების ადგილთან და გამომცემლის სახელთან.

4.5.3 როდესაც მოცემულია ბეჭდვის ან წარმოების მრავალრიცხოვანი ადგილები და მბეჭდავის
& (სტამბის) ან მწარმოებლის მრავალრიცხოვანი სახელი, იგივე პუნქტუაცია გამოიყენება რასაც

4.6.3 ვიყენებთ პუბლიკაციის ან გავრცელების მრავალრიცხოვანი ადგილების და გამომცემლისა და გამავრცელებლის მრავალრიცხოვანი სახელისათვის.

**4.7 ბეჭდვის ან წარმოების თარიღი (არჩევით)**

4.7.1 როდესაც ბეჭდვის ან წარმოების თარიღი ჩაიწერება პულიკაციის ან გავრცელების ადგილას (იხ. 4.4.4), ის აქ არ მეორდება.

4.7.2 როდესაც ბეჭდვის ან წარმოების თარიღი განსხვავდება უკვე ჩაწერილი ცნობილი თარიღებისგან (პუბლიკაციის ან გავრცელების თარიღი; ან საავტორო უფლებაზე თარიღი), ბეჭდვის ან წარმოების თარიღიც შესაძლებელია ასევე ჩაიწეროს.

4.7.3 ბეჭდვის ან წარმოების თარიღი შესაძლებელია ჩაიწეროს ან როგორც ელემენტი მბეჭდვის ან მწარმოებლის სახელის შემდეგ ან თავისთავად. ბოლო შემთხვევაში სიტყვა ან მოკლე ფრაზა შესაძლებელია დაემატოს თარიღის მნიშვნელობის განმარტებისთვის.

მაგ. . –Budapest: Akadémiai K., 1977- (Debrecen: Alföldi ny., 1978- )
. – Paris : F.Nathan, 1976 (1977)-
or
. – Paris : F.Nathan, 1976 (printed in 1977)-

**4.8** ცვლილებები:
გამოსასვლელი ცნობების დეტალებში ცვლილებები, ან ალტერნატიული, შენიშვნა, რომ გამოსასვლელი ცნობების დეტალები იცვლება, შესაძლოა ჩაიწეროს მე-7 სფეროში (იხ.7.4.2.).

## 5 ფიზიკური აღწერილობის სფერო

შინაარსი
5.1 სპეციფიკური მასალის აღნიშვნა და მოცულობა (არჩევით)
5.2 ცნობა ილუსტრაციის შესახებ (არჩევით)
5.3 ზომები
5.4 ცნობა თანმხლები მასალის შესახებ (არჩევით)

პუნქტუაციის ნიმუში
ა. ფიზიკური აღწერილობის სფეროს წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (. - ).
ბ. ცნობას ილუსტრაციის შესახებ წინ უძღვის ინტერვალი, ორი წერტილი, ინტერვალი ( : ).
გ. ცნობას ზომების შესახებ წინ უძღვის ინტერვალი, წერტილ-მძიმე, ინტერვალი ( ; ).
დ. ცნობას თანმხლები მასალის შესახებ წინ უძღვის ინტერვალი, პლუსი, ინტერვალი ( + ).

მაგალითები:

. – სპეციფიკური მასალის აღნიშვნა და მოცულობა : ცნობა ილუსტრაციის შესახებ ; ზომები.
. – ზომები
. – ცნობა ილუსტრაციის შესახებ ; ზომები + ცნობა თანმხლები მასალის შესახებ.

დაწესებული წყარო
გამოშვება თავისთავად (ან სერიალი, როგორც მთელი)

## 5.1 სპეციფიკური მასალის აღნიშვნა და მოცულობა ( არჩევით)

5.1.1 სპეციფიკური მასალის აღნიშვნა იდენტიფიცირებას უკეთებს მასალის განსაკუთრებულ კლასს, რომელსაც მიეკუთვნება სერიალი და ჩაიწერება ბიბლიოგრაფიული სააგენტოს მიერ არჩეულ ენაზე (იხ. ასევე 2.1.5.2). ნაბეჭდი ფორმით სერიალების შემთხვევაში, სპეციფიკური მასალის აღნიშვნა შესაძლებელია ჩაიწეროს; სხვა ფორმის სერიალებისთვის (მაგ. სერიალები მიკროფორმებით, სერიალერი რუქები, სერიალური მუსიკა) უნდა გავითვალისწინოთ შესაბამისი სსბა-ს ფიზიკური აღწერილობის სფერო. სფეციფიკური მასალის აღვიშვნა და ნაბეჭდი ფორმით სერიალის გამოშვების ან ტომის ნომერი შეიძლება სწყვეტს პუბლიკაციას, ან კვლავ დაბეჭდვის შემთხვევაში.

სერიალების განვითარების შემთხვევაში, სპეციფიკური მასალის აღნიშვნა შეიძლება ჩაიწეროს ცალკე.

5.1.2 პუბლიკაციის მოცულობის აღწერისას, სერიალების ტომების გამოშვების ნომერი, რომელიც მე-3 სფეროშია ჩაწერილი, მითითებულია არაბული ციფრებით; შესატყვისი აღნიშვნები ჩაიწერება სტანდარტული შემოკლებული ფორმით. თუ ასეთი აღნიშვნა არ არის სერიალში მოცემული, ის ჩაიწერება კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ.: . – 90 vol.
. – 120 [ no. ]

შენიშვნა ფიზიკური ერთეულების ნომერზე შესაძლებელია ჩაიწეროს მე-7 სფეროში (იხ. 7.5) დაუნომრავი სერიის შემთხვევაში, ან, როდესაც ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია ბიბლიოგრაფიული სააგენტოსთვის. არანაბეჭდი ფორმატით გამოქვეყნებული მასალისთვის გამოიყენება შესატყვისი სსბა-ს ტერმინოლოგია.

მაგ. . – 3 microfiche
. – 5 filmstrips
. – 120 sound discs

## 5.2 ცნობა ილუსტრაციის შესახებ (არჩევით)

5.2.1 ცნობა ილუსტრაციის შესახებ შესაძლებელია ჩაიწეროს, როდესაც ილუსტრაცია სერიალის ერთ-ერთი აუცილებელი თვისებაა. აბრევიატურა " ill ". (ან მისი ექვივალენტი სხვა ენაზე და/ან დაწერლობით) ჩაიწერება.

მაგ. . – 8 vol. : ill.

5.2.2 ილუსტრაციის განსაკუთრებული ტიპების იდენტიფიკაცია (მაგ. : რუქები, გეგმები, პორტრეტები, მუსიკა) შესაძლებელია ჩაიწეროს აბრევიატურა "ill"-ის შემდეგ (ან მისი ექვივალენტი).

მაგ. . – 60 vol.: ill ; maps.

5.2.3 როდესაც, ჩაიწერება ილუსტრაციისგანსაკუთრებული ტიპების იდენტურობა და პუბლიკაციაში მხოლოდ ილუსტრაციებია, აბრევიატურა "ill." (ან მისი ექვივალენტი) არის გამოტოვებული.

მაგ. . - 4 no. : comics.

5.2.4 როდესაც ზოგი ან ყველა ილუსტრაცია ფერადია, შესაძლებელია მასზე შენიშვნის გაკეთება. თუ მხოლოდ ზოგი ილუსტრაცია ფერადია და ეს ზუსტად უნდა განისაზღვროს, მაშინ ინფორმაცია ჩაიწერება მრგვალ ფრჩხილებში.

მაგ. : . – 3 vol. : ill. ( some col.)
. – 2 vol. : col. ill.

5.2.5 როდესაც, პუბლიკაცია შესდგება უმეტესად ან მთლიანად ილუსტრაციებისგან, შესაძლებელია ცნობაში გაკეთდეს შენიშვნა მის შესახებ.

მაგ. : . – Chiefly ill.
. – All ill.

5.2.6 სხვა ინფორმაცია ილუსტრაციის შესახებ შესაძლებნელია ჩაიწეროს მე-7 სფეროში ( იხ. 7.5).

## 5.3 ზომები

5.3.1 გამოშვების ზომა გამოიხატება სანტიმეტრის ტერმინით. ტერმინები შემოკლებულია "cm"-ით (ან მისი ექვივალენტით სხვა ენაზე და/ან დამწერლობით).

5.3.2 გარეყდის სიმაღლე, გაზომილი ყუას პარალელურად, ჩაიწერება დამრგვალებულად მომდევნო მთელ სანტიმეტრამდე.

მაგ. გამოშვება (სერიალი), რომლის ზომა არის 17.2 სმ, ჩაიწერება როგორც: ; 18 სმ.

5.3.3 როდესაც, გამოშვების (სერიალის) ზომა ან ფორმა უჩვეულოა (მაგ. როდესაც სიგანე სიმაღლეზე მეტია), სხვა ზომა შესაძლებელია ჩაიწეროს სიმაღლის შემდეგ.

მაგ. ; 21 x 30 სმ.

5.3.4 ცვლილებები სერიალის ზომაში, ან შენიშვნა გამოშვების ზომის შესაძლო ცვლილებებზე, შესაძლებელია ჩაიწეროს მე-7 სფეროში (იხ. 7.5).

## 5.4 ცნობა თანმხლები მასალის შესახებ (*არჩევით*)

5.4.1 ცნობა, რომელიც დაკავშირებულია აღსაწერ გამოშვების თანმხლებ მასალასთან შესაძლებებლია ჩაიწეროს, როდესაც არსებობს ამ მასალის რეგულარულად გამოშვების საფუძველი. თუ ასეთი საფუძველი არ არის, ცნობა შესაძლებელია ჩაიწეროს მე-7 სფეროში (იხ. 7.5).

5.4.2 თანმხლები მასალის აღწერა ხდება სიტყვით ან ფრაზით, რომელიც მიუთითებს მასალის ხასიათზე.

მაგ. . – 25 vol. : ill. ; 20 cm + 200 reproductions
. – ill. ; 21 cm + weekly price list

5.4.3 თანმხლები მასალის მოკლე ფიზიკური აღწერა შესაძლებელია ჩაიწეროს სიტყვის ან ფრაზის შემდეგ, რომელიც განსაზღვრავს მასალას. მასალა აიწერება შესატყვისი სსბა-ს 5.1 და5.3 დებულებების თანახმად.

მაგ. +47 slides : col. ; 5x5 cm + 1 sound recording + videocassette (60 min.)

5.4.4 თანმხლები მასალის (მაგ ჩანართი) სათაური და პასუხიმგებლობის ცნობა ან სხვა თვისებები შესაძლებელია ჩაიწეროს მე-7 სფეროში (იხ 7.5; იხ. ასევე 1.5.3.3)

5.4.5 თანმხლები მასალა შესაძლებელია ასევე აიწეროს დამოუკიდებლად ან აღწერილობის მრავალდონიანი მეთოდით (იხ. დამატება ა).

**6.სერიის სფერო**

**წინასწარი შენიშვნა** მე–6 სფერო გამოიყენება მხოლოდ, როდესაც სერიალის ყველა გამოშვება გამოქვეყნებულია (ან გათვალისწინებულია მათი გამოქვეყნება ) იმავე სერიებსა და ქვე–სერიებში. თუ ყველა გამოშვება არ ატარებს სერიის ან ქვე-სერიის შესახებ სათუო ცნობას, მაშინ ცნობა სერიის ან ქვესერიაზე შესრულებულია. ჩაიწეროს მე-7 სფეროში ( იხ. 7.6.1.)

როდესაც სერიალის ყველა გამოშვება გამოქვეყნებულია (ან გათვალისწინებულია მათი გამოქვეყნება) ერთზე მეტ სერიაში ან ქვესერიაში, ეს სფერო მეორდება. ცნობების რიგი განისაზღვრება წყაროთა პრივილეგიული რიგით, რომელიც სფეროს მიეკუთნება. იმისათვის რომ მოხდეს თანაბარი შეფასება, რიგი მიჰყვება ინფორმაციის თანმიმდევრობას, რომელიც მოცემულია არჩეულ წყაროში.

სერიის ან ქვესერიის ძირითადი სათაური შეესაბამება ბიბლიოგრაფიული არწერილობის ძირითად სათაურს თვით სერიისა და ქვესერიისტვის, როდესაც ის აღიწერება როგორც სერიული. იხილე ყველა დებულების 1 სფერო, რომელიც ეხება ძირითად სათაურს (იხ. ასევე 0.3.3.1)

**შინაარსი** 6.1-6.6 ცნობა სერიის შესახებ.

6.1 სერიის ძირითადი სათაური
6.2 სერიის პარალელური სათაური
6.3 სხვა ინფორმაცია სერიის სათაურის შესახებ (არჩევით).
6.4 ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ დაკავშირებული სერიასთან .
6.5 სერიის საერთაშორისო სტანდარტული სერიალური ნომერი (სსსნ)
6.6 ნუმერაცია სერიის შიგნით.

6.7-6.12 ცნობა ქვესერიის შესახებ.

6.7 ქვესერიის ძირითადი სათაური.
6.8 ქვესერიის პარალერული სათაური.
6.9 სხვა ინფორმაცია ქვესერიის სათაურის შესახებ (არჩევით)
6.10 ცნობა პასუხისმგებლობის შესახებ დაკავშირებული ქვესერიასთან.
6.11 ქვესერიის საერთაშორისო სტანდარტული სერიალური ნომერი (სსსნ)

6.12 ნუმერაცია ქვესერიის შიგნით.

პუნქტუაციის ნიმუში

ა) სერიის სფეროს წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი (. _ ).

ბ) თითოეული ცნობა სერიის ან ქვესერიის შესახებ თავსდება მრგვალ ფრჩხილებში (( )).

გ) მეორე და ყოველ მომდევნო სერიას ან ცნობას ქვესერიაზე წინ უძღვის ინტერვალი.

დ) თითოეულ პარალელურ სათაურს წინ უძღვის ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი ( = ).

ე) თითოეულ ცნობას სხვა ინფორმაციაზე სათაურის შესახებ, წინ უძღვის ინტერვალი, ორი წერტილი, ინტერვალი ( : ).

ვ) პირველ ცნობას პასუხისმგებლობის შესახებ, წინ უზღვის ინტერვალი, დახრილი ხაზი, ინტერვალი ( / ).

ზ) თითოეულ მომდევნო ცნობას პასუხისმგებლობის შესახებ, წინ უძღვის ინტერვალი, წერტილ-მძიმე, ინტერვალი ( ; ), თუკი ცნობები მიჩნეულია ერთი ფრაზის ფორმირებისათვის.

თ) სსსნ-ის წინ უძღვის მძიმე, იმტერვალი (, ).

